

თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა შვიდი წლისაა

A2





სახალხო დამცველი გენპროკურორს მოვალეობას ახსენებს

A4



"წერილები ორფეოსს"

A5


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 2 ნოემბერი, 2006 წელი. №244 (1396)

ფასი 50 თეთრი



"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge



საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი

40 52 22



თიბისი ბანკი TBC Bank

**თიბისი-ფოსტა**

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

## ამინდი

| | 2/11 | 3/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 20 |
| ბათუმი | 22 | 21 |
| სოხუმი | 21 | 21 |
| ქუთაისი | 22 | 22 |
| გორი | 16 | 16 |
| თელავი | 17 | 18 |
| ონი | 15 | 13 |
| ზუგდიდი | 22 | 22 |
| ახმეტა | 18 | 19 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7375 |
| ევრო | 2.2148 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3134 |
| რუბლი | 0.0650 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# იმუნიტეტსამოფარებულნი

ეკა კვესიტაძე

უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის, გია ნუცუბიძის, დაკავებამ ზედმეტი სკანდალისა და პოლიტიკური განცხადებების გარეშე ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით პრეზიდენტის ხმამაღალ მუქარას იმ დეპუტატების მისამართით, ვინც პარლამენტში არ მივიდოდა და დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნას ხმას არ მისცემდა.

მიუხედავად იმ მოლოდინისა, რომ ხელისუფლების მიერ საკუთარი თანაპარტიელის გაწირვას მედიაში ხელისუფლების კრიტიკა არ უნდა მოჰყოლოდა, პრესის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ არაერთგვაროვანი აღმოჩნდა და, შეიძლება ითქვას, საკმაოდ - არაჯანსაღი. შეფასებები პოლიტიკოსების მხრიდანაც გაისმა - პრეზიდენტი ასეთი ტონით არ უნდა მოუწოდებდეს პარლამენტის წევრებს სესიაზე მივიდნენ და დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნას მისცენ ხმა.

ერთი შეხედვით სააკაშვილის ტონი მართლაც თვალშისაცემი იყო. ის იმუქრებოდა, რომ პირადად ნახავდა სიას, ვინ მისცა ან არ მისცა ხმა ნუცუბიძისათვის იმუნიტეტის მოხსნას. მაგრამ ამ ტონს ნამდვილად ჰქონდა თავისი ობიექტური ახსნა.

გია ნუცუბიძის სახელი და გვარი მოსახლეობამ და მათ შორის "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერებმა სულ რამდენიმე დღის წინ გაიგეს, თუმცა ამომრჩევლისთვის დეპუტატი ნუცუბიძე გამონაკლისი არ არის. "ნაცმოძრაობის" საპარლამენტო უმრავლესობის უმეტეს პარლამენტართა შესახებ მას არასოდეს არაფერი სმენია.

მართალია, კობა დავითაშვილის მიერ ფულის აღების ფაქტს მმართველი პარტიის ახალგაზრდა სახეები "თვალთმაქცი ღვთისმოსავებივით" კიცხავდნენ, მაგრამ არც "ნაციონალურ მოძრაობაში" გაჭირდება ისეთი დეპუტატების ნახვა, რომლებმაც არჩევნების წინ ადგილები იყიდეს - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ასეთი დეპუტატების ამოცანა კი, არა პოლიტიკური აქტივობა, არამედ გადახდილი ფულის ამოღებაა (თუმცა, რა თქმა უნდა, დეპუტატობის უპირატესობის გამოყენებას ისინიც ცდილობენ, ვისაც, შესაძლოა, პარტიულ სიის გამსვლელ ადგილებზე მოსახვედრად ფული არ აქვს გადახდილი).

გაგრძელება A3 გვერდზე

# ცისფერი ალის პოლიტიკური ფასი

### როგორ გადავურჩეთ "გაზპრომის" შანტაჟს

**B**

*რამდენით გაძვირდება რუსული გაზი? ეს არის კითხვა, რომელზეც საქართველოს ხელისუფლებას პასუხი ჯერ არ აქვს. პროგნოზების გაკეთება რთულია, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაზპრომი დსთ-ს სივრცის ქვეყნებს გაზის ფასის საერთაშორისო ტარიფთან გათანაბრებით დაემუქრა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. საგულისხმოა, რომ საქართველოში რუსული კომპანია გაზს კარგა ხანია პოლიტიკურ ფასს ადებს. დსთ-ში "გაზპრომი" საქართველოს ახლაც ყველაზე მაღალ საფასურს ახდევინებს. არსებული ვითარებიდან გაკეთებული პროგნოზებით, ფასი საქართველოსთვის 2007 წლიდან, სავარაუდოდ, 220 დოლარს უნდა გაუტოლდეს.*



# ფაჩულიას რეალური სახე

A7



*ზაზა ფაჩულია NBA-ს კარგად მოერგო.*

# უშედეგო, მაგრამ "ნორმალური"

### გელა ბეჟუაშვილი: "ნებისმიერი შეხვედრა შეიძლება ურთიერთობების დათბობად ჩავთვალოთ"

*საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა რაიმე კონკრეტული შედეგის გარეშე დასრულდა. რუსეთის ოფიციოზის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთან საუბარი ამ უკანასკნელისთვის უკვე დიდი პატივია, საქართველოს მხრიდან სერიოზული დათმობების გარეშე რუსეთი უკან არ დაიხევს, - აღნიშნავდნენ გუშინ რუსული მედია და ექსპერტები. რუსულმა მხარემ საქართველოს "კიდევ ერთხელ შეახსენა", ნორმალური ურთიერთობის აღდგენა რა პირობით არის შესაძლებელი, - აღნიშნავს ოფიციალური მოსკოვი, თუმცა "პირობას" კვლავ არ აკონკრეტებს.*

დიმიტრი ავალიანი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტს მოსკოვში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, გარკვეული უარყოფითი ფონი შეუქმნა რუსული მედიით გავრცელებულმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა პუტინმა გელა ბეჟუაშვილთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. ამის შესახებ მედიას პუტინის ადმინისტრაციის ინკოგნიტო მაღალჩინოსანმა აცნობა. თუმცა, რუსული მედიის ნაწილი იმასაც აღნიშნავდა, რომ ამგვარი შეხვედრების პრეცედენტი არ ყოფილა და მათ არც პროტოკოლი ითვალისწინებს.

პუტინთან შეხვედრის გეგმები გელა ბეჟუაშვილმაც უარყო. **"თუ პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრა გაიმართებოდა, მოხარული ვიქნებოდი, თუმცა ასეთი შეხვედრა არც იგეგმებოდა. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, რატომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს პუტინმა შეხვედრაზე უარი თქვა,"** - აღნიშნა ბეჟუაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელს მიანიშნეს, თუ რაოდენ "სასურველი" სტუმარია იგი კრემლისათვის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართულ-ებრაული პარალელები

### საუბარი რუსთაველზე, ქართულ-ებრაულ მეგობრობასა და რუსეთზე, იერუსალიმის ქუჩებში

*დასრულდა საქართველოს პრეზიდენტის ორდღიანი ვიზიტი ისრაელში. ორი დღის მანძილზე მიხეილ სააკაშვილმა გამართა შეხვედრები ისრაელის პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან, ქნესეთის თავმჯდომარესთან, იერუსალიმში გახსნა შოთა რუსთაველის ბარელიეფი, ხაიფას უნივერსიტეტის ფილოსოფიის საპატიო დოქტორის წოდება მიიღო, ქართულ-ებრაულ პარალელებზე და რუსეთთან ურთიერთობაზე ისაუბრა და აშდოდში ქართველ ებრაელებს საქართველოში დაბრუნებისკენ მოუწოდა.*

**"როგორც ისრაელი წარმოუდგენელია დავით წინასწარმეტყველის გარეშე, ასევე საქართველო წარმოუდგენელია რუსთაველის გარეშე. ეს ორი სიმბოლო, დავით წინასწარმეტყველი ისრაელისთვის და შოთა რუსთაველი საქართველოსთვის დღეს ხვდება ერთმანეთს აქ, ისტორიულ იერუსალიმში, მსოფლიოს გულში, ქართველებისთვის ერთ-ერთ ყველაზე წმინდა ადგილას,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა იერუსალიმში ჯვრის მონასტერთან შოთა რუსთაველის ბარელიეფის გახსნაზე.

**"ჩვენ იმიტომ ვკარგავდით ყველაფერს, რომ არ გვქონდა სახელმწიფო. ჩვენ ვკარგავდით სალოცავებს, ჩვენ ვკარგავდით მოქალაქეებს, ჩვენ ვკარგავდით კონტროლს ტერიტორიებზე, ჩვენ ვკარგავდით რეპუტაციას, პრესტიჟს, ბოლოს და ბოლოს, ქართველების ერთმა ნაწილმა რაღაცნაირად საკუთარი ქვეყნის სიამაყეც დაკარგა,"** - ამბობს საქართველოს პრეზიდენტი და იქვე დასძენს, რომ დღეს საქართველო აღარ არის ქვეყანა, რომელსაც "შარვალგამოხეული, უჭმელი ჯარისკაცი" ჰყავდა - დღეს საქართველოს გამართული შეიარაღებული ძალები ჰყავს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "თანასწორობის ინსტიტუტის" სარჩელი დაკმაყოფილდა

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ ნინო ბაქაქურმა დააკმაყოფილა არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრების კერძო სარჩელი და მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილება გამოიტანა. მოსამართლემ უკანონოდ მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის განჩინება.*

საუბარია, "თანასწორობის ინსტიტუტის" მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე.

სარჩელი ლაშა ჩხარტიშვილმა და ამ ორგანიზაციის კიდევ სამმა წევრმა თბილისის საქალაქო სასამართლოში 8 აგვისტოს, ამირან რობაქიძის საქმის განხილვის დროს გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შემდეგ შეიტანეს. საქმე ისაა, რომ აქციის შემდეგ, გვიან ღამით, "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები დააკავეს და ადმინისტრაციული სასჯელი - ორი დღით პატიმრობა შეუფარდეს.

ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, აქცია სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა დაარბიეს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები კი ამ დარბევას მშვიდად უყურებდნენ.

**"აღნიშნული სარჩელით ჩვენ ვითხოვდით მანდატურის სამსახურის ქმედების უკანონოდ აღიარებას და ორგანიზაციის წევრებისთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას. ასევე მოვითხოვეთ, უკანონოდ ყოფილიყო აღიარებული საპატრულო პოლიციის უმოქმედობა, რაც მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დაუცველობაში გამოიხატა.**

გაგრძელება A4 გვერდზე

## "საქართველოსა და რუსეთს შორის ომის წინასწარმეტყველება "სიგიჟე" იქნებოდა"

რუსეთის ვიცე-პრემიერის, თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით, რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების ძალისმიერი გზით გადაჭრის კატეგორიული წინააღმდეგია.

"რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ანექსიას არ გეგმავს, თუმცა ამ პრობლემების ძალისმიერი გზით გადაჭრის კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ", - განუცხადა ივანოვმა რუსულ ტელეარხს "Russia Today".

მინისტრის განცხადებით, საქართველოსა და რუსეთს შორის ომის წინასწარმეტყველება "სიგიჟე" იქნებოდა. "საქართველომ, არა რუსული, არამედ საკუთარი პრობლემები ყოფილ ავტონომიებთან თავად უნდა გადაჭრას", - აღნიშნა მან. ივანოვმა, ასევე, გამოთქვა შეშფოთება საქართველოსთვის "ნატო-სა და აღმოსავლეთ ევროპიდან იარაღის მიწოდების გამო". "ეს სახიფათოა, რადგანაც პრობლემა უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი გზით, ძალის გამოყენების გარეშე", - განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა.

*ინტერპრესნიუსი*

## "დემოკრატიულ ფრონტს" დავით ბერძენიშვილი უხელმძღვანელებს

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიულ ფრონტს" რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი უხელმძღვანელებს

"ეს არის დემოკრატიულობის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანი, რომლითაც ფრაქციამ ისარგებლა და "რესპუბლიკელებმა" და "კონსერვატორებმა" ფრაქციის ხელმძღვანელის პოსტზე ერთმანეთი შეცვალეს", - განმარტა ზვიად ძიძიგურმა.

მისივე განცხადებით, როდესაც "რესპუბლიკელები" და "კონსერვატორები" ხელისუფლებაში მოვლენ, ისინი ამ წესს მაშინაც დაამკვიდრებენ, რადგანაც დეპუტატის აზრით, თანამდებობების ხშირი ცვლა ქვეყნის წინსვლას წაადგება.

როგორც ცნობილია, ექვსი თვის წინ ფრაქციის თავმჯდომარის პოსტზე ძიძიგურმა დავით ზურაბიშვილი შეცვალა.

*ინტერპრესნიუსი*

## თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 98.0

*მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ დავით კიკალიშვილს. სტუდიის სტუმარია საქართველოს ომბუდსმენი სოზარ სუბარი.*

**დავით კიკალიშვილი:** ჩვენი საუბრის თემა იქნება ციხე და ადამიანები, დღეს მხოლოდ პენიტენციური სისტემით შემოვიფარგლოთ.

ბატონო სოზარ, თქვენი მოხსენება პარლამენტშია, ამას თან დაერთო არასამთავრობოების საპროტესტო გამოსვლები. ერთადერთი სამიზნე არის ბაჩო ახალაია. მართლაც ასე ტრაგიკულია სიტუაცია ჩვენს პენიტენციურ სისტემაში?

**სოზარ სუბარი:** ვითარება ზოგადად, რა თქმა უნდა, ტრაგიკულია. აქ ერთდროულად რამდენიმე პრობლემა იჩენს თავს. საკანონმდებლო ცვლილებებმა გააუარესა პატიმრების ყოფა. ეს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია და კონკრეტულად სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ან იუსტიციის სამინისტროს ბრალს ვერ დავდებთ. როცა ვსაუბრობთ გადატვირთულობაზე, ესეც, ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემის ბრალია. ამ საკითხის მოსაგვარებლად მეტი თანხა უნდა გამოყოფილიყო. მესამე პრობლემა ეს არის ადმინისტრაციის უგულისყურობა, ან ადმინისტრაციის დანაშაულებრივი ქმედებები - მაგალითად, როდესაც პატიმარი ჰყავთ შიშველი!

**დავით კიკალიშვილი:** მოდით, ამ მწვავე პრობლემაზე ვისაუბროთ...

**სოზარ სუბარი:** საკუთარი თვალით ვნახეთ შიშველი პატიმრები. სამწუხაროდ, არ გვაქვს ციხეში ვიდეო და აუდიოაპარატურის შეტანის უფლება და ეს კადრები ვერ გადავიღეთ. არსებობს საკნები, სადაც არ არის ლეიბები, საერთოდ არაფერი არ არის. ისინი, ფაქტობრივად, კარცერებს წარმოადგენენ. ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ პატიმრებს არ აძლევენ საწერ კალამს და ფურცელს.

**დავით კიკალიშვილი:** ხშირად, როცა ციხეებში ადამიანთა უფლების დარღვევის შესახებ საჯარო განცხადებებს აკეთებთ, მეორე დღეს ტელევიზიით გამოჰყავთ პატიმრები, რომლებიც თქვენს ბრალდებებს უარყოფენ. რაში ხედავთ გამოსავალს?

**სოზარ სუბარი:** გამოძიება თუ მოინდომებს, შეუძლია სიმართლე დაადგინოს. სამწუხაროდ, ხშირად საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლები პატიმრებზე ახდენენ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, პატიმრების დაკითხვა კანონის ფარგლებში არ მიმდინარეობს. თუმცა, საბოლოო ჯამში, ვერ ვიტყვით იმას, რომ შედეგებს არ ვაღწევთ: ის პატიმრები, რომლებიც საკანში შიშვლები ჰყავდათ, დღეს შემოსილები არიან. მთავარია, არსებობდეს სახელმწიფოს ერთიანი მიდგომა და პოლიტიკური ნება, რომ დაცული უნდა იყოს კანონი და ადამიანის უფლებები ყველგან, მათ შორის, ციხეშიც. წესრიგი უნდა დამყარდეს, უნდა იყოს სიმკაცრე, მაგრამ კანონის ფარგლებში.

**დავით კიკალიშვილი:** შემორჩენილია თუ არა პრივილეგირებული საკნები?

**სოზარ სუბარი:** ნაკლებად, თუმცა პერიოდულად ვაწყდებით ხოლმე შემთხვევებს, როცა საავადმყოფოს კომფორტულად მოწყობილ ოთახში ისვენებს სრულიად ჯანმრთელი პატიმარი, რომელსაც მოსამსახურე თავზე ადგას.

**მსმენელი:** ჩემი შვილის ჯანმრთელობა სავალალო მდგომარეობაშია. იგი უკანონოდ დააპატიმრეს. მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა სუბარმა დიდი დახმარება გამიწია, მისი შეწყალება ვერა და ვერ ხერხდება. რას მირჩევდით?

**სოზარ სუბარი:** შეწყალების უფლება აქვს მხოლოდ პრეზიდენტს, ჩვენ ვართ მხოლოდ დამხმარე ჯგუფი, რომელიც თავის მოსაზრებებს გამოთქვამს. პრეზიდენტს აქვს უფლება, პირადად მიიღოს გადაწყვეტილება ყოველგვარი რჩევის გარეშე.

**დავით კიკალიშვილი:** მოდით, დავუბრუნდეთ პატიმრების ჯანმრთელობას, რას იტყვით შიდსიან პატიმრებზე? არსებობს მოარული ხმები, რომ პატიმრები ზოგჯერ თვითინფიცირებას ახდენენ, რათა შეღავათები მიიღონ. რას იტყოდით ყოველივე ამის შესახებ?

**სოზარ სუბარი:** გამიგია, რომ პატიმრები ამ მიზნით, ყლაპავენ კოვზებს, დანებს, ჩანგლებს. სხვათა შორის, ისინი ხშირად თვეობით არ გადაჰყავთ საავადმყოფოში. არა მგონია, რომელიმე ჭკუათმყოფელმა შიდსი შეიყაროს. ჯერ ერთი, დაავადება მომაკვდინებელია. მეორეც, ვირუსი ნელა ვითარდება და კაცმა არ იცის, როდის გადავა დამამძიმებელ გარემოებაში.

შიდსიანი პატიმრები, რა თქმა უნდა, იზოლირებული უნდა იყვნენ.

**დავით კიკალიშვილი:** ნარკომანია ჩვენი პენიტენციალური სიტემისთვის ისევ პრობლემად რჩება?

**სოზარ სუბარი:** დიახ, ეს არის სერიოზული პრობლემა. ბოლო დროს ციხის საავადმყოფოში არაერთი ნარკომანი პატიმარი გარდაიცვალა.

# საგამოძიებო კომისია რუსეთის მამხილებელი მასალების ნაკლებობას არ უჩივის

გიორგი ასანიშვილი

*საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა და სახალხო დამცველი პარლამენტარებს რუსეთის ხელისუფლების მაკომპრომეტირებელი ინფორმაციების შეგროვებაში ეხმარებიან. გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან ჭოლაძემ და ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა საკმაოდ სერიოზული და მრავალრიცხოვანი მასალები მიაწოდეს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას, რომელიც ოფიციალური მოსკოვის მიერ საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ქმედებების კანონიერებას სწავლობს.*



ნიკა გვარამია საგარეო უწყებიდან და სახალხო დამცველის ინსტიტუტიდან მიღებული მასალებით კმაყოფილია.

ლევან ჭოლაძის მტკიცებით, ბოლო პერიოდში რუსეთმა არაერთხელ დაარღვია სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის საერთაშორისო პრინციპები. კომისიის სხდომაზე მინისტრის მოადგილემ ქსენოფობიისა და ეთნიკურ ნიადაგზე ადამიანების დევნის არაერთი ფაქტი დაასახელა. მცირე ამონარიდი ამ ჩამონათვალიდან: მოსკოვის მილიციის განყოფილებების მიერ ზოგიერთ საშუალო სკოლაში გაიგზავნა მოთხოვნა ქართული გვარის მქონე მოსწავლეების სიის შედგენის შესახებ; მოსკოვში საქართველოს საკონსულოს შენობის მახლობლად "ომონის" ჩასაფრება და მათ მიერ ქართველების დაპატიმრება; ეროვნების გათვალისწინებით, ქართველებისთვის რუსეთის საავადმყოფოებში სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარის თქმა და ა.შ.

ჭოლაძის განცხადებითვე, ტამბოვში დაკავებული ერთ-ერთი ქართველი დედის ჩვილი ბავშვი, ბუნებრივი კვებისთვის, მის ნათესავებს სისტემატურად იზოლატორში დაჰყავდათ...

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აგრეთვე აღნიშნავს, რომ ქართველების დეპორტაციის საკითხზე გამართული სასამართლო პროცესების დროს სისტემატურად ირღვევა თავად რუსეთის კანონმდებლობა. კერძოდ, პროცესები ხშირად ბრალდებულების მონაწილეობის გარეშე იმართება და გასამართლებულები განაჩენს სასამართლოს დერეფნებში იგებენ, სასამართლო პროცესებზე არ იწვევენ თარჯიმნებს და სხვა.

თავის მხრივ, სახალხო დამცველი ყოველივე ამას ამატებს, რომ დარღვეულია, მინიმუმ, განაჩენის გასაჩივრების უფლება, განსასჯელებს არ ეძლევათ ადვოკატის აყვანის საშუალება, საქართველოს მოქალაქეები კარგავენ რუსეთში კანონიერი გზით შეძენილ ქონებას და საკუთრებას...

როგორც სოზარ სუბარი აცხადებს, როსტოვიდან გამოაძევეს ქართველი სტუდენტი, რომელსაც 2007 წლის თებერვლამდე ჰქონდა ვიზა. ომბუდსმენი ქართველი დეპუტატების ყურადღებას იმ გარემოებაზეც ამახვილებს, რომ რუსეთიდან დეპორტირებულ მცირეწლოვან ბავშვებს, ცალკეულ შემთხვევებში, შერყეული აქვთ ფსიქიკა და დეპრესიაში იმყოფებიან. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე მან რეაგირება სთხოვა რუსეთის ომბუდსმენ ლუკინს, მაგრამ მისგან პასუხი ჯერ არ მიუღია.

საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ნიკა გვარამია საგარეო უწყებიდან და სახალხო დამცველის ინსტიტუტიდან მიღებული მასალებით კმაყოფილია და აღნიშნავს, რომ მათი დიდი ნაწილი კომისიის საბოლოო დასკვნაში აუცილებლად აისახება.

**"აშკარად იკვეთება, რომ საქართველოს მოქალაქეების დისკრიმინაცია ცალკეულ, გამონაკლის შემთხვევებს კი არა, რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებულ მიზანმიმართულ პოლიტიკას წარმოადგენს"**, - მიიჩნევს ნიკა გვარამია.

დროებითი საგამოძიებო კომისიის მორიგ სხდომაზე, რომელიც ხვალ ჩატარდება, პარლამენტარები მოისმენენ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისა და "ნაციონალური ავიახაზების" წარმომადგენლების, აგრეთვე მოსკოვში საქართველოს კონსულის ზურაბ პატარიძის ინფორმაციებს და ახსნა-განმარტებებს.

# თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა შვიდი წლისაა







სკოლის საპატიო დოქტორი დიტერ ბოდენი.

თბილისის პოლიტიკურ სკოლაში, რომელიც კავკასიაში ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად ითვლება, მეშვიდე სასწავლო წელი დაიწყო. ამ თარიღთან დაკავშირებით, გუშინ სასტუმრო "მერიოტში" საზეიმო მიღება გაიმართა. ღონისძიებაზე მიწვეულნი იყვნენ შარშანდელი კურსდამთავრებულები და პირველკურსელები, აგრეთვე სკოლის ექსპერტები და მხარდამჭერები, ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ სასწავლებლის საქმიანობაში.

უკვე მეორე წელია, რაც ახალი სასწავლო წლის ღონისძიებაზე სკოლის სამეცნიერო საბჭო სპეციალურ ნომინაციებს გასცემს. წელს საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა ცნობილ დიპლომატს, სკოლის აქტიურ მხარდამჭერს, ექსპერტს ბატონ დიტერ ბოდენს. წლის საუკეთესო ექსპერტად საქართველოში თურქეთის ელჩი ერთან თეზგორი აღიარეს. საპატიო ექსპერტის წოდება წილად ხვდა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ბატონ იგორ გაუმს.

**"ჩვენი მოკრძალებული შრომით ვეხმარებით ჩვენს ქვეყანას სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლის წარმატებული მაგალითის წყალობით, რამდენიმე ანალოგიური სასწავლებელი გაიხსნა პოსტსაბჭოთა სივრცის სხვადასხვა ქვეყანაში. დღეს ევროპის საბჭოში, აგრეთვე ევროპის კომისიაში, ბრიუსელში, აქტიურად საუბრობენ თბილისის სკოლის წარმატებაზე"**, - განუცხადა "24 საათს" თბილისის პოლიტიკური სკოლის დირექტორმა არმაზ ახვლედიანმა.

თბილისის პოლიტიკური სკოლა, რომელიც უკვე 7 წლისაა, 700-მდე კურსდამთავრებულს ითვლის. ისინი ცნობილი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები არიან.

წლევანდელ სასწავლო წელს სკოლაში მოწვეული იქნებიან ახალი ექსპერტები. იზრდება სკოლის გეოგრაფიაც, რაც იმას ნიშნავს, რომ დასკვნითი სემინარები სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარდება.

*24 საათი*

# გაჩანაგებული ტყე-პარკი

*დიღმის ტყე-პარკის უმეტესი ნაწილი გასხვისებულია. საკრებულოს 2006 წლის 31 მარტის დადგენილებით, დიღმის ტყე-პარკი გამწვანების სპეციალურ ზონად გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე ნებისმიერი მშენებლობა აკრძალულია. ამის მიუხედავად, ძველი მეპატრონეები მიწის გასხვისებას კვლავ ცდილობენ. მერია აფრთხილებს დაინტერესებულ პირებს, რომ ტყე-პარკის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი არ შეიძინონ, რადგან მის გამოყენებას მაინც ვერ შეძლებენ.*

თამარ დვალი

დიღმის მასივში, საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე დიღმის ტყე-პარკის ისტორია 1934 წლიდან იწყება, როდესაც აქ თბილისის საბაზისო სანერგე დაარსდა. ქალაქის გენგეგმის მიხედვით, მაშინ სანერგე ტერიტორია 75 ჰექტარს შეადგენდა. დღეისთვის ამ ფართობიდან 20.5 ჰექტარია გადარჩენილი, დანარჩენი მშენებლობითა და რესტორნებით შეივსო.

დაარსების დღიდან დიღმის ტყე-პარკი "ქალაქის ფილტვებად" ითვლებოდა. თბილისში არ არსებობს დიღმის ტყე-პარკის ანალოგიური ადგილი.

თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებით, 1995 წლის 22 ივნისს აღნიშნული ტერიტორიის დიდი ნაწილი, კერძოდ, 18.5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი 50 წლით სარგებლობის უფლებით დაუმაგრდა შპს "სანს". მას შემდეგ, რაც 1999 წელს "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონი ძალაში შევიდა, ეს ტერიტორია "სანი"-ს საკუთრებად იქცა.

1999 წლის შემდეგ "სანი"-ს მიერ აღნიშნული ტერიტორიის დიდი ნაწილი მესამე პირებზე უკანონოდ იქნა გასხვისებული. ამის შემდეგ, ტყე-პარკის ტერიტორია სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, გაიჩეხა წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები, ბუჩქები და მრავალწლოვანი ნარგავები. მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებმა მშენებლობები წამოიწყეს, რომელთა ნაწილიც, მიხეილ სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს იქნა შეჩერებული. დღემდე ამ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ავტოფარეხი, რომელიც დღითიდღე ფართოვდება. 1985 წელს დაწყებული და შემდეგ მიტოვებული მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობას მოსახლეობა დაეპატრონა.

რადგანაც, აღნიშნულ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა მიწის ნაკვეთების ფუნქციურად არასწორ გასხვისებას, თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის დადგენილებით, აიკრძალა ამ ტერიტორიაზე ყოველგვარი მშენებლობის პროექტების დამტკიცება და მიწის ნაკვეთების გასხვისება. 2003 27 ივნისის საკრებულოს დადგენილებითვე, ამ ტერიტორიაზე ყოველგვარი სახის კაპიტალური მშენებლობა აიკრძალა.

მიმდინარე წლის მარტში თბილისის საკრებულომ კიდევ ერთი დადგენილება მიიღო, რომლის მიხედვითაც ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე "დიღმის ტყე-პარკი" გამწვანების სპეციალურ ზონად გამოიყო. ამავე დადგენილებით, მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურს კიდევ ერთხელ დაევალა ტყე-პარკის ტერიტორიაზე არ დაუშვას სამშენებლო სამუშაოების წარმოება, მოახდინოს დიღმის ტყე-პარკის გამწვანების ზონის საზღვრებისა და მიწის ნაკვეთის გეგმის (წითელი ხაზების) დადგენა, დამტკიცება და მწვანე ლანდშაფტის აღდგენითი გეგმის შემუშავება. დღეისთვის საზღვრები დადგენილია, ახმეტელის, ლუბლიანასა და სამხედრო გზას შორის მოქცეული 20.5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ხელშეუხებელია. ამ ეტაპზე აქ ხეების პასპორტიზაცია, ნიადაგის შესწავლა და ფიტოსანიტარული მდგომარეობის გამოკვლევა მიმდინარეობს.

ჩვენი ინფორმაციით, აკრძალვების მიუხედავად, სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები კვლავ ცდილობენ დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის შეძენას.

**"მიწის პრივატიზაციის პროცესი თბილისში ქაოტურად მოხდა. საზოგადოებრივი სივრცის დიდი ნაწილი პრივატიზირებულია. გაყიდულია ხიდები, სკვერები, ტროტუარები, სადაც მშენებლობის დაწყება დაუშვებელია. ამის გამო, დღეს ხდება მიწის ნაკვეთების რამდენჯერმე გადაყიდვა. მყიდველი ხშირად ხვდება გაურკვეველ სიტუაციაში. მას შემდეგ, რაც იგი შეიძენს ნაკვეთს საბაზრო ფასში, მერე გებულობს, რომ ამ ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყება დაუშვებელია. გვინდა გავაფრთხილოთ ყველა, რომ არ შეიძინონ მიწის ნაკვეთი, სანამ ჩვენს სამსახურთან არ გაივლიან კონსულტაციას. ჩვენ მათ ქალაქმშენებლობის კუთხით მივცემთ დასკვნას, რათა ინვესტიცია უპრობლემოდ განახორციელონ,"** - აცხადებენ მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურში.

## მოკლედ

### კულახმეტოვი პროვოკაციებს არ გამორიცხავს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ პროვოკაციების მცდელობას არ გამორიცხავს. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, 31 ოქტომბერს ჯავის რაიონში მომხდარი ინციდენტი, შესაძლოა, სწორედ რუსი სამშვიდობოების პროვოცირებას ისახავდა მიზნად. "ამის თქმის საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ ინციდენტის ადგილზე რუსული სამხედრო ფორმები იპოვეს, რომელთაც სამშვიდობოების ამოსაცნობი ნიშნები ჰქონდა", - განმარტა რუსმა სარდალმა. **ინტერპრესნიუსი**

### კოკოითის მტკიცებით, დივერსანტები ცხინვალის მთავრობის სახლის აფეთქებას გეგმავდნენ

31 ოქტომბერს ჯავის რაიონში ლიკვიდირებული ჩეჩენი მებრძოლები შეიარაღებულები იყვნენ და მათ ცხინვალის მთავრობის სახლის არქიტექტურული ნახაზები აღმოაჩნდათ. ეს განცხადება ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების ლიდერმა ედუარდ კოკოითმა გაზეთ "კომერსანტთან" საუბრისას გააკეთა. მისივე თქმით, შეიარაღებული ჩეჩნების მიზანი ცხინვალის მთავრობის სახლის აფეთქება იყო. კოკოითი საუბრობს საბრძოლო იარაღებზეც, მისი მტკიცებით, მოკლულებს თან ჰქონდათ სამი ავტომატი, პისტოლეტი, ყუმბართმტყორცნი, ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა და რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი. კოკოითი ქართულ მხარეს ტერორიზმში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ 12 ნოემბრის "საპრეზიდენტო" არჩევნებამდე დივერსიული აქტები ცხინვალში კვლავ მოსალოდნელია. **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთი ბაზების დისლოკაციის ადგილის ეკოლოგიურ რეაბილიტაციას უზრუნველყოფს

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო, აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების დისლოკაციის ადგილის ეკოლოგიურ რეაბილიტაციას უზრუნველყოფს. ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის შეიარაღებული ძალების ეკოლოგიური უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ალევტინ იუნაკმა განუცხადა. მისი თქმით, ჯერჯერობით საქართველოს არ გამოუთქვამს პრეტენზიები ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით. **ინტერპრესნიუსი**

### კვიციანი ვანო მერაბიშვილზე განხორციელებულ თავდასხმას საკუთარ თავზე იღებს

აფხაზეთის ტელევიზიამ გუშინ საღამოს კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის მიმართვა გაავრცელა. მიმართვაში კვიციანი შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილზე განხორციელებულ თავდასხმას საკუთარ თავზე იღებს და აცხადებს, რომ ამით მან საქართველოს ხელისუფლება გააფრთხილა. "კოდორიდან არსად წავსულვარ, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ამ თავდასხმით არა სიტყვით, არამედ საქმით გავაფრთხილე", - ამბობს მიმართვაში ემზარ კვიციანი. ამავე მიმართვაში იგი ირწმუნება, რომ კოდორის ხეობაში იმყოფება და ქალებს და ბავშვებს გახიზვნას ურჩევს. კვიციანი 1992-93 წლებში, აფხაზეთის ომში მონაწილეობას ნანობს და აცხადებს, რომ ეს მისი მხრიდან შეცდომა იყო. აფხაზეთის ტელევიზიის ცნობით, ვიდეოკასეტა, რომელზეც ემზარ კვიციანის მიმართვაა ასახული, გუშინ დილით, ლათას ადმინისტრაციული შენობის შესასვლელთან შემთხვევით აღმოაჩინეს. **ინტერპრესნიუსი**

### იაპონია ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციების მოხსნას არ აპირებს

იაპონია ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ამოქმედებული სანქციების მოხსნას იმ შემთხვევაშიც არ აპირებს, თუ ჩრდილოეთ კორეა ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით ექვსმხრივ მოლაპარაკებებს დაუბრუნდება. ამის შესახებ განცხადება იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა. მისი თქმით, იაპონია ფხენიანისგან ბურთვული პროგრამის განვითარებაზე უარის თქმას მოითხოვს. ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ექვსმხრივი მოლაპარაკებების უახლოეს მომავალში გამართვის შესახებ განცხადება ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გაავრცელა. გუშინ ჩინეთის ინიციატივით, პეკინში არაფორმალური შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა აშშ-ის, ჩრიდლოეთ კორეისა და ჩინეთის დელეგაციებმა მიიღეს. ექვსმხირვ მოლაპარაკებებში მონაწილეობას აშშ-ის, ჩრიდლოეთ კორეისა და ჩინეთის გარდა, რუსეთი, კორეა და იაპონია მიიღებენ. ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღის წარმატებით გამოცდის შესახებ განცხადება 2006 წლის 9 ოქტომბერს გააკეთა. 14 ოქტომბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც მან ფხენიანის ქმედებები დაგმო და მის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციებიც აამოქმედა. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# უშედეგო, მაგრამ "ნორმალური"

პირველი გვერდიდან

გუშინ საღამოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი რუს კოლეგას სერგეი ლავროვს პირისპირ შეხვდა და საათნახევრის განმავლობაში ესაუბრა. **"ვისაუბრეთ ყველა საკითხზე. ეს რთული საუბარი იყო, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ რუსეთის მხარეს გავაგებინეთ, რაც გვტკივა. ისიც ვთქვით, რომ ის მეთოდები, რითაც დღეს ერთმანეთს ვუპირისპირდებით, არ არის მისაღები,"** - ასეთი კომენტარი გააკეთა გელა ბეჟუაშვილმა ლავროვთან შეხვედრის შემდეგ.

მის რუს კოლეგას შეხვედრის შემდეგ კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ მინისტრების შეხვედრაზე **"რუსულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაწვრილებით განმარტა, რუსულ-ქართული ურთიერთობების დაბრუნება ნორმალური კალაპოტში რა პირობებით არის შესაძლებელი."**

**"ჩვენ ვხვდებით არა საუკეთესო მომენტში რუსულ-ქართული ურთიერთობებისათვის და იმედი მაქვს, დღევანდელი საუბრის შედეგად ჩვენ შევთანხმდებით იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ არაჯანსაღი სიტუაციის გამოსწორებისათვის,"** - განაცხადა სერგეი ლავროვმა შეხვედრის დაწყებამდე.

**"ჩვენი მხრიდან სრული მზადყოფნა არსებობს, რომ ურთიერთობა ორ მეზობელ ქვეყანას შორის იყოს შესაფერისი იმ ტრადიციებისა და ისტორიის, რაც ჩვენ გვაკავშირებს. ეს ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთპატივისცემას და ერთმანეთის ინტერესების აღიარებას,"** - ჩამოაყალიბა შეხვედრამდე ქართული მხარის მოლოდინი გელა ბეჟუაშვილმა.



*საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელს მიანიშნეს, თუ რაოდენ "სასურველი" სტუმარია იგი კრემლისათვის.*

**"გადაულახავი წინააღმდეგობები რუსეთთან ურთიერთობაში არ არსებობს. თუ პოლიტიკური ნება იქნება, მათი დაძლევა შესაძლებელია,"** - დასძინა ბეჟუაშვილმა.

თუმცა, რუსი ექსპერტები ამგვარი პოლიტიკური ნების არსებობას სკეპტიკურად უყურებენ. **"სიტუაციის ნორმალიზებისთვის საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ არასწორ პოლიტიკას აწარმოებდა და საგარეო პოლიტიკური კურსი უნდა შეცვალოს. ეს ისაა, რასაც სააკაშვილი არასდროს გააკეთებს. ისევე როგორც მისი რუსი მოწინააღმდეგე, იგი დარწმუნებულია, რომ ყველაფერს სწორად აკეთებს. ამიტომ, შეხვედრისგან არც გარღვევას და არც ურთიერთობის ნორმალიზაციას და საერთოდ რაიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებას არ უნდა ველოდოთ,"** - მიიჩნევს პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

მისი თქმით, მოსკოვმა გუშინ ყველანაირად მიანიშნა ქართულ მხარეს, რომ თავად ქართველ მინისტრთან მოლაპარაკება, მასთან საუბარი ამ უკანასკნელისთვის უკვე დიდი პატივია.

**"არ მგონია, რუსეთი მზად იყოს რაიმე დათმობებისთვის, თუ საქართველო დათმობებზე არ წავა. უკანდახევა რუსეთის ხელისუფლების რეიტინგზე სერიოზულად იმოქმედებს. ამას დამარცხებად აღიქვამენ. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ ეს არავის სურს,"** - განმარტავს რუსეთის პოზიციას პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორის მოადგილე სერგეი მიხეევი.

გუშინ ბეჟუაშვილმა რუსეთთან მოსაგვარებელ "პროგრამა-მინიმუმზეც" ისაუბრა. მისი თქმით, მისი ერთ-ერთი ამოცანა დსთ-ს მომავალ მინსკის სამიტზე საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის შეთანხმება იყო.

"ბისეკის" სამიტამდე გელა ბეჟუაშვილი გუშინ სომხეთის და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდა.

**"შესაძლებელია თუ არა დღეს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების რეალიზება ისეთ პირობებში, როდესაც BSEC-ის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფო ახორციელებს ეკონომიკურ ზეწოლას მეორე სახელმწიფოს - საქართველოს მიმართ?** - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე, - **"როდესაც ერთი სახელმწიფო ცალმხრივად კეტავს საზღვრებს, აწესებს სრულ სავაჭრო ემბარგოს, წყვეტს სატრანსპორტო მიმოსვლას და იმუქრება საფოსტო კავშირის შეწყვეტით, უმოკლეს ვადებში აწარმოებს მეორე წევრი სახელმწიფოს მოქალაქეთა დეპორტაციას მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ქართველები არიან და მიმართავს დამსჯელ სანქციებს ეთნიკური ქართველების მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ რუსეთში"**.

**"ზოგიერთს შეუძლია განაცხადოს, რომ ეს არის ორმხრივი ურთიერთობების საგანი და რომ ეს არ არის ამ ფორუმზე განსახილველი საკითხი. მე ცალსახად არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ეს ზომები პირდაპირ და ძალზედ მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს BSEC-ის ფარგლებში მრავალმხრივ თანამშრომლობაზე და მნიშვნელოვნად ამცირებს წევრ სახელმწიფოთა შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობას,"** - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

გუშინ გვიან საღამოს გელა ბეჟუაშვილი რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანს იგორ ივანოვს შეხვდა, რომელიც დღისით აცხადებდა, რომ რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ სანქციები არ დაუწესებია. მისი მტკიცებით, ღონისძიებები, რომლებიც რუსეთმა უკანასკნელი თვეების განმავლობაში გაატარა, **"დღემდე მოუგვარებელი საკითხების დარეგულირებას ისახავდა მიზნად"**. ივანოვი მიიჩნევს, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობის დაძაბვა საქართველოს ხელისუფლების ბრალია. **"თუ ოფიციალური თბილისი პოლიტიკას შეცვლის, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გამოსწორდება,"** - აცხადებს ივანოვი.

# იმუნიტეტსამოფარებულნი

პირველი გვერდიდან

შევარდნაძის დროს დეპუტატობის იმუნიტეტს ბევრი იყო შეფარებული, მათ შორის - სასტიკ მკვლელობაში და ფინანსურ მაქინაციებში ეჭვმიტანილი ლევან პირველი. ამიტომ იყო, რომ სააკაშვილმა იმუნიტეტის მაქსიმალური შეზღუდვა გაპრეზიდენტებისთანავე მოითხოვა. მაგრამ პარლამენტის წევრებში ცდუნებების აღსაკვეთად, რასაკვირველია, მხოლოდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

თუ ბექაურისა და ნანიტაშვილისგან პარტიული თვითგაწმენდა სკანდალებითა და მკვეთრად გამოხატული საზოგადოებრივი აზრით იყო პროვოცირებული, გია ნუცუბიძის შემთხვევა განსხვავებული იყო. ეს, შესაძლოა, გახდეს იმ ტენდენციის დასაწყისი, როცა დანაშაულისთვის დეპუტატებს თუ სხვა მაღალჩინოსნებს ყოველგვარი სკანდალური წინაპირობის გარეშე დააკავებენ.

ასეთი "თვითწმენდის" ტენდენცია, რა თქმა უნდა, ფრიად შემაშფოთებელი გახდა ძალიან ბევრი დეპუტატისთვის, რომლებიც, პოლიტიკურ ჩრდილში მოქცეულნი, "თავიანთ საქმეს" წყნარად და მშვიდად აკეთებენ. შესაბამისად, ნუცუბიძის იმუნიტეტის მოსახსნელად მიცემული ხმა ბევრმა მომავალში საკუთარი თავის წინააღმდეგ მიცემულ ხმად აღიქვა და, ბუნებრივია, იმ დღეს პარლამენტში არც მივიდოდნენ, რომ არა პრეზიდენტის სრულიად ცალსახა მუქარა.

ნამდვილად არ არის მისაღები, როცა პრეზიდენტი პარლამენტარებს თითს უქნევს და მუქარის ტონით ელაპარაკება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ის უმრავლესობაა, რომელიც პრეზიდენტის ნებისმიერ პოლიტიკურ, თუნდაც საფრთხის შემცველ, ინიციატივას მხარს ყოველგვარი ყოყმანისა და ზედმეტი კითხვის გარეშე დაუჭერს. ხოლო, როცა საქმე რომელიმე დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნაზე მიდგება, პულტზე თითს არ დააჭერს. ასე რომ, ეს ის შემთხვევაა, როცა საპარლამენტო ცხოვრებაში პრეზიდენტის უხეში და არადემოკრატიული ჩარევა სრულიად გამართლებულია და გამართლებული იქნება მანამ, სანამ პარლამენტი თავად არ იქნება დემოკრატიული თავისი შემადგენლობით და არ შეასრულებს ზედამხედველობისა და ხელისუფლების დაბალანსების კონსტიტუციით მინიჭებულ ფუნქციას.

რაც შეეხება იმას, გახდება თუ არა პრეცედენტული დეპუტატ ნუცუბიძის დაკავების ფაქტი, ეს დამოკიდებული იქნება ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასა და ამ პოლიტიკის აღსრულების თანამიმდევრობაზე. რაც მთავარია, არა მხოლოდ ნუცუბიძის მსგასი "რუხი", არამედ უფრო გავლენიანი ფიგურებისათვის ხელშეუხებლობის გარანტიების მოხსნაზე.

მოქალაქეთა კავშირის მსგავსად, "ნაციონალური მოძრაობის" წევრების უმრავლესობას სჯერა, რომ მათი პირადი კეთილდღეობის გზა მმართველ პარტიაზე გადის, არა აქვს მნიშვნელობა, რა ერქმევა ამ მმართველ პარტიას - "ნაციონალური მოძრაობა", "მოქალაქეთა კავშირი" თუ სხვა რამ. ასეთი პოლიტიკური მსოფლხედვის დანგრევა ძალიან ძნელია, განსაკუთრებით რეგიონებში, მაგრამ ამაზე დიდწილად იქნება დამოკიდებული სააკაშვილის პოპულარობა და, რაც მთავარია, ამ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის შეცვლა.

# ქართულ-ებრაული პარალელები

პირველი გვერდიდან

**"ეს საქართველო არ არის ვინმეს ლუკმა. და თუ ვინმე მის გადაყლაპვას დააპირებს, ნამდვილად შეიძლება ყელში გაეჩხიროს. და არავის ვურჩევ ამის გაკეთებას. ყველას ვთხოვ, მადა დაიმოკლოს და სხვის გადაყლაპვაზე, სხვის შეჭმაზე იფიქროს, ჩვენ ნამდვილად არ ვიჭმევით,"** - აცხადებს სააკაშვილი.

ცხინვალი და აფხაზეთი კი ის მიწაა, რომელიც ჩვენ უნდა დავიბრუნოთ, ამბობს საქართველოს პრეზიდენტი და აღნიშნავს, რომ როგორც იერუსალიმს მიიჩნევდა ებრაელი ხალხი მარჯვენად, ასევე საქართველოს მარჯვენაც აფხაზეთია და მის გარეშე წარმოუდგენელი იქნება.

ისრაელში ვიზიტით მყოფმა სააკაშვილმა რუსეთზე საკმაოდ ბევრი ისაუბრა. პრეზიდენტის განცხადებით, საქართველო მზად არის, რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგისთვის და მიუხედავად დღეს არსებული დაძაბულობისა, თბილისი ყველაფერს გააკეთებს, რათა ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობები აღდგეს, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ხაიფას უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას, სადაც მას ფილოსოფიის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს. ამასთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილს წოდების მინიჭების წერილობითი დადასტურება და უნივერსიტეტის მანტია გადასცეს. წერილში აღნიშნულია, რომ მიხეილ სააკაშვილს ფილოსოფიის დოქტორის საპატიო წოდება დემოკრატიის განვითარებაში, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში, სასამართლო სისტემის რეორგანიზაციასა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისთვის მიენიჭა.



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრისას პრეზიდენტმა რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს მიმართ დამოკიდებულება მე-18 საუკუნეში, მეფის ჩინოვნიკების მიერ ებრაელთა წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს შეადარა.

**"ქართველ და ებრალ ხალხს ბევრი რამ აქვთ საერთო. ჩვენ კარგად გვესმის, რას ნიშნავს დევნა. როცა ეკატერინე მეორემ გამოსცა ბრძანება, რომ ყველა ებრაელს, ვინც ქრისტიანულ სარწმუნოებას არ მიიღებდა, ქვეყანას დაატოვებინებდნენ, მრავალი ებრაელი ისრაელში ფულისა და ოქროს გარეშე დაბრუნდა. ახლა ასეთ მდგომარეობაში ქართველები აღმოჩნდნენ. სარწმუნოება პასპორტებმა ჩაანაცვლა, ოქრო კი - ფულადმა გზავნილებმა,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა რუსეთის იმ მოქალაქეებს, რომელთაც გვარის ქართულად გადაკეთებით და საქართველოს მოქალაქეობის მიღების თხოვნით საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადეს.

ხაიფას უნივერსიტეტში გამოსვლისას პრეზიდენტი ენერგეტიკის სფეროსაც შეეხო და განაცხადა, რომ საქართველოსთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს გლობალურ ენერგოპროექტებში მონაწილეობას, რადგან ჩვენი ქვეყანა ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ენერგობაზრის დივერსიფიცირებას ცდილობს.

ისრაელში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა, ებრაელ მეწარმეებს საქართველოში ინვესტიციების ჩადებისკენ მოუწოდა. **"ვიცი, რას ნიშნავს აშენო სახელმწიფო, როდესაც საშიშროება კარებზე გიკაკუნებს"**, - აღნიშნა სააკაშვილმა.

**"ჩვენ არ გვსურს რუსეთთან დავა, მაგრამ მივიჩნევთ, რომ სააკაშვილი 21-ე საუკუნის ნელსონ მანდელაა. ის წარმოადგენს დემოკრატიის არაძალისმიერი გზით გავრცელებისა და კორუფციასთან ბრძოლის სიმბოლოს"**, - განაცხადა მეცნიერებათა დოქტორმა ბრენდ შეფერმა, რომელიც ენერგეტიკული პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელია.

გუშინ მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ისრაელში ვიზიტის ფარგლებში, შესაძლოა, პრეზიდენტ მოშე კაცავს ველარ შეხვედროდა. ამის ოფიციალურ მიზეზად, კაცავის მოულოდნელი ავადმყოფობა სახელდებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, იგი გვიან ღამით, გულის შეტევით კლინიკაში გადაიყვანეს. მოგვიანებით, ექიმებმა ისრაელის პრეზიდენტს სახლში დაბრუნების ნება მისცეს.

თუმცა, ორი ქვეყნის პრეზიდენტის შეხვედრა გუშინ საღამოს მაინც შედგა, ხოლო მოშე კაცავმა ოფიციალურად უარყო ხმები მისი ავადმყოფობის შესახებ.

# საპარლამენტო ოპოზიციის გასაჭირი

*როგორც ჩანს, საპარლამენტო უმცირესობა უახლოეს დღეებში არ შეიქმნება. ყოველ შემთხვევაში, გუშინ პარლამენტში აშკარად გამოჩნდა, რომ უმრავლესობის ლიდერთა ნაწილს დათმობაზე წასვლა არ სურს და პარლამენტის რეგლამენტში იმ მუხლის აღდგენას ეწინააღმდეგება, რომლის თანახმადაც, უმცირესობის შექმნის უფლება საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასულ პარტიას ან ბლოკს ენიჭება (ამ შემთხვევაში, საუბარია საარჩევნო ბლოკზე "მემარჯვენე ოპოზიცია - "მრეწველები - ახლები"). უმრავლესობის წარმომადგენელთა თქმით, თუკი ოპოზიციას ახალი თანამდებობები სურს, მან უმცირესობა რეგლამენტის დღეს მოქმედი მოთხოვნის გათვალისწინებით უნდა შექმნას - თუ, რა თქმა უნდა, მას ამის ძალა და რესურსი ეყოფა (შეგახსენებთ, რომ პარლამენტის მოქმედი რეგლამენტის მიხედვით, უმცირესობის შექმნა უმრავლესობის გარეთ დარჩენილი დეპუტატების ნახევარზე მეტს შეუძლია).*

თამარ ასათიანი

საპარლამენტო ოპოზიციის უმცირესობად ფორმირების და, შესაბამისად, მესამე ვიცე-სპიკერისა და კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეების პოსტების მოპოვების პროცესი საკმაოდ დრამატულად მიმდინარეობს.

ერთი მხრივ, მმართველ პოლიტიკურ ძალას უკვე ურჩიეს მეგობარმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა (მაგ. ევროსაბჭომ და ეუთო-მ), საპარლამენტო უმცირესობის შექმნაზე თანხმობის მიცემა და ოპოზიციისთვის "ხელის შეშველება", რათა ქვეყანაში ოპოზიციური სპექტრი სრულიად უფუნქციოდ არ დარჩეს. მეორე მხრივ კი, უმრავლესობის ლიდერთა აზრი ორად არის გაყოფილი - თუკი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი და უმრავლესობის ოფიციალური ლიდერი მაია ნადირაძე მზად არიან, ოპოზიციონერებთან გარკვეულ დათმობაზე წავიდნენ, მმართველი ფრაქციის მეორე ნაწილს (ხათუნა გოგორიშვილი, ნიკა გვარამია, ლევან ბეჟაშვილი) მიაჩნია, რომ ოპოზიციამ თავად უნდა მოახერხოს უმცირესობის შექმნა. მათთვის მიუღებელია უმცირესობის ჩამოყალიბების ის წესი, რომელიც ოპოზიციამ შესთავაზა.

საგულისხმოა, რომ ორი დღის წინ "მრეწველებმა" უმცირესობის შექმნის მათეულ ხედვას ახალი შტრიხიც "შეჰმატეს". ანუ, მათი ვერსიით, უმცირესობა უნდა შექმნას "საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასულმა პოლიტიკურმა ძალამ, პლუს ხუთკაციანი ოპოზიციური ჯგუფი".

ამან კი უმრავლესობა უფრო გააღიზიანა. **"ეს არის ოპოზიციური პოლიტიკური ფრაქციების ახირება, რომელიც მხოლოდ საპარლამენტო თანამდებობების დაკავებას ისახავს მიზნად. არსებობს მოქმედი რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც პარლამენტში უმცირესობის შექმნა პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა, ეჭვი მეპარება, რომ მათ საკმარისი რესურსი ჰქონდეთ,"** - განაცხადა გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილმა.

რაც შეეხება ოპოზიციონერებს. გუშინ ისინი უმრავლესობის ბრალდებებს გამოეხმაურნენ.

"დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთი ლიდერის ზვიად ძიძიგურის თქმით, ოპოზიციას უმცირესობის ჩამოყალიბება არა თანამდებობების დასაკავებლად, არამედ საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნორმალური პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყებად სჭირდება.

**"უმცირესობის ჩამოყალიბება დემოკრატიულობის ერთ-ერთი მახასიათებელია, რათა უმცირესობასაც და უმრავლესობასაც თანაბარი პირობები ჰქონდეთ პარლამენტში პოლიტიკური მოღვაწეობისთვის. თუ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს ჩვენი ახირებაა და მხოლოდ თანამდებობები გვინდა, როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ - თანამდებობაც და რეგლამენტიც მათ ხელშია,"** - განაცხადა ძიძიგურმა.

დაახლოებით ასეთივე განცხადებას აკეთებენ "ახალი მემარჯვენეებიც". მამუკა კაციტაძის თქმით, ოპოზიცია უმცირესობის შექმნას არა სკამებისა და თანამდებობების გამო ითხოვს, არამედ იმისთვის, რომ მათი სტატუსი ამაღლდეს და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პარლამენტართა ოპოზიციურმა ჯგუფმა მეტი კონტროლი განახორციელოს.

არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც ოპოზიცია ჯერჯერობით ხმამაღლა არ საუბრობს. ეს თანამდებობების გადანაწილებაა (თუ, რა თქმა უნდა, პარლამენტი უმცირესობის შექმნის ყველასათვის მისაღებ მოდელს მაინც მიიღებს). როგორც საპარლამენტო კულუარებში ამბობენ, ვიცე-სპიკერის პოსტს უკვე უმიზნებენ "მრეწველთა" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე და "ახლების" ფრაქციის თავმჯდომარე დავით გამყრელიძე. თუმცა, როგორც უმრავლესობის წარმომადგენლები "შინაურულად" აცხადებენ, თუკი უმცირესობა შეიქმნება, მათ მესამე ვიცე-სპიკერის სავარძელში ზურაბ ტყემალაძის ხილვა უფრო გაუხარდებათ, ვიდრე დავით გამყრელიძის ან, სულაც, ზვიად ძიძიგურის.

# დიმიტრი სანაკოევი ახალგორის რაიონში ამომრჩევლებს შეხვდა

აგრესია ქართველი ხალხის ბუნებაში არ არის, ოსი ხალხიც ომით დაიღალა და სურს, რეგიონში მშვიდობა დამყარდეს, - ამის შესახებ "სამხრეთ ოსეთის" პრეზიდენტობის " ალტერნატიულმა " კანდიდატმა დიმიტრი სანაკოევმა გუშინ ახალგორის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

მისივე თქმით, კოკოითის რეჟიმის შიშით მოსახლეობა საკუთარ პოზიციას ვერ გამოხატავს.

"16 წლის განმავლობაში უფსკრულის პირას ვიდექით და არც ერთი ნაბიჯი წინ არ გადაგვიდგამს", - განაცხადა მან.

როგორც კანდიდატმა აღნიშნა, რუსი მშვიდობისმყოფელების გამოჩენასთან ერთად ოს ხალხს იმედი გაუჩნდა, რომ კონფლიქტი დასრულდებოდა და ისინი ნორმალური ცხოვრების რეჟიმში ჩადგებოდნენ, თუმცა ეს არ მოხდა.

"მსურს, ახალგორიდან ცხინვალის რეგიონს ხელი გავუწოდოთ, თქვენი მეშვეობით საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას მივმართოთ, რომ ჩვენ ბედს ჩვენ თვითონვე გადავწყვეტთ", - დასძინა სანაკოევმა.

მისივე თქმით, ოსმა ხალხმა კარგად უნდა გააცნობიეროს თავისი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა.

"მიმაჩნია, რომ დამოუკიდებლობა მაშინ არსებობს, როცა საკუთარ აზრს გამოხატავ და კანონს არ არღვევ. რა არის დამოუკიდებლობა ეკონომიკის გარეშე. მე მსურს, მქონდეს სახლში პური და მარილი, რათა სტუმრებს დავხვდე, არ მეშინოდეს, რომ ღამე თავს ვინმე დამესხმება და ბავშვებს წამართმევს", - განაცხადა სანაკოევმა.

"კოკოითის მთავრობა მერკანტილური ინტერესებით ხელმძღვანელობს და ხალხის ინტერესებზე არ ზრუნავს. ის ხალხი უნდა დაისაჯოს, ვისაც ქართულ-ოსური კონფლიქტის გაღვივებაში წვლილი მიუძღვის და ეს მომავალმა თაობამაც უნდა დაინახოს", - დასძინა დიმიტრი სანაკოევმა, რომლის წინასაარჩევნო დევიზია -"მშვიდობა და კანონის უზენაესობა".

შეგახსენებთ, სანაკოევი სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრია. იგი პრეზიდენტობის კანდიდატად ერედვში განთავსებულმა ალტერნატიულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაარეგისტრირა.

როგორც ცნობილია, 12 ნოემბერს ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების გარდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებს ერედვში განთავსებული ცესკო-ც ატარებს.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### გადადებული გახმაურებული პროცესი

თბილისის სააპელაციო სასამართლოში დღეს სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულების სასამართლო პროცესი უნდა დაწყებულიყო, თუმცა, გუშინ ცნობილი გახდა, რომ პროცესი თვის ბოლოსთვის გადაიდო. როგორც სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი განმარტავს, პროცესის გადადების მიზეზი საქმის განმხილველი მოსამართლის ნაირა გიგიტაშვილის ავადმყოფობა გახდა.

შეგახსენებთ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საჩივარი მკვლელობისთვის მსჯავრდებულების ადვოკატებმა შეიტანეს. ისინი თავიანთი დაცვის ქვეს მყოფებისთვის სასჯელის შემსუბუქებას მოითხოვენ. თბილისის საქალაქო სასამართლოს რამდენიმე თვის წინანდელი განაჩენით, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულებს - შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილ უფროსს გია ალანიას - 8 წელი, ამავე სამმართველოს ყოფილ თანამშრომლებს: ავთანდილ აფციაურს, ალექსანდრე ღაჭავას და მიხეილ ბიბილურიძეს კი 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი გასაჩივრების ვადებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ პირველი ინსტანციის განაჩენის გასაჩივრების ვადა 6 აგვისტოს იწურებოდა. 11 აგვისტომდე კი გირგვლიანის ოჯახის ადვოკატებს აღნიშნული საჩივრის ასლები უნდა გადასცემოდათ, რათა საპასუხო საჩივარი სასამართლოში დროულად წარედგინათ, თუმცა, სასამართლოდან პროკურატურისა და ბრალდებულების ადვოკატების საჩივრების ასლები დაახლოებით ერთი თვის დაგვიანებით, 7 სექტემბერს გადაეცათ, რაც საპროცესო ნორმების დარღვევაა.

გარდა ამისა, როგორც ცნობილი გახდა, გირგვლიანის ოჯახის დაცვის მხარე პროკურატურას მკვლელობის საქმეზე ნივთმტკიცების სახით დართული ვიდეო და აუდიო მასალის გადმოცემას დღემდე უშედეგოდ სთხოვს. **24 საათი**

### ინციდენტის დეტალები უცნობია

თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, "ტომი ჰილფიგერის" მაღაზიასთან გუშინ, შუადღისას, ახალგაზრდა ბიჭი დაჭრეს. ის, სავარაუდოდ, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი გიორგი გიორგაძეა. მომხდარი ინცინდენტის მიზეზი გუშინ მთელი დღის განმავლობაში უცნობი იყო. ცნობილია მხოლოდ ის, რომ დაჭრილი 18 წლის გია გიორგაძის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

პაციენტი მკერდის არეში ცივი იარაღით არის დაჭრილი, თუმცა, მას ქირურგიული ოპერაცია არ დასჭირდა. მომხდართან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებას გუშინ თავს არიდებდნენ როგორც სამართალდამცველები, ასევე დაჭრილის ოჯახის წევრები.

### მოწმეები "ტარასას" ადანაშაულებენ

უკრაინიდან დეპორტირებული "კანონიერი ქურდის" 27 მარტს, ციხეში მომხდარი ბუნტის ორგანიზებაში ბრალდებული ტარიელ ფოცხვერიას სასამართლო პროცესზე გუშინ მოწმეები დაკითხეს. მართლმსაჯულებას ჩვენებები მისცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ თანამშრომლებმა, რომლებიც თავის დროზე "ტარასას" საქმის წინასწარი გამოძიებისას დაიკითხნენ. ფოცხვერიას, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება.

დაკითხულ მოწმეთა შორის იყვნენ სამინისტროს თანამშრომელი დავით ლომჯარია და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომელი კახაბერ ცალქალამანიძე. ორივე მოწმემ დაადასტურა "ტარასას" ე.წ. კანონიერი ქურდობა და მიმდინარე წლის 27 მარტს ციხეში მომხდარ ბუნტში ტარიელ ფოცხვერიას მონაწილეობა. "7 წელია, რაც საგამოძიებო სტრუქტურებში "კანონიერი ქურდების" თემაზე ვმუშაობ. 2006 წლის 27 მარტს ტარიელ ფოცხვერია თბილისში მომხდარი ბუნტის დროს პატიმრებს ადმინისტრაციის თანამშრომლების დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა", - განაცხადა გუშინ მოწმედ დაკითხულმა დავით ლომჯარიამ. იგივე დაადასტურა მეორე მოწმემ კახაბერ ცალქალამანიძეც.

სასამართლოზე დაკითხულთა განცხადებებით, მათ წინასწარ გამოძიებაში ჩვენებები მიცემული აქვთ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ვერ დააკონკრეტა, საიდან ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ ტარიელ ფოცხვერიას ბრალეულობის დამადასტურებელი ახალი მტკიცებულებები წარადგინა. ამ მტკიცებულებების გასაცნობად დაცვის მხარემ გარკვეული ვადა მოითხოვა და ამ მოთხოვნით მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა. ფოცხვერიას ადვოკატების ეს მოთხოვნა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. სასამართლო პროცესი რამდენიმე დღეში განახლდება. **24 საათი**

### პატიმარმა შვილის ამბავი შეიტყო

სახალხო დამცველის აპარატის დახმარებით მამამ, რომელიც პატიმარია, 13 წლის წინ დაკარგული შვილის ამბავი შეიტყო.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრს განცხადებით მიმართა ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების პატიმარმა აზიზ მეხტიევმა. იგი აცხადებდა, რომ 13 წელია, რაც სასჯელს იხდის და ამ ხნის განმავლობაში არაფერი სმენია თავისი შვილის შესახებ, რომელიც დედამ 6 თვის ასაკში მიატოვა. მეხტიევმა სახალხო დამცველის აპარატს სთხოვა, შვილის ადგილ-სამყოფელისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინათ. როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის თანამშრომლებმა მოიძიეს აზიზ მეხტიევის შვილის შესახებ პირველადი ინფორმაცია, ჩააკითხეს მას ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილზე - მარნეულის რაიონის სოფელ ტაზაკენტში და მის საცხოვრებელ პირობებს გაეცნენ. ომბუდსმენის აპარატმა გაარკვია, რომ მეხტიევის შვილი ბიძის, თურა მეხტიევის ოჯახში ცხოვრობს და თავს კარგად გრძნობს.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა პატიმარს შვილის საცხოვრებელი ადგილისა და პირობების შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდეს და მისი ფოტოსურათებიც გადასცეს. **24 საათი**

### კიდევ ერთი კანონიერი ქურდის დაკავება მოსკოვში

მოსკოვში ცენტრალური ფედერალური ოლქის სამართალდამცველებმა ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი, 30 წლის აბესალომ პაპიაშვილი დააკავეს. პაპიაშვილს, რომელსაც კრიმინალური სამყარო "ბესიკის" სახელით იცნობს, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უკანონოდ ცხოვრების ბრალდება წაუყენეს. მოსკოვის ჩერტანოვოს რაიონულმა სასამართლომ ქართველი "კანონიერი ქურდის" ქვეყნიდან გაძევების დადგენილება მიიღო. მოსკოვის სამართალდამცველი ორგანოების სარწმუნო წყაროს ცნობით, აბესალომ პაპიაშვილი "ქურდად" 2004 წლის აგვისტოში, "ლუჟნიკებში" მოწყობილ ქურდულ შეკრებაზე "მონათლეს". გასული წლის აგვისტოში "ბესიკი" პოდმოსკოვიეს დმიტროვის რაიონის მცხოვრების, 60 წლის ქალისთვის 10 ათასი რუბლის წართმევისთვის ვოლოკოლამსკის საგამოძიებო იზოლატორში მოხვდა, თუმცა, მალევე გათავისუფლდა. აბესალომ პაპიაშვილი თბილისელია. მისი ძმაა ცნობილი "კანონიერი ქურდი" ზვიად პაპიაშვილი, რომელიც სასჯელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-7 იზოლატორში იხდის. **მედიანიუსი**

### იუსტიციის მინისტრის ბიუროს უფროსი პატიმრებს შეხვდა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბიუროს უფროსი ელენე ლაგვილავა გუშინ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა საპყრობილისა და საერთო რეჟიმის დაწესებულებას ეწვია და იქ მყოფი პატიმრების მდგომარეობით დაინტერესდა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ელენე ლაგვილავასთან შეხვედრისას პატიმრებს დაწესებულებაში არსებულ პირობებთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გამოუთქვამთ. მათი შენიშვნები, ძირითადად, წინასწარი გამოძიების პროცედურის გაჭიანურებას შეეხებოდა. მინისტრის ბიუროს უფროსმა დაწესებულებაში ახალგახსნილი სილამაზის სალონი დაათვალიერა, სადაც ამ დროისათვის 14 მსჯავრდებული სტილისტის ხელობას ეუფლება. აღნიშნული სასწავლო პროექტის ორგანიზებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისია (NORLAG) დაეხმარა. ხელობის შესწავლის მსურველი 60-მდე პატიმარი ოთხ ჯგუფში არის განაწილებული. თითოეული ჯგუფისათვის სასწავლო კურსი ერთთვიანია. **24 საათი**

# "თანასწორობის ინსტიტუტის" სარჩელი დაკმაყოფილდა

პირველი გვერდიდან

**თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო. თბილისის საქალაქო სასამართლოს ეს განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოში კერძო სარჩელით ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლებმა გავასაჩივრეთ. სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს განჩინება გააუქმა და საქმე განსახილველად კვლავ თბილისის საქალაქო სასამართლოს დაუბრუნა, რაც, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან თამამი და ობიექტური გადაწყვეტილებაა",** - განაცხადა "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" აღმასრულებელმა დირექტორმა და "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრთა ინტერესების დამცველმა კობა ბოჭორიშვილმა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსამართლე თამარ ზამბახიძემაც განმარტა. როგორც მან აღნიშნა, "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებების დასაცავად 11 აგვისტოს მიმართეს. სასამართლომ მათ სარჩელში ხარვეზის გამოსასწორებლად 5-დღიანი ვადა მისცა.




*თუკი "თანასწორობის ინსტიტუტის" სარჩელი საქართველოში არ დაკმაყოფილდება, მაშინ ევროსასამართლოს მიმართავენ.*

პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომელმაც ჩათვალა, რომ სარჩელში ხარვეზი ვადაში არ იყო გამოსწორებული, "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრების საქმე განსახილველად არ მიიღო. აღნიშნული განჩინება ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრდა. სააპელაციო სასამართლომ კი საპროცესო ვადა დაცულად მიიჩნია და ორგანიზაციის საქმე ხელახალი განხილვისთვის პირველ ინსტანციას დაუბრუნა.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" გამგეობის თავმჯდომარისა და "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრთა ინტერესების დამცველის მანანა კობახიძის თქმით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრების წინააღმდეგ ბოლო დროს აღძრულ საქმეებზე პრაქტიკულად, პირველი სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. მისივე თქმით, თუკი "თანასწორობის ინსტიტუტის" სარჩელი საქართველოში არ დაკმაყოფილდება, მაშინ ადვოკატები უკვე ევროსასამართლოს მიმართავენ.

აღსანიშავია, რომ "თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლები 8 აგვისტოს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას 10 ათასი ლარით ითხოვენ.

*24 საათი*

# სახალხო დამცველი გენპროკურორს მოვალეობას ახსენებს

*ფსიქიკურად დაავადებული პატიმარის გიორგი მიქიაშვილის მდგომარეობა კვლავ უკიდურესია. ამაზე საუბრონენ მისი ოჯახის წევრები, ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველიც. თუმცა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავკაცები მიქიაშვილის საქმეზე დღემდე დუმილს ინარჩუნებენ.*

**"გემუდარებით, ყველამ დამიჭირეთ მხარი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩემი ძმა უმძიმეს მდგომარეობაშია",** - იხვეწება განსასჯელ გიორგი მიქიაშვილის და, ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი, რომელიც დაკავებამდე ჯანმრთელი, მაგრამ საპყრობილეში ფსიქიკურად შეშლილი ძმის სამკურნალო დაწესებულებაში დაუყოვნებლივ გადაყვანას და რეალურ დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს. თუმცა, როგორც ნინო მიქიაშვილი ირწმუნება, ძმის გადასარჩენად დაწყებული ყველა აქცია გიორგი მიქიაშვილის საწინააღმდეგოდ შეტრიალდა.

საქმე ის გახლავთ, რომ 22 წლის გიორგი მიქიაშვილი, რომელიც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის დააკავეს, მისი დის ნინო მიქიაშვილის განცხადებით, საპყრობილეში ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა დროს მიყენებული სხეულის მძიმე დაზიანების გამო, ფსიქიკურად დაავადდა. დაკავებულის ადვოკატის ზაზა ხატიაშვილის მტკიცებით, გიორგი მიქიაშვილის ცემა-წამება მას შემდეგ დაიწყო, რაც დაკავებულის საქმე ადამიანის უფლებათა (სტრასბურგის) სასამართლოში გადააგზავნეს. მოსარჩელე მხარე მიქიაშვილისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის 3 მილიონი ლარის გადახდას მოითხოვს. "იმის გამო, რომ პატრულის იმიჯი არ შეილახოს, მიქიაშვილს სარჩელის უკან გამოტანას აიძულებენ, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ უკვე წარმოებაში მიიღო", - აცხდებს ხატიაშვილი.

ნინო მიქიაშვილის ინფორმაციით კი, გიორგი მიქიაშვილს დაკავების შემდეგ სულ 12-ჯერ სცემეს - მას ხან სასჯელაღსრულების




*"გემუდარებით, დამეხმარეთ", - თხოულობს პატიმრის და.*

დეპარტამენტის წარმომადგენლები, ხანაც კი ადმინისტრაციის დავალებით, პატიმრები სცემდნენ. ამის გამო ფსიქიკურად დაავადებული განსასჯელი, სამკურნალო დაწესებულების ნაცვლად, "კარცერში" "არაადამიანურ პირობებში" გადაიყვანეს. ერთ-ერთი ინცინდენტის შემდეგ გიორგი მიქიაშვილი სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრის ასისტენტმა, ექიმმა ლაზაურმა მოინახულა, რომელმაც დაადასტურა პატიმრის ცემის ფაქტი და შესაბამისი დასკვნაც დაწერა.

მოგვიანებით კი, სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩანა ახალაიას რეკომენდაციით მიმართა, რომელშიც სოზარ სუბარმა მსჯავრდებულ გიორგი მიქიაშვილის მიმართ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნისათვის სასამართლოს შუამდგომლობა და მისი საერთო პროფილის ფსიქიატრიულ სტაციონარში გადაყვანა მოითხოვა.

**"საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმარს გიორგი მიქიაშვილს მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა აქვს და შესაბამისი დახმარების აღმოჩენას საჭიროებს. მისი საკანში დატოვება სახიფათოა მისი ჯანმრთელობისათვის; უფრო მეტიც, მისთვის სათანადო მკურნალობის აღმოუჩენლობა წამების ტოლფასია",** - აღნიშნულია ომბუდსმენის შუამდგომლობაში.

სახალხო დამცველის პერსსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცენტრ "ემპათიას" პრეზიდენტმა, საერთაშორისო ექსპერტ-ფსიქიატრმა, მარინა ჯიშკარიანმა გიორგი მიქიაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა შეაფასა, როგორც ფსიქოზური რეგისტრის აშლილობა ფსიქო-მოტორული აგზნების სინდრომითა და აფექტურ-ბოდვითი მდგომარეობით.

**"ექსპერტი არ გამორიცხავს ჰალუცინაციური სინდრომის არსებობასაც. ამის გამო, ავადმყოფი სოციალურად საშიშია, საკუთარი თავისა და ირგვლივ მყოფთა მიმართ",** - ირწმუნება მარინა ჯიშკარიანი.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები კი, რომელბმაც არაერთხელ მოინახულეს გიორგი მიქიაშვილი, მის მდგომარეობას ასე აღწერენ: "ის ნახევრად შიშველი დარბოდა საკანში, ამტვრევდა საკანში განთავსებულ ნივთებს, აზიანებდა კედლებს და სველ წერტილებს. მის საკანში არის მძაფრი, არასასიამოვნო სუნი, რომელიც გამოწვეულია სველი წერტილების დაზიანებით. ის არაერთხელ იწვა იატაკზე. ადმინისტრაციის თანამშრომლების განცხადებით, გიორგი მ. საკანში წყლის დაგროვებას ცდილობდა და აცხადებდა, რომ ვენეციაში იყო და ა.შ.".

**"აღნიშნული მდგომარეობა საქართველოს კანონით ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საჭიროებს გადაუდებელი წესით ფსიქიატრიულ სტაციონარულ დახმარებას, რისი განხორციელებაც სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში, მათ შორის, ე.წ. პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების "ფსიქიატრიულ განყოფილებაში" შეუძლებელია, ვინაიდან ამ დაწესებულებათა სამედიცინო ნაწილები და, რაღა თქმა უნდა, მათ შორის აღნიშნული "სტაციონარის" ე.წ. ფსიქიატრიული განყოფილება არ აკმაყოფილებს არც საერთაშორისო და არც ეროვნული სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმებს",** - აღნიშნავს სახალხო დამცველი და გენპროკურორისადმი გაგზავნილ წერილში დასძენს: "თუ მსჯავრდებულის მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს სამკურნალო პუნქტში ან ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებაში, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებას, სასჯელაღსრულების დაწესებულება ვალდებულია, იგი დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში გადაიყვანოს".

გარდა ამისა, აღნიშნულ შუამდგომლობაში სოზარ სუბარი ცალკე საკითხად გამოყოფს ავადმყოფ განსასჯელისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას, რის შემდეგაც თუ დადასტურდა მისი ფსიქიკური დაავადება, სასამართლოს უფლება აქვს, გადაავადოს სასჯელის მოხდა. არადა, კანონმდებლობით, ექსპერტიზის დანიშვნის უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს, პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე.

**"აღნიშნული მუხლის მიხედვით, პროკურატურის ერთ-ერთი ამოცანაა, შეამოწმოს თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლების დარღვევის ფაქტი და განახორციელოს შესაბამისი საპროცესო მოქმედება",** - შეახსენებს სახალხო დამცველი გენპროკურორს ზურაბ ადეიშვილს და ამასთან, შესაბამის საპროცესო მოქმედებად მიიჩნევს სასამართლოს მიმართ შუამდგომლობას, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნით.

*24 საათი*

# სპიკერი მოსამართლის განმარტება

31 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობები, სამშობლოს ღალატის ჩადენაში მხილებული პირების - ჟორჟოლიანის, თოფურიასა და სხვა 12 ბრალდებულის მიმართ საპატიმრო ვადის ერთი თვით გაგრძელების თაობაზე.

როგორც ცნობილია, სასამართლო სხდომიდან მოსამართლემ ბრალდებულთა ნაწილი და მათი ადვოკატები გააძევა. საბოლოოდ, სასამართლომ თორმეტივე ბრალდებულს გაუგრძელა საპატიმრო ვადა ერთი თვით. ამასთან, გამოიტანა კერძო დადგენილება იმ ადვოკატების მიმართ, რომლებმაც ფაქტობრივად, დაცვის გარეშე დატოვეს ბრალდებულები.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სპიკერმა მოსამართლე ნინო სანდოძემ გააკეთა:

**"2006 წლის 31 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა შუამდგომლობები სახელმწიფო ღალატის ჩადენაში ბრალდებული პირების თოფურიას, ბულიას, პაპუკაშვილის და სხვათა, სულ 12 პირის მიმართ საპატიმრო ვადის 1 თვით გაგრძელების შესახებ.**

**სხდომის დარბაზში მოსამართლის შესვლის შემდეგ ადგილი ჰქონდა წესრიგის დარღვევას, რის გამოც, ბრალდებულთა ნაწილი და დამსწრე საზოგადოება მოსამართლის გადაწყვეტილებით გაძევებულ იქნა დარბაზიდან.**

**ამის შემდეგ რამოდენიმე ადვოკატმა თვითნებურად დატოვა სხდომის დარბაზი და ფაქტობრივად უარი თქვა დავის განხორციელებაზე. იმ მიზნით, რომ არ დარღვეულიყო ბრალდებულთა დაცვის უფლება, სასამართლოს სხდომა ჩატარდა ორ ეტაპად.**

**სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობები, ამასთან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მოთხოვნათა დარღვევის გამო ადვოკატების მიმართ გამოიტანა კერძო დადგენილებები, მათ შორის ადვოკატ მებონიას მიმართაც, რომელიც ახლო წარსულში სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ დაპატიმრებული იქნა 10 დღე-ღამის ვადით სასამართლოს უპატივცემულობის გამო.**

**რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს სხდომა ჩატარდა ხმაურის ფონზე. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან, ნაჩვენები კადრები გადაღებული იყო დარბაზში მოსამართლის შესვლამდე."**

*24 საათი*

# ევროპული არქიტექტურა ქარვასლაში

## ევროკომისიის წარმომადგენლობამ საქართველო დატოვა

მზევინარ ხუციშვილი

XIX საუკუნის თბილისში მრავალი უცხოელი არქიტექტორი თუ ინჟინერი მოღვაწეობდა, რომელთა წვლილი ქალაქის არქიტექტურის განვითარებაში ნამდვილად ფასდაუდებელია. ჯოვანი სკუდიერის, ჯუზეპე ბერნარდაჩის, ოტო იაკობ სიმონსონის, ალბერტ ზალცმანის და კიდევ სხვა ბევრი ევროპელი ხუროთმოძღვრების მიერ თბილისში აშენებული მაღალი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების ნაგებობები ქართული და ევროპული ტრადიციების ჰარმონიული მთლიანობით გამოირჩევა და განუყოფელია ქართული კულტურული მემკვიდრეობისაგან. მათი შემოქმედება თბილისში პირველად ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურის ცნობილმა მკვლევარმა, აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ გამოიკვლია. მან პირველმა მოიძია დიდძალი საარქივო მასალა და თბილისში შემორჩენილ შენობებთან იდენტიფიკაცია მოახდინა. მანვე შემოგვთავაზა ევროპელების მიერ აშენებული შენობების კლასიფიკაცია. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ამ ტრადიციას არქიტექტორი, ქალბატონი მაია მანია აგრძელებს. 31 ნოემბერს, "ქარვასლის" საგამოფენო დარბაზში სწორედ მის მიერ გადაღებული ფოტოების გამოფენა და წიგნის "ევროპელი არქიტექტორები თბილისში" პრეზენტაცია შემოგვთავაზეს, რომელიც ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ, გერმანიის და პოლონეთის საელჩოების, ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს და თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის განყოფილების მიერაა ორგანიზებული.



ეს შენობაც ევროპელი არქიტექტორების დაპროექტებულია.

გამოფენაზე წარმოდგენილია ევროპელი არქიტექტორების მიერ თბილისში აშენებული საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობების ფოტოები, რომლებიც მაია მანიას მიერ 1999-2006 წლებშია გადაღებული. ხოლო წიგნი ეძღვნება ევროპელი ხუროთმოძღვრების ღვაწლს XIX-XX საუკუნის დასაწყისის თბილისის არქიტექტურაში, მათ მიერ შეტანილ წვლილს თბილისის ურბანულ განვითარებაში. წიგნის ავტორი მიიჩნევს, რომ "ევროპელი არქიტექტორები, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას, ითვალისწინებდნენ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ, თბილისისათვის დამახასიათებელ სივრცითი ორგანიზაციის ტრადიციას. არქიტექტორთა ერთი ნაწილის შემოქმედება შეიძლება ხელოვნების სინთეზის თეორიის ფუძემდებელთა მოღვაწეობაც ვუწოდოთ."

წიგნში გამოყენებულია ბიბლიოგრაფიული, საარქივო და ცოცხალი ქალაქის კვლევის შედეგად მოპოვებული მასალა. იგი ილუსტრირებულია საარქივო და ავტორისეული ფოტოებით და ძველი პროექტებით. წიგნი აგრეთვე განკუთვნილია სპეციალისტებისთვის, თბილისის და XIX საუკუნის არქიტექტურის ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

გამოფენაზე ავტორთან ერთად ორგანიზატორებიც იმყოფებოდნენ.

**მაია მანია:** "უნდა აღვნიშნო, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი მასალა ძირითადად ეყრდნობა აკადემიკოს, ბატონ ვახტანგ ბერიძის გამოკვლევის შედეგებს, რომლებიც მან ჯერ კიდევ 1963 წელს გამოაქვეყნა ცნობილი ორ ტომეულის სახით. ჩვენ მხოლოდ გერმანელი არქიტექტორების და ინჟინრების რამდენიმე სახე დავამატეთ. ამავე დროს ყველა მათგანის აღნიშვნა თავისთავად ვერ მოხერხდა, რადგან არქივი ძალიან დიდია და ბევრ საიდუმლოს ინახავს, ამავე დროს აღმოსაჩენიც ბევრია. საერთოდ ჩემი ინტერესი ობსერვატორიის შენობიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც გავარკვიე, რომ ეს შენობა გერმანელი არქიტექტორის და ინჟინრის მიერ იყო აშენებული. შევეცადე უფრო დეტალურად შემესწავლა ბატონი ვახტანგის წიგნები. ვფიქრობ, ეს ჯერ კიდევ მცირედია, რისი გაკეთებაც შევძელი. უახლოეს მომავალში მინდა კიდევ ერთი წიგნი შევთავაზო ქართველ საზოგადოებას. იგი ნამდვილი, ძველი თბილისის შესახებ იქნება. ეს ჩემი ოცნებაა. მუშაობა დაწყებული მაქვს და იმედია განვახორციელებ."

**- მაგრამ, ძველი შენობები თითქმის განადგურების პირასაა?**

- ჩემს ფოტოებზე ასეთი შენობებიცაა ასახული. მე არანაირად არ ვცდილობდი მათ დაფარვას. პირიქით სურვილიც მქონდა, რომ ეს რეალობა გადმომეცა, რადგან ჩვენ ძალიან მალე გვეცლება ეს შენობები ხელიდან. ეს ფაქტი ყურადსაღებია. ხანდახან პესიმიზმიც მიპყრობს და ხშირად ვფიქრობ, შევძლებთ კი მათ გადარჩენას? მე დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ფოტოები საზოგადოებას დააინტერესებს. მათ ხარისხზე მე ვერ ვიმსჯელებ, ეს პროფესიონალებმა განსაჯონ, მაგრამ იმაში კი ვარ დარწმუნებული, რომ მათ დოკუმენტური ღირებულება ნამდვილად გააჩნიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს დღე მთლიანად ევროკომისიის წარმომადგენლობის საქართველოდან გაცილებას მიეძღვნა და როგორც მისმა ხელმძღვანელმა ბატონმა ტორბენ ჰოლცემ აღნიშნა, გული წყდება, რადგან ძალიან ბევრი რამ მონატრება.

**- ყველაზე მეტად რა მოგეწონათ საქართველოში და რა მიგყვებათ?**

- ქართველების სტუმართმასპინძლობა, სითბო, ქართული კულტურა, ხელოვნება და, რა თქმა უნდა, მეგობრობა...

თბილისის საზოგადოებისთვის კი გამოფენა 7 ნოემბრამდე გაგრძელდება.

# თანამედროვე ხელოვნების გამოფენა

დღეს ბავშვთა ნახატების ეროვნულ გალერეაში პროექტის "მოდი, ვიცოცხლოთ ორშაბათამდე" ფარგლებში გამოფენა იხსნება, რომელიც საქართველო-შვეიცარიის ერთობლივი პროექტია თანამედროვე ხელოვნებაში. მასში მონაწილეობენ როგორც ქართველი, ისე ევროპელი მხატვრები. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ფოტოარტი, ვიდეოინსტალაცია, სლაიდშოუ და სხვა. აგრეთვე ჯონ არმლედერის, მარიკა ასათიანის, ჯასტინ ბილის, მიხო ბერთლანის, ლორანს ბოვინის, ლევან ჭოღოშვილის და სხვების ნამუშევრები.

შვეიცარიის მხრიდან პროექტის ავტორი და კურატორია დანიელ ბაუმანი, საქართველოს მხრიდან - ხელოვნების ინტერდისციპლინური ლაბორატორია და ხელოვნებათმცოდნე მზია ჩიხრაძე.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სმოლენსკის საერთაშორისო კინოფესტივალი

სმოლენსკის მე-3 საერთაშორისო კინოფესტივალზე "ახალი კინო 21-ე საუკუნე" რამდენიმე პრიზი ქართულ ფილმებს ერგო.

გიორგი შენგელაიას ფილმი "მიდიოდა მატარებელი", რომელიც ძირითად კონკურსში მონაწილეობდა, ფესტივალის ჟიურიმ საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსის დიპლომით დააჯილდოვა.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში რეჟისორ ვანო ბურდულის ფილმმა "გრაფიტი" გაიმარჯვა, ხოლო ირაკლი კოჭლამაზაშვილის ფილმს "წვეთები" საუკეთესო დებიუტის დიპლომი ერგო.

"საქართველო-რუსეთს შორის გართულებული ურთიერთობების გამო სმოლენსკში ვერც ქართველი რეჟისორი გიორგი შენგელაია მოხვდა და ვერც ფილმის საფესტივალო ასლი. ამის მიუხედავად, "მიდიოდა მატარებელი" კონკურსიდან არ მოხსნეს და მისი DVD-ზე ნახვის შემდეგ ჟიურიმ მას სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსის დიპლომი მიანიჭა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი პრემიერისთვის ემზადება.

უახლოეს მომავალში მაყურებელი რუჯერო ლეონკავალოს ოპერას "ჯამბაზებს" იხილავს, რომელიც კომპოზიტორმა კატულ მენდესის პიესის "ტაბარენელი ქალის" მიხედვით შექმნა.

თბილისის ოპერის სცენაზე სპექტაკლს ცნობილი ქართველი რეჟისორი თემურ ჩხეიძე დგამს, დირიჟორია ზაზა აზმაიფარაშვილი, ხოლო სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე გიორგი ალექსი-მესხიშვილმა იზრუნა.

საპრემიერო სპექტაკლში მთავარ პარტიას ცნობილი ქართველი ტენორი ბადრი მაისურაძე შეასრულებს. "ჯამბაზების" მსოფლიო პრემიერა 1892 წლის 21 მაისს მილანში გაიმართა.

*ინტერპრესნიუსი*

# "წერილები ორფეოსს"

## არქაული მითის შორეთი და დრო შეჩერებული

**"სიტყვა კედელს შეენარცხა: ორფეოს"**

*ამ წუთას, სიტყვები არა კედელს, არამედ ფურცელს ენარცხება და თითქოს ჩემი მონიტორისა და ვორდის სითეთრეში ენთქმება. მაგრამ ახლა ეს სიტყვები მხოლოდ ევრიდიკესა და ორფეოსის ხსოვნად და მოგონებად ქცეულ წარმოდგენას ეძღვნება, რომელიც რამდენიმე დღის წინ ვიხილე და თამამად შემიძლია იმის აღიარება, რომ თბილისის თანამედროვე თეატრალურ სივრცეებში ამგვარი საინტერესო მოვლენა არ მინახავს. ვიცი, ამგვარად კიდევ რამდენიმე ფიქრობს. გარდა რამდენიმე იმ მცირერიცხოვანი ჯგუფისა, ვინც იულია პევზნერის მიერ ანათ შარონის პოეტური ციკლის მიხედვით ხორცშესხმულ სპექტაკლს ესწრებოდა. ჩვენი აზრით, "წერილები ორფეოსს" ფესტივალ "საჩუქრის" საუკეთესო წარმოდგენა გახლდათ, ნამუშევარი, რომელმაც თითქმის ცარიელ დარბაზში დაიწყო და დაასრულა ანტიკური მითის აწმყოში განფენა და სურეალისტური ხატების პლასტიკით, მუსიკით და პოეზიით ჩვენამდე მოტანა.*

სოფო კილასონია

მითი, რომელიც ახალ რეალობად გვექცა, მარადიულ სიყვარულს, ევრიდიკეს ორფეოსს ეხებოდა. მარადიული, მაგრამ სამუდამოდ დაკარგული ისტორია. გამახსენდა, თუ როგორ არ მოსწონთ ქალებს გაცვეთილი ფრაზა - "არაფერია მარადიული" და მაშინ მივხვდი, რომ ყველაფერი, რაც მაინც მარადიულია, იმთავითვე დაკარგულია. მგონი მასაც, მარტოხელა გოგონაში თავშეფარებულ ევრიდიკესაც ამის თქმა სურდა. მისმა სიყვარულმაც ხომ მაშინ დაკარგა რეალურად არსებობის უფლება, როცა იგი მარადისობად ექცა. წარმოდგენის კონკრეტული ქალი და ალბათ ნებისმიერი ქალი რაღაც მომენტში თავისუფლად ხდება ევრიდიკე, ქალი, რომელსაც შეუძლია ისე ინატროს, რომ გააცოცხლოს და ქალი, რომელსაც ყველაფერი ესმის, იმის მიუხედავად, რომ ვერ ხედავს, ამბობს ანდა ათქმევინებენ: "ევრიდიკე ვარ დღეს და ხვალაც ვიქნები ისევ. ერთ გარსში ვცურავთ."



სცენა სპექტაკლიდან.

იულია პევზნერი, სანკტ პეტერბურგიდან ისრაელში ემიგრირებული რეჟისორი, არც თუ ისე დიდი ასაკისა, უკვე ავტორიტეტად ქცეული პერსონაჟია თანამედროვე მუსიკალური თეატრის სივრცეში. არაერთი ცნობილი და წარმატებული ოპერისა და დრამატული წარმოდგენის ავტორი, აღმოჩენებს არა თვითმიზნური ძიებებით ახდენს, არამედ ზოგადად ხელოვნების სხვადასხვა დარგების სპეციფიკისა და საერთოს ცოდნითა და ძიებით. მაინც რას წარმოადგენდა "წერილები ორფეოსს"? მიუხედავად არასტანდარტული ფორმისა, ის არ ყოფილა ნოვაციების პრეზენტაციაზე გათვლილი წარმოდგენა. სპექტაკლი, რომელიც არაერთისთვის ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების აღრევა იყო, ბევრისთვის ამ მიმართულებების არაჩვეულებრივად მარტივ და სადა სინთეზსს წარმოადგენდა. ანათ შარონის პოეტური ციკლი, რომელსაც ერთი მსახიობი კითხულობს და მეორე მღერის, ყველაფრის გასაღებია: იმ ქორეოგრაფიისა, რომელიც რონიტ ზავს ეკუთვნის და რომელსაც ერთი მსახიობი ქალი ნოა როზენტალი საკამოდ კარგად ასრულებდა. გასაღები იმ სიმღერისა (მუსიკა - რონენ შაპირი), რომელსაც მეორე, ევრიდიკე - იარ ვოლპე მღერის და იმ მუსიკისა, რომელიც სპეციალურად პევზნერის წარმოდგენისთვის დაიწერა და რომელიც პირდაპირ სცენაზე ცოცხლად შესრულდა ქართველი მუსიკოსებით შემდგარი კვარტეტის მიერ.

ევრიდიკეს წერილები ჯოჯოხეთიდან იმპულსებია, რომელიც მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ქმედების პროვოცირებას ახდენს იქ, სადაც დრო შეჩერდა, დიახ, "დრო შეჩერდა, ორფეოს, ნუღარ დაითვლი..."

მიუხედავად იმისა, რომ საფესტივალო ბუკლეტი წარმოდგენის სიუჟეტს დაწვრილებით გვიამბობს, ის არ გვეჩვენება იმ სპექტაკლად, რომლის სიუჟეტის კითხვა წარმოდგენის ხილვისას ანდა მას შემდეგ აუცილებლობას სულაც არ წარმოადგენს, მაგრამ მათ, ვისაც არ უნახავს...

პრემიერა ამ პოეტურ-მუსიკალური წარმოდგენისა 2004 წლის ზაფხულში Kefar Blum Festival-ზე გაიმართა. კრიტიკამ შეაფასა, როგორც ფესტივალის ერთ-ერთი უმშვენიერესი მარგალიტი. სპექტაკლის ავტორები ისრაელის ხელოვანები არიან. პოეზიის, მუსიკის, ქორეოგრაფიის ელემენტების თეატრში შერწყმით მათ სინთეზური სცენური ნაწარმოები შექმნეს.

ორი ქალის დიალოგი სიმღერისა და ცეკვის ტანდემით ხორციელდება. ერთი თითქოს ის არის, ვინც მიჯნურს უხმობს და მეორე ის, რომელიც საკუთარი მითოლოგიური პროტოტიპით შთაგონებული ალბათ საკუთარ თავს ეძებს.

ქორეოგრაფია - მოდერნის მონახაზებითა და თავისუფლებით, იმდენად ფაქიზია, რომ არ უსწრებს ტექსტს. მუსიკა - პერიოდული ქაოსი და ხმა - სიმღერა, რომელიც არა თუ სმენას იპყრობს, არამედ აზრებს გვაწვდის. ამ ყველაფრიდან სხვა არაფერი რჩება თუ არა გრძნობა, ყოვლისმომცველი და გამანადგურებელი განცდა, უბრალოდ მონატრება იმისა, რაც აღარ დაბრუნდება. მართალია ანათ შარონი, როცა გვაგრძნობინებს, რომ ამას ვერავინ გაიგებს, ვისაც ძვირფასი სიკვდილის გამო არ დაუკარგავს, ვისაც სიყვარული სამუდამოდ გაჩუმებულ გრძნობებად არ ქცევია.

და ეს თითქმის და არც არაფერი და მაინც ყველაფერი ადამიანის შესახებ იმ ფორმებით გვითხრეს და ისე ზუსტად გამოთქვეს, რომ არაფერი გვეჩევნა იმ წუთას ისე ნამდვილი, როგორც ის სიმღერა და ის ცეკვა. სულ პატარა სიგიჟე ევრიდიკესი, ევრიდიკესი, რომლის სხეულს ისევ ატყვია გველის ნაკვალევი, როგორც ნიშანი წარსულის აწმყოსთან კავშირისა, ნიშანი მხოლოდ ანტიკური მითის არქაულობისთვის დამახასიათებელი უნარისა - იყოს გუშინაც და დღესაც, განწირული და მაინც არსებული.

ის, ევრიდიკედ ქცეული ადამიანი დაიძახებს, რომ "ორფეოსს, ახლა ვმღერი, რომ დედამიწა შორეთია და ვმღერი, დედამიწა არის შორეთი." ალბათ შორეთია, რადგანაც ყვირის მაგრამ ვერ იხმობს, თუმცა ის მაინც წვდება ჩვენს აზრებს, ათასი ქვეყნისა და დროის მიღმა ჩაძირული, თავად საკუთარი მითის ქვესკნელში დამწყვდეული, ის მაინც ყველგან არის, ახალგაზრდა ქალის სახლსა და სხეულშიც კი. ამიტომაც რა გვიშლის ხელს ვიფიქროთ, რომ დედამიწა არც ისეთი შორეთია, დრო კი - შეჩერებული.

ებრაული დასი კინომსახიობთა თეატრში ორჯერ გამოვიდა სცენაზე. არც ერთ დღეს სანახევროდაც კი არ შევსებულა დარბაზი. ის, ვინც მოდიოდა, გაკვირვებას გამოხატავდა, მაგრამ საკვირეველი ამაში არაფერია. თანამედროვე ხელოვნების ფორმები და საშუალებები ჩვენი მაყურებლისთვის უცხოა. პევზნერის "წერილები ორფეოსს" - კრება ახალი ენით მოუბარი ხელოვანებისა, ბევრისთვის მაინც გაუგებარი დარჩა. ჩვენ ალბათ უკვე დიდი ხანია გადავეჩვიეთ სიახლეს, დახვეწილობასა და აზროვნებას ხელოვნების ფორმით. ჩვენ ისევ ფსევდო-ნოვაციებით გვკვებავენ. თავად თეატრალები არცოდნას არცოდვად მიიჩნევენ ისევ აპლოდისმენტებს ითხოვენ ათსჯერ ნანახისა და დაძველებულის ხელახლა გამეორებისთვის.

# დროული და აუცილებელი ტექნოლოგია

ნინო ნარჩემაშვილი

დრომ მოიტანა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა უკვე საჭირო კი არა აუცილებლობა გახდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ათვისება ხალხმრავალ, საზოგადოების თავშეყრის ადგილებზე, ფართომასშტაბიან ღონისძიებებზე, სადაც, როგორც წესი, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, სანიტარული და უსაფრთხოების ნორმების დასაცავად გამაგრილებელი სასმელებისა თუ საკვები პროდუქტების გასაყიდად გამოყენებულია სპეციალური დანადგარები.

რატომ არის მნიშვნელოვანი ასეთი ტექნოლოგიები? აღსანიშნავია, რომ აქამდეც არსებობდა გამაგრილებელი სასმელების ჩამოსასხმელი სტაციონალური აპარატები, მაგრამ აქ განსაკუთრებით აუცილებელია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, სტერილურობის, თუნდაც საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, რომ აღარაფერი ვთქვათ თვოთონ პროდუქციის მომხმარებლისათვის წარდგინების შესახებ. ამასთან, საზოგადოების თავშეყრის დროს ქუჩის ვაჭრობის შემთხვევაში ის ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ტექნოლოგიის გამოყენებისას ხმარებიდან ამოღებულია მინის ტარაში ჩამოსხმული სასმელები, რაც თავის მხრივ რისკს შეიცავს. საქართველოში ასეთი დანიშნულების, ეგრეთ წოდებული, "ნოუ ჰაუ" პირველად სპეციალურად თბილისობის ღონისძიებისათვის, რომელშიც წელს 100 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, კომპანია "კოკა-კოლამ" შემოიტანა. კომპანიის მიერ ჩამოტანილი ახალი დანადგარები მოძრავია და მათი გადატანა ნებისმიერ სასურველ ადგილას არის შესაძლებელი.




თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ფატი დავითულიანი აღნიშნავს, რომ **"თბილისობაზე ასეთი აპარატების გამოყენება თავიდანვე დაიგეგმა, მაშინვე, როცა კომპანია "კოკა-კოლა" ღონისძიების გენერალური სპონსორი გახდა. გარდა იმისა, რომ ეს დანადგარები ლამაზი და კომფორტულია, იგი ეკოლოგიურად სუფთა და გამოყენებისას უსაფრთხო გახლავთ - ყველაფერი ერთჯერადია და არ არის შუშა, რომელიც ასეთი ხალხმრავალი ღონისძიებების დროს აბსოლუტურად გამართლებულია".**

რაც შეეხება თვითონ დანადგარებს, ეს გახლავთ გაზიანი სასმელების ჩამოსასხმელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აპარატები, რომლებიც ცნობილ გერმანულ კომპანია "სელბახშია" (SELBACH) დამზადებული და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ისინი გადასატან მოწყობილობებს წარმოადგენენ, რომელთა დადგმა ან გადაადგილება ნებისმიერ ადგილას არის შესაძლებელი. საქართველოში მათი დანერგვისათვის კომპანია "კოკა-კოლამ" 100 ათასი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

კომპანიაში აღნიშნავენ, რომ გარე სადისტრიბუციო ქსელის სერიოზული გაფართოება 1993 წლიდან დაიწყო და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მუდმივი სიახლეების დანერგვითა და შეთავაზებით არის დაკავებული. რაც შეეხება ამჯერად ჩამოტანილ ჩამოსასხმელ აპარატებს, მისი შეფასებისათვის ისიც კმარა, რომ დანადგარები გერმანული ფირმა "სელბახის" წარმოების გახლავთ, რომელსაც ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებასა და წარმოებაში 20-წლიანი გამოცდილება აქვს და საკუთარი პროდუქციით ფაქტობრივად მსოფლიოს ყველა ქვეყანას ამარაგებს. მისი სავიზიტო ბარათი კი მსოფლიო ბაზარზე მაღალი ხარისხი და საუკეთესო სტანდარტი გახლავთ.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამართველო აცხადებს ტენდერს **ავტოსატრანსპორტო საშუალებების** შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი:302003000 ანგარიშსწორები ანგარიში - 200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, სოფელი ჭითაწყარი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

ლოტი: 1 - მსუბუქი მაღალი გამავლობის (4X4) ავტოსატრანსპორტო საშუალება -9 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ორკარიანი.
- საწვავის ხარჯი - 100 კილომეტრზე მაქსიმუმ 9 ლიტრი 90 კმ სიჩქარეზე.
- საწვავის ტიპი - ბენზინი.
- ძრავის მოცულობა - 1.600 - 1800 სმ3.
- სიმძლავრე - არანაკლები 80 ცხენის ძალა.
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური (5 წინა, 1 უკანა).
- გამოშვების წელი - 2006 წელი.

ლოტი: 2 - ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება - 10 ერთეული, რომლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ოთხკარიანი
- საწვავის ხარჯი: ბენზინის შემთხვევაში 100კმ-ზე - მაქსიმალური 18 ლიტრი,
- ძრავის მოცულობა 2000-დან 4000-მდე კბ.სმ.
- სიმძლავრე - არანაკლები 80 ცხენის ძალა.
- სიჩქარის გადამცემი კოლოფი მექანიკური.
- გამოშვების წელი - 2006 წელი.

3. მიწოდების ადგილი - ქ. ზუგდიდი, სოფელი ჭითაწყარი.

4. მიწოდების სასურველი ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 20 დეკემბრამდე..

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 21 ნოემბრის 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, სოფელი ჭითაწყარი.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან ,რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

გ) ცნობა საგადასახოდან რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი 2% ოდენობით.

10.. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

11.. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: აბშილავა კხა, ტელ. 893 30 15 12.

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2006 წლის 06 სექტემბერს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებისათვის ინდივიდუალური სკამებისა და მერხების სახელმწიფო შესყიდვაზე 4 ლოტად გამოცხადებულ ტენდერში სახელმწიფო შესყიდვის ოთხივე ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს "მლ-იმპორტი" და 2006 წლის 23 ოქტომბერს გაფორმდა N404 ხელშეკრულება.

### სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების საჯარო აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საფინანსო სააგენტო"-ს მიერ 2006 წლის 27 ოქტომბრის (N239) გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ლოტი N158-(98) - რაოდენობა 3493 - ღირებულება 12745.28 ლარი გაიყო ორ ლოტად:

ლოტი N158-(98) - რაოდენობა 2975 - ღირებულება 10990.67 ლარი;

ლოტი N158-(98-468) - რაოდენობა 518 - ღირებულება 1754.61 ლარი.

**"საფინანსო სააგენტო"**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს რეკონსტრუქციის საპროექტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღე.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები დახურული კონვერტით ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ღირებულების გარეშე ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 ნოემბერს 10:00-დან 11:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

a) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ მომსახურებაზე(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| № | მომსახურების დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| . | | | | |

g) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

d) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. პირველად სატენდერო წინადადებაში(ღირებულების გარეშე) წარმოდგენილ უნდა იქნას არსებული შენობის რეკონსტრუქციის კონცეფცია და ძირითადი არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილებების ესკიზები.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის პირველ ეტაპს თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 2 ნოემბრიდან 22 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

## ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური

(მისამართი: თბილისი. გ.ტაბიძის ქ. N4. მე-3 სართული)

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის N10-6 გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქალაქ თბილისის მთავრობის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების აუქციონის ფორმით განკარგვის წესის შესახებ" დებულების და ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 13 ივნისის N15.07.291 დადგენილების საფუძველზე

**აცხადებს აუქციონს**

შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო"-ს ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი სატრანსპორტო საშუალებების (დანართი 1) სარეალიზებოდ; დანართში მითითებულ თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე დაფიქსირებულია სარეალიზებო ღირებულება და სარეალიზებო ღირებულების "ბე".

**ქონება დაყოფილია 52 ლოტად და აუქციონი ჩატარდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე. დასაშვებია აუქციონში მონაწილეობა და განაცხადის წარმოდგენა, როგორც ერთ ლოტზე, ასევე რამდენიმე ლოტზე.**

გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშწორების ანგარიშში.

**აუქციონში მონაწილის ბილეთის** ღირებულებაა 50 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო"-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად სამსახურს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდგომაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

**თანხის ("ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:**

- სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
- ბანკის კოდი: N 220 101 502
- ანგარიშსწორების ანგარიში: N 400 467 860
- საიდენტიფიკაციო კოდი: N 202 207 307

შპს "მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმო";

შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო"-ს ბალანსზე რიცხული სარეალიზებო სატრანსპორტო საშუალებების ბიჯის ოდენობა განისაზღვროს თითოეულ ერთეულზე 50 ლარის ოდენობით:

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი,
- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა (პრეტენდენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილიბა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

**განაცხადები მიიღება:** 2006 წლის 4 დეკემბრის 18:00 საათამდე;

**აუქციონი გაიმართება: 2006 წლის 5 დეკემბერს 12:00 საათზე.**

**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია**

- შემაჯამებელი ოქმის სამსახურის მიერ დამტკიცებიდან 20 დღის ვადაში დაფაროს გადასახდელი საბოლოო ფასი, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.
- ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი "ბე" დაუბრუნდება აუქციონის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, აუქციონში მონაწილის მოთხოვნით.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი. გ. ტაბიძის ქ. N4 მე-3 სართული. ტელ.: 93 61 09 (საკონტაქტო პირი - ზურაბ ლომინაძე)

დანართი 1

შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო"-ს ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი სარეალიზებო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნუსხა

| № | ავტოსატრანსპორტო საშუალება მოდელი, მარკა | სახელმწიფო ნომერი | გამოშვების წელი | სარეალიზებო ღირებულება - ლარი | ბიჯის ოდენობა | სარეალიზებო ღირებულების „ბე" - ლარი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იკარუს - 260 | ACN - 186 | 1990 | 892.5 | 50 | 357 | |
| 2 | იკარუს - 260 | ACN - 217 | 1990 | 840 | 50 | 336 | |
| 3 | იკარუს - 260 | ACN - 181 | 1990 | 840 | 50 | 336 | |
| 4 | იკარუს - 260 | ACN - 206 | 1989 | 892.5 | 50 | 357 | |
| 5 | იკარუს - 260 | ACN - 193 | 1990 | 787.5 | 50 | 315 | |
| 6 | იკარუს - 260 | GXG - 096 | 1989 | 735 | 50 | 294 | |
| 7 | იკარუს - 260 | ACN - 712 | 1988 | 735 | 50 | 294 | |
| 8 | იკარუს - 250 | ACN - 212 | 1990 | 840 | 50 | 336 | |
| 9 | იკარუს - 256 | AAG - 470 | 1982 | 630 | 50 | 252 | |
| 10 | იკარუს - 256 | ACG - 915 | 1987 | 945 | 50 | 378 | |
| 11 | იკარუს - 256 | AAG - 154 | 1987 | 892.5 | 50 | 357 | |
| 12 | იკარუს - 256 | AAE - 479 | 1988 | 840 | 50 | 336 | |
| 13 | იკარუს - 256 | AAD - 316 | 1986 | 787.5 | 50 | 315 | |
| 14 | იკარუს - 256 | ACU - 096 | 1985 | 787.5 | 50 | 315 | |
| 15 | იკარუს - 256 | ACG - 350 | 1983 | 735 | 50 | 294 | |
| 16 | იკარუს - 256 | AAD - 296 | 1985 | 682.5 | 50 | 273 | |
| 17 | იკარუს - 256 | ACQ - 823 | 1990 | 787.5 | 50 | 315 | |
| 18 | იკარუს - 256 | ACG - 703 | 1986 | 840 | 50 | 336 | |
| 19 | იკარუს - 256 | ACG - 925 | 1985 | 787.5 | 50 | 315 | |
| 20 | იკარუს - 256 | ACG - 437 | 1982 | 735 | 50 | 294 | |
| 21 | იკარუს - 260 | ACG - 345 | 1988 | 840 | 50 | 336 | |
| 22 | იკარუს - 256 | ACG - 519 | 1983 | 525 | 50 | 210 | |
| 23 | იკარუს - 256 | ACG - 351 | 1988 | 682.5 | 50 | 273 | |
| 24 | იკარუს - 256 | AAP - 353 | 1989 | 787.5 | 50 | 315 | |
| 25 | იკარუს - 256 | ADD - 492 | 1987 | 735 | 50 | 294 | |
| 26 | იკარუს - 256 | ACU - 061 | 1986 | 735 | 50 | 294 | |
| 27 | იკარუს - 256 | ACG - 523 | 1988 | 787.5 | 50 | 315 | |
| 28 | იკარუს - 256 | ACG - 434 | 1987 | 735 | 50 | 294 | |
| 29 | ლაზ - 42021 | ACN - 179 | 1991 | 892.5 | 50 | 357 | |
| 30 | ლაზ - 695 N | ACQ - 187 | 1987 | 420 | 50 | 168 | |
| 31 | ლაზ - 695 N | ACQ - 294 | 1990 | 472.5 | 50 | 189 | |
| 32 | ლაზ - 695 N | ACQ - 280 | 1991 | 420 | 50 | 168 | |
| 33 | ლაზ - 695 N | ACQ - 118 | 1986 | 315 | 50 | 255 | |
| 34 | ლაზ - 695 N | ACQ - 205 | 1991 | 630 | 50 | 252 | |
| 35 | ლაზ - 695 N | ADG - 943 | 1988 | 420 | 50 | 168 | |
| 36 | ლაზ - 695 N | ACQ - 295 | 1990 | 420 | 50 | 168 | |
| 37 | ლაზ - 695 N | ACQ - 134 | 1987 | 367.5 | 50 | 147 | |
| 38 | ლაზ - 695 N | ACQ - 207 | 1988 | 367.5 | 50 | 147 | |
| 39 | ლაზ - 695 N | ACQ - 138 | 1987 | 315 | 50 | 255 | |
| 40 | ლაზ - 695 N | ACQ - 173 | 1990 | 420 | 50 | 168 | |
| 41 | ლაზ - 695 N | ACQ - 446 | 1988 | 367.5 | 50 | 147 | |
| 42 | ლაზ - 695 B | ACQ - 578 | 1990 | 367.5 | 50 | 147 | |
| 43 | ლაზ - 695 N | ACQ - 014 | 1990 | 472.5 | 50 | 189 | |
| 44 | ლაზ - 695 N | ACQ - 291 | 1987 | 420 | 50 | 168 | |
| 45 | ლაზ - 695 N | ACQ - 509 | 1990 | 472.5 | 50 | 189 | |
| 46 | ლაზ - 695 N | ACQ - 135 | 1987 | 367.5 | 50 | 147 | |
| 47 | ლაზ - 695 B | ACU - 927 | 1985 | 472.5 | 50 | 189 | |
| 48 | პაზ - 672 M | ABP - 960 | 1986 | 367.5 | 50 | 147 | |
| 49 | ზილ - 131 NL | ABQ - 195 | 1988 | 420 | 50 | 168 | |
| 50 | ზილ - 130 | ABX - 372 | 1983 | 420 | 50 | 168 | |
| 51 | ზილ - 431412 | ABQ - 194 | 1988 | 525 | 50 | 210 | |
| 52 | ოდაზ - 9357 | AB - 616 | 1988 | 420 | 50 | 168 | |

კალათბურთი

# ფაჩულიას რეალური სახე

ვასილ უდუმაშვილი

სტარტი აიღო NBA-ს რეგულარულმა სეზონმა. მალე ქართული დერბიც შედგება - "ატლანტა" "ნიუ იორკს" უნდა დაუპირისპირდეს. ეს იქნება ატლანტელთა პირველი საშინაო მატჩი, რომელსაც ფაჩულიას გუნდი რეგულარული სეზონის მეორე ტურში გამართავს. ამ სეზონში ჯორჯიელი ქორებისგან ბევრს ელიან. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ატლანტელები სეზონის მთავარ აღმოჩენად იქცევიან. წინასასეზონო მატჩებმა ეს მოსაზრება საკმაოდ გაამყარა. თუმცა, ვნახოთ, რა იქნება თავად რეგულარული სეზონის დასრულების შემდეგ.

მანამდე კი ზაზა ფაჩულიას გაგაცნობთ. უფრო სწორად, გვინდა გაჩვენოთ, თუ როგორია ის ამერიკელებისთვის. ერთ-ერთ ატლანტურ სპორტულ გამოცემაში რეგულარული სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა სეკოუ სმითის ვრცელი და საინტერესო მასალა ზაზა ფაჩულიაზე, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

"კარგად იცნობთ იმ პროფესიონალ ათლეტებს, რომლებიც თქვენს საყვარელ გუნდებში თამაშობენ? ალბათ არც ისე კარგად.

ვარსკვლავებს არ უყვართ საკუთარ თავზე საუბარი და თქვენ მათზე დაახლოებით ისეთი წარმოდგენა გაქვთ, როგორიც - მათ თქვენზე.

"ჰოუკსის" ცენტრი ზაზა ფაჩულია სასიამოვნო გამონაკლისია. მას არ ერიდება საკუთარ თავზე საუბარი და უნდა, რომ გულშემატკივრები კარგად იცნობდნენ. ალბათ ამ მასალის გაცნობის შემდეგ, როდესაც ზაზას თამაშს იხილავთ, იფიქრებთ, რომ მოედანზე თქვენი ძველი ნაცნობი თამაშობს.

მისი ნამდვილი სახელი ზაზა არ გახლავთ. დაბადებისას მას ზაური დაარქვეს. მან თავად შეიცვალა სახელი და ახლა ზაზა ჰქვია.

პროფესიული კარიერა 15 წლის ასაკში მის მშობლიურ საქართველოში დაიწყო.

კალათბურთის გარდა, მას ძალიან უყვარს ჩოგბურთი და ფეხბურთი. მისი საყვარელი საფეხბურთო გუნდი იტალიური "მილანია".

მისი საყვარელი მომღერლები Jay-Z და 50 Cent არიან.

შესაძლოა, თქვენ არ ელოდით ამას ევროპელი ბიჭისგან, მაგრამ ჩვენ ეს გავიგეთ რეგულარული სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ზაზასთან გულახდილი საუბრის წყალობით.

**საყვარელი ფილმი:** ნაიარევი სახე

**საყვარელი სატელევიზიო შოუ:** Punk'd (ერთ-ერთი ამერიკული ტელეშოუ)

**ყველაზე რთული მეტოქე:** შაკილ ო`ნილი და იაო მინი

**პოპულარული პიროვნება, ვისაც გსურთ, რომ ჰგავდეთ:** სილვესტერ სტალონე

**ვისთან ერთად გაივლიდით წითელ ხალიჩაზე:** ჯესიკა ალბა

**უკანასკნელი ფილმი, რომელიც ნახეთ:** პატარა კაცი

**პირველი ავტომობილი:** ოპელ ომეგა

**თქვენი საუკეთესო მეტსახელი:** Dobule Z

**საუკეთესო რჩევა, რომელიც მიგიღიათ:** "ყოველთვის იყავი მზად. შესაძლოა მწვრთნელმა ნებისმიერ მომენტში შეგიყვანოს მოედანზე". ეს "ორლანდოს" ყოფილმა მწვრთნელმა დოკ რივერსმა მითხრა, რომელიც ახლა "ბოსტონში" მუშაობს.

**დაბადებისას რამდენს იწონიდით:** ოთხ კილოგრამს

**დაასახელეთ სამი ადამიანი, რომლებთანაც ყველაზე მეტად გინდათ ვახშმობა:** ალ პაჩინო, რობერტ დე ნირო, მაიკლ ჯორდანი

**საოცნებო ადგილი:** რიო დი ჟანეირო

**ამერიკული საფეხბურთო ლიგის საყვარელი გუნდი:** გამოგიტყდებით, ამერიკულ ფეხბურთს არ ვქომაგობ. ისე კი, ალბათ "ფალკონსი"

**კოკა თუ პეპსი:** სპრაიტი

**თქვენი კომპიუტერის საწყისი ვებგვერდი:** NBA.com

**საყვარელი რესტორანი:** ტვისტი

**საყვარელი ადგილი, სადაც გიყვართ თავისუფალი დროის გატარება:** ბლუპოინტი (ერთ-ერთი ღამის კლუბი)

**რა გაქვთ ჩაწერილი iPOD-ზე:** ყველაფერი - მუსიკა, ვიდეოკლიპები, ფოტოები და ფილმები

**რეგულარულ სეზონში რომელ ქალაქებში გიყვართ ყოფნა:** მაიამი და ორლანდო

**ძველი თუ ახალი ბურთი:** ახალი

**რამდენი მანქანაა თქვენს ფარეხში:** სამი. ორი თანამედროვე და ერთი ანტიკვარული

**ათი წლის შემდეგ:** ჯერ მხოლოდ 22 წლის ვარ. იმედია, ათი წლის შემდეგ ისევ კალათბურთს ვითამაშებ

**20 წლის შემდეგ:** მინდა ვიყო კარგი მეოჯახე და ბიზნესმენი

**საყვარელი მანქანა:** ყველა მანქანა მომწონს

**საყვარელი ფერი:** ცისფერი

**საყვარელი კერძი:** ტორტელინი (კერძი იტალიური სამზარეულოდან)

**ყველაზე მხიარული თანაგუნდელი:** ტაირონ ლი

**უკანასკნელი მნიშვნელოვანი შენაძენი:** ახალი iPOD-ი, რვაგიგაბაიტიანი. ყველა საყვარელი სიმღერა ჩავიწერე

**საუკეთესო მატჩი პროფესიულ კარიერაში:** გასულ სეზონში "ორლანდოს" წინააღმდეგ გამართული მატჩი, როდესაც ჩემი ტყორცნით გუნდს გამარჯვება მოვუტანე

**მსახიობი, რომელიც შეძლებდა თქვენი როლის შესრულებას მხატვრულ ფილმში:** არა მგონია, ამსიმაღლე მსახიობი მოიძებნოს. ჯობია თავად ვითამაშო

**უკანასკნელი მეტოქე, რომელთან ერთადაც ისადილეთ:** ორლანდოელი ჰედო თურქოგლუ

**უახლოეს მომავალში სად გაემგზავრებით:** არა მგონია, უახლოეს მომავალში აშშ-ს დატოვება მოვახერხო. რეგულარული სეზონის შემდეგ კი ანტალიაში წავალ დასასვენებლად. მშვენიერი ადგილია

**ვინ გახდება ამ სეზონში ჩემპიონი:** სეზონი ჯერ არ დაწყებულა. ასე რომ, ყველა გუნდს ჩემპიონობის თანაბარი შანსი აქვს

**რომელი გუნდი იქნება სეზონის მთავარი სენსაცია:** რა თქმა უნდა, "ჰოუკსი"

აი, ასეთი საუბარი გაიმართა ჟურნალისტსა და ქართველ კალათბურთელს შორის.

ბოლოს კი გეტყვით, რომ გუშინ დაიწყო NBA-ს რეგულარული სეზონი. გაიმართა ორი მატჩი. "ჩიკაგომ" 108:66 დაამარცხა "მაიამი", "ლეიკერსმა" კი "ფენიქსს" 114:106 მოუგო.



ფაჩულია NBA-ში თავს არ ზოგავს.

მოკლედ

## შუმახერი და ზიდანი - ერთად

სულ რაღაც ერთი წლის წინ ერთი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა, მეორე კი - ფორმულა 1-ის საუკეთესო პილოტად. დღეს ორივე პენსიაზეა და საკუთარ ძალებს ახალ საქმიანობაში ცდიან. ზინედინ ზიდანსა და მიხაელ შუმახერს მალე კინოში გადაიღებენ. დაგეგმილია გადაღება ფილმისა "ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე", რომელშიც ზიდანთან და შუმახერთან ერთად ჟერარ დეპარდიე, კლაუდია კარდინალე და ალენ დელონი ითამაშებენ.

## სენა ტრასაზე ბრუნდება

ფორმულა 1-ის გულშემატკივრებს 2009 წლის სეზონში საინტერესო სიურპრიზი ელით. სამეფო რბოლებში კიდევ ერთი სენა გამოჩნდება - ლეგენდარული აირტონ სენას ძმისშვილი ბრუნო სენა.

ამის თაობაზე 23 წლის ბრაზილიელმა ერთ-ერთ გერმანულ გამოცემასთან ინტერვიუში ისაუბრა. ჯერჯერობით ახალგაზრდა მრბოლი GP 2-ის სერიაში ასპარეზობს და მომავალი სეზონისთვის ემზადება.

## ვის გულშემატკივრობენ მსაჯები

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს ის, რაც ფეხბურთის გულშემატკივრისთვის ისედაც კარგად არის ცნობილი. თურმე არბიტრები ყოველთვის ცოტათი მაინც ემხრობიან გუნდს, რომელიც საკუთარ მინდორზე თამაშობს. ამ ისედაც ცნობილი ფაქტის დასამტკიცებლად ბრიტანელმა მეცნიერებმა პრემიერლიგის 2500 მატჩი გამოიკვლიეს და მივიდნენ ერთ საინტერესო დასკვნამდე: თურმე არბიტრები სტუმარ გუნდს მეტ ყვითელ ბარათს უჩვენებენ და თითქმის ერთნაირ ეპიზოდებს მასპინძელთა სასარგებლოდ წყვეტენ. "ჩვენი გამოკვლევები ამტკიცებს, რომ მართალი არიან ის მწვრთნელები, რომლებიც მუდმივად ამბობენ, რომ მსაჯები მასპინძელ გუნდებს ემხრობიან", - აცხადებს დოქტორი პიტერ დოუსონი. მისივე თქმით, ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს - საფეხბურთო მატჩების მსაჯობა კომპიუტერებს უნდა ვანდოთ.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დარჩენილი ვაკანსიების დასაკავებლად სამი წლის ვადით**

| მიმართულების დასახელება | აკადემიური თანამდებობების რაოდენობა | | |
|---|---|---|---|
| | სრული პროფესორი | ასოცირებული პროფესორი | ასისტენტ-პროფესორი |
| სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი | | | |
| საინჟინრო გრაფიკა | 1 | - | - |
| საერთაშორისო ნავთობგაზსადენების ექსპლუატაციის ფაკულტეტი | | | |
| ზოგადტექნიკური და ჰუმანიტარული დისციპლინები | - | ორი 0.5 შტატი | 0.5 |

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება (ფორმას გასცემს შესააბამისი ფაკულტეტი);
- საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი პროფილის დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დიპლომის ასლი;
- ბოლო 15 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს;
- ინფორმაცია ბოლონიის პროცესის შემადგენელი კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვის შესახებ (ხარისხის უზრუნველყოფა, შეფასების სისტემა და ა.შ.), ან ბოლონიის პროცესის შესაბამისად შედგენილი სასწავლო პროგრამა/სილაბუსი;
- კონკურსანტის ბოლო 15 წლის განმავლობაში პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის დამადასტურებელი ინფორმაცია: სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება; სამეცნიერო პუბლიკაციები; დისერტანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობა; სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა; უცხოეთის უნივერსიტეტებში მოღვაწეობა; აკადემიების, სამეცნიერო საბჭოების, რედკოლეგიების, საექსპერტო კომისიების წევრობა;
- პირადობის მოწმობის ასლი.

განცხადებების მიღება განხორციელდეს პრესაში გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შესაბამის საფაკულტეტო საარჩევნო კომისიებს.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

## ვაგონების შეკეთების მომსახურების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 14 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში ***ვაგონების შეკეთების მომსახურების შესყიდვის შესახებ*** შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

1. მე-3 პუნქტში ვაგონების შეკეთების სავალდებულო გრაფიკი თვეების მიხედვით განისაზღვროს შემდეგნაირად:

| ლოტი №1 დასახელება | ნოემბერი | დეკემბერი | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დახურული | | | | | 29 | 40 | 34 | | | | | |
| ბაქანი | | 48 | 40 | 40 | 31 | | | | | | | |
| ნახ/ვაგონი | | | | | | 10 | 10 | 10 | 10 | 17 | | |
| ხორბალმზიდი | | 26 | | | | | | | | | | |
| ცემენტმზიდი | | | 40 | 40 | 20 | | | | | | | |
| ფიტინგი | | | | | | | | 20 | 20 | 17 | | |
| | | 74 | 80 | 80 | 80 | 50 | 44 | 30 | 30 | 34 | 0 | 0 |

| ლოტი №2 დასახელება | ნოემბერი | დეკემბერი | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნახ/ვაგონი | | | | | | 30 | 36 | 70 | 70 | 40 | | |
| ხორბალმზიდი | | 6 | | | | | | | | | | |
| ფიტინგი | | | | | | | | 5 | 5 | | | |
| | | 6 | | | | 30 | 36 | 75 | 75 | 40 | | |

2. მე-4 პუნქტში საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადა ნაცვლად **6 ნოემბრისა** განისაზღვროს **8 ნოემბრით;**

3. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოქვეყნებული ***ვაგონების შეკეთების მომსახურების შესყიდვის შესახებ*** სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

2006 წლის 27 ოქტომბერს დაიხურა ქ. თბილისში, მეტროს სადგურ "რუსთაველის" მიწისზედა ვესტიბიულის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტზე ღია არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი კონკურსი.

ჟიურის დასკვნით სხდომაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდნენ და ძირითადი პრემიები მიეკუთვნათ: გიორგი ბერიძეს; შპს "არქიტექტორები ჯი" (გაგა კიკნაძე, ლევან მუშკუდიანი); დავით და შოთა ბოსტანაშვილებს.

წამახალისებელი პრემიები მიენიჭათ: იანა მოტსოუს და მიშელ ბარმაკს; მედეა მელქაძეს; გიორგი აბულაძეს.

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 02 ნოემბრიდან აცხადებს ტენდერს სპეცტანსაცმლის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ათ ლოტად სპეცტანსაცმლის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი | საქონლის დასახელება | ერთეული | რაოდ |
|---|---|---|---|
| 1 | კირზის ჩექმა | წყ | 1275 |
| 2 | რეზინის ჩექმა | წყ | 1178 |
| 3 | ტყავის ფეხსაცმელი (ბათინკა) | წყ | 4840 |
| 4 | დათბილული ქურთუკი (გუდოკი) | ც | 1180 |
| 5 | დაბამბული კოსტუმი (ტელეგრეიკა) | ც | 1660 |
| 6 | ბამბის ქურთუკი (ბუშლატა) | ც | 1480 |
| 7 | ხელთათმანი (კომბინირებული) | წყ | 14080 |
| 8 | ხელთათმანი (დიელექტრიკული) | წყ | 300 |
| 9 | სასიგნალო ჟილეტი (სინათლის ამრეკლით) | ც | 4586 |
| 10 | საწვიმარი ლაბადა | ც | 1850 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;
4. მოწოდების სასურველი ვადა - მხარეთა შეთანხმებით;

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **24 ნოემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***სატენდერო წინადადებების განხილვის დროს პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემოთავაზებული პროდუქციის ნიმუში.***

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში; დამატებითი ღირებულების გარეშე.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 33 51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

ჭიდაობა

# მეორე და მესამე შემადგენლობის მეორე-მესამე ადგილები

*რამდენიმე საერთაშორისო ტურნირს თუ არ ჩავთვლით, ჭიდაობის სამყაროში სეზონი დასრულებულია. სწორედ ერთ ასეთ ტურნირს მასპინძლობდა 28-29 ოქტომბერს ერევანი. უფრო სწორად, სომხეთის დედაქალაქმა უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონის სტიოპა სარქისიანის სახელობის ტრადიციულ ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც ექვსი ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ქართველი ფალავნებიც.*

იმის გათვალისწინებით, რომ ერევანში ასპარეზობდნენ ბულგარეთის, უკრაინის, ყაზახეთის, რუსეთის, მასპინძლებისა და საქართველოს ნაკრებები, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, თუ რა ძალისხმევა დასჭირდებოდათ ქართველ ფალავნებს წარმატების მისაღწევად. რუსეთი რამდენიმე გუნდით იყო წარმოდგენილი, თანაც ისეთი რეგიონებიდან, რომლებიც რუსული ჭიდაობის სამჭედლოდ ითვლება (ყაბარდო-ბალყარეთი, დაღესტანი).

ერთი სიტყვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებს ევროპის მცირე ჩემპიონატზე მოუხდა გამოსვლა. ამდენად, ქართველ "თავისუფალთა" მიერ მოპოვებული მედლების რაოდენობა შთამბეჭდავად გამოიყურება - შვიდი მედალი, აქედან ორი ვერცხლის და ხუთი ბრინჯაოსი. და კიდევ, ქართველთა გუნდი ახალგაზრდებით და ჭაბუკებით იყო დაკომპლექტებული.

"რაკი სეზონი დამთავრებულია, აქცენტი ახალგაზრდებზე გავაკეთეთ, - ამბობს ნაკრების მწვრთნელი მარლენ ოსიყმაშვილი, - გვინდოდა საქმეში გვენახა ის ბიჭები, რომლებიც ხვალ ძირითად ნაკრებში დაიკავებენ ადგილს. მათ საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობის გამოცდილებაც სჭირდებათ. ერთი სიტყვით, საერთაშორისო ტურნირებს ვაჩვევთ.".



ქართველებმა ერევნიდან 7 მედალი წამოიღეს.

დასანანია, რომ ქართველმა ფალავნებმა ერევანი ოქროს მედლების გარეშე დატოვეს. არადა, ორჯერ სულ ახლოს იყვნენ. მიუხედავად ამისა, ნაკრების ხელმძღვანელობას არ უთქვამს, ფინალები მსაჯებმა წაგვაგებინესო.

"უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, ჩვენს ბიჭებს წარმატებაში ხელს უშლიდნენ-მეთქი. მართალია, იყო გარკვეული შეცდომები, მაგრამ მთლიანობაში კარგი მსაჯობა იყო, - ამბობს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თეიმურაზ ყაზარაშვილი, რომელიც ტურნირზე მსაჯის რანგში იყო მიწვეული, - საქართველოს ნაკრებმა, რომელიც მეორე და მესამე შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული, ისედაც ბევრს მიაღწია. თუ რამდენად ძლიერ ტურნირზე დაეუფლა ჩვენი ნაკრები შვიდ მედალს, იქიდანაც ჩანს, რომ მასპინძლებიც ოქროს გარეშე დარჩნენ".

**საქართველოს ნაკრები**

***ვერცხლის მედლები:***

ლაშა ქეთიშვილი (84 კგ.)
დავით მოძმანაშვილი (96 კგ.)

***ბრინჯაოს მედლები:***

გიორგი ბალიაშვილი (60 კგ.)
კობა კაკალაძე (66 კგ.)
აჩიკო ქიტიაშვილი (84 კგ.)
ბერდუხა გავაშელი (96 კგ.)
ბაჩანა კარანაძე (მძიმე წონა)

ფეხბურთი

# "ოლიმპი" დაისაჯა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქარველოს ჩემპიონატის მეათე ტურის ცენტრალური შეხვედრა თბილისის "დინამოსა" და რუსთავის "ოლიმპს" შორის, რომელიც მესხის სახელობის სტადიონზე 29 ოქტომბერს გაიმართა, ჩხუბით დასრულდა. ჩხუბი "დინამოსა" და "ოლიმპის" ფეხბურთელებს შორის დაახლოებით ხუთ წუთს გაგრძელდა და თითქმის მთელი მოედანი მოიცვა. ქართული საკლუბო ფეხბურთის ისტორიამ ბევრი ასეთი ფაქტი იცის. მიმდინარე ჩემპიონატშიც არაერთი მსგავსი ინციდენტი დაფიქსირებულა. სამწუხაროდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის საჯარიმო სანქცია ყოველთვის ლოიალურია. ყოველ შემთხვევაში, ისე არავინ დაუსჯიათ, რომ მსგავსი სასჯელის შიშით ფეხბურთელებს (და მწვრთნელებსაც) სპორტის სხვა სახეობებში - კრივში, ჭიდაობასა და წესების გარეშე ბრძოლაში ძალის ცდისგან თავი შეეკავებინათ. ამჯერადაც სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა, რომელმაც ამ საკითხის თაობაზე გუშინ მორიგი სხდომა გამართა, საკმაოდ "მსუბუქი" გადაწყვეტილება მიიღო. კლუბები ფინანსური სანქციებით დააჯარიმა: თბილისის "დინამოს" 1000, ხოლო "ოლიმპს" 2000 ლარის გადახდა მოუწევს ჯარიმის სახით. დინამოელი ფეხბურთელები სადისციპლინო კომიტეტის რისხვას საერთოდ გადაურჩნენ, ოლიმპელები კი სანქციების სიმძიმეს (გნებავთ, სიმსუბუქეს) საკუთარ თავზე გამოცდიან. "ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ზაზა ზამთარაძე 500 ლარით დაჯარიმდა და მას თავისი გუნდის მომდევნო ხუთ მატჩზე ტრიბუნაზე მოუწევს ჯდომა. რუსთაველთა ნახევარმცველი გოჩა ხოჯავა ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. მასვე ჯარიმის სახით 400 ლარი აქვს გადასახდელი. ამასთან, ხოჯავას სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაციაც მისცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ "ოლიმპის" ნახევარმცველი მსგავს ინციდენტში კიდევ ერთხელ მონაწილეობის შემთხვევაში გაცილებით მკაცრად დაისჯება - მომავალ ზაფხულამდე აეკრძალება ფეხბურთის თამაში. კიდევ ერთ ნახევარმცველს - თორნიკე აფციაურს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ჯარიმის სახით 300 ლარის გადახდა აკმარეს. ყველაზე "იოლად" ბესიკ მითიაშვილი გამოძვრა: მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია "გამოუწერეს" და ჯიბესაც 200 ლარით შეითხელებს.



"დინამო"-"ოლიმპის" მატჩი ჩხუბით დასრულდა.

რუსთავის "ოლიმპმა" თავისიანებს ეს სასჯელი არ აკმარა და საკუთარი საჯარიმო სანქციები წაამატა. გუნდის სამ მწვრთნელს გამოეცხადა საყვედური, ზაზა ზამთარაძეს და გიორგი ბაბუაძეს კი შესაბამისად ერთ და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. გოჩა ხოჯავა კლუბმა პირველი წრის ბოლომდე (3 თამაშით) დასაჯა დისკვალიფიკაციით და 1000-ლარიანი ჯარიმაც დააკისრა. შედარებით მსუბუქად დაისაჯა ბესიკ მითიაშვილი - ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 500 ლარი, ყოფილ თბილისის დინამოელს ვლადიმერ დვალიშვილს 500 ლარის გადახდა მოუწევს, ხოლო თორნიკე აფციაურსა და გიორგი სეთურიძეს - 200-200 ლარის.

თბილისის "დინამოს" მსგავსი სანქციებისთვის არ მიუმართავს, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ინციდენტში დინამოელები ნაკლებად იყვნენ დამნაშავენი.

მოკლედ

## ერიქსონი უარყოფს

ამ რამდენიმე დღის წინ ბრიტანულ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი საფეხბურთო კლუბ "ნიუკასლის" მესვეურებთან მართავს მოლაპარაკებას და შესაძლოა შვედი "კაჭკაჭების" მწვრთნელად დაინიშნოს. ეს ინფორმაცია გუშინ თავად ერიქსონის აგენტმა უარყო: "ნიუკასლს" ჰყავს მწვრთნელი და სვენი მის შეცვლას არ აპირებს. ერიქსონი ძალიან ღიზიანდება, როდესაც საკუთარ თავზე ასეთ მონაჭორს იგებს ხოლმე. მერწმუნეთ, "ნიუკასლთან" არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა".

# შევა "მილანთან" შეხვედრას გაურბის

მარი ჯავახიშვილი

შეიძლება ითქვას, რომ ანდრეი შევჩენკოს უგოლობის გამო ატეხილი ხმაური მედლის ერთი მხარეა. თავად უკრაინელი ფეხბურთელის აზრი კი ამასთან დაკავშირებით - მეორე. მოედანს მიღმა "ჩელსის" ფორვარდს მშვიდად და აუღელვებლად უჭირავს თავი. თავისი არცთუ შთამბეჭდავი თამაშის შესახებ შევა ერთ-ერთ ინგლისურ გამოცემას ესაუბრა.

**- "ჩელსიში" ჩატარებულ ცამეტ შეხვედრაში მხოლოდ სამი გოლი გაიტანეთ. რა ხდება თქვენს თავს?**

- განსაკუთრებული არაფერი. თავს მშვენივრად ვგრძნობ. მით უმეტეს, რომ თამაშს ყოველ მატჩში ძირითადში ვიწყებ. ჩემს გუნდს კი 23 აგვისტოდან ერთი შეხვედრაც არ წაუგია. კარგი ურთიერთობა მაქვს თანაგუნდელებთან და მწვრთნელთან, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გუნდის ახალწვეულებმა თავი ისე იგრძნონ, როგორც სახლში. პროფესიონალ ფეხბურთელს მეტი რა უნდა უნდოდეს? ბედნიერი ვარ და, ცოტა არ იყოს, მიკვირს, როცა ამბობენ, რომ იმაზე უარესად ვთამაშობ, ვიდრე "მილანში" ვთამაშობდი.

**- მაგრამ ვერც იმას უარყოფთ, რომ თქვენმა შედეგიანობამ მკვეთრად იკლო...**

- არ მეგულება სპორტსმენი, რომელსაც კარიერაში რთული პერიოდი არ ჰქონია. ასე რომ, გულშემატკივარს ცოტა მოთმინება სჭირდება, რათა ისევ იხილოს ჩემი გოლები.

**- ამბობენ, შევჩენკომ "ჩელსიში" არსებულ კონკურენციას ვერ გაუძლო, რის გამოც ნერვიულობს და ამიტომ დაკარგა საკუთარი თავის რწმენაო...**

- კონკურენცია ნებისმიერ სერიოზულ კლუბში არსებობს. ასე რომ, ამ ვარაუდს ვერ დავეთანხმები.

**- დღემდე ბევრი ამტკიცებს, რომ ალბიონზე თქვენი გადაბარგება თქვენი ოჯახისა და რომან აბრამოვიჩის მეგობრობამ განაპირობა...**

- რომანთან მართლაც ახლო ურთიერთობა მაქვს. კლუბის შეცვლის გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთ. აბრამოვიჩთან მეგობრობის გამო იტალიაში "აბრამოვიჩის ოქროს ბიჭუნა" შემარქვეს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ჩემზე მეტად ზრუნავს, ვიდრე "ჩელსის" სხვა ფეხბურთელებზე. თავის მხრივ, ჩემმა მეუღლემაც ითამაშა ამაში დიდი როლი. მას უნდა, რომ ჩვენი შვილები ინგლისურენოვან ქვეყანაში აღიზარდონ.



შევჩენკოს კარიერის დასრულება ლონდონში სურს.

**- თავად თუ გადალახეთ ენობრივი ბარიერი?**

- რა თქმა უნდა, ჩემი ინგლისური ჯერ კიდევ ძალიან შორსაა იტალიურისგან, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ ლაპარაკი არ მისწავლია. თავიდან თანაგუნდელებთან ურთიერთობაში დიდი დახმარება გამიწია ჩვენმა მეკარემ კარლო კუდიჩინმა. ისე კი, დღემდე ლეგიონერებთან უფრო მიადვილდება ინგლისურად საუბარი, ვიდრე ჯონ ტერისთან.

**- სერია ა-ში გატარებული რვა წლის შემდეგ პრემიერლიგა როგორ მოგწონთ?**

- ინგლისური ფეხბურთი უფრო დინამიკური, აგრესიული და გახსნილია. თავადაც აქ უკეთ ვგრძნობ თავს, უფრო თავისუფლად, ვიდრე იტალიაში. ყველაზე მეტად კი აქაურმა გულშემატკივრობამ გამაოცა.

**- ინგლისის დედაქალაქს თუ გაუშინაურდით?**

- მილანთან და კიევთან შედარებით ლონდონი გიგანტური ქალაქია. ამიტომ ბოლომდე ვერ გავუშინაურდი. ორი რამ მაინც განსაკუთრებით მაკვირვებს - აქ მცხოვრები ადამიანების ეროვნული სიჭრელე და უამრავი პარკის არსებობა, სადაც შეგიძლია მშვიდად დაისვენო. ერთადერთი, რაც არ მომწონს, აქაური კლიმატია - ცივი და ნესტიანი.

**- და მაინც, რომ შევადაროთ, სად უფრო კომფორტულად გრძნობთ თავს - ინგლისში თუ იტალიაში?**

- ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, სად უფრო კომფორტულად გრძნობს თავს ჩემი ოჯახი. მათ ლონდონი უფრო მოსწონთ, ვიდრე მილანი. ასე რომ, მეც ლონდონში ვარ კარგად.

**- "მილანი" თუ გახსენდებათ ხოლმე?**

- სიმართლე გითხრათ, წლევანდელ ლიგაზე ყველაზე მეტად "მილანთან" შეხვედრას გავურბივარ. მაგრამ თუ მაინც მოხდა ასე, "როსონერის" წინააღმდეგ თამაში ჩემთვის უდიდესი ფსიქოლოგიური გამოცდა იქნება.

**- "ჩელსისთან" კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ თუ დაბრუნდებით "მილანში"?**

- ჩემი აზრით, გუნდების ხშირი ცვლა ფეხბურთელს კარგს არაფერს მოუტანს. ასე რომ, არ დაგიმალავთ, კარიერის დასრულებას ლონდონში ვაპირებ.

არ გაუშვათ ბოლო შანსი!

EKO
GEORGIA

შპს „ეკო ჯორჯია" აცხადებს ტენდერს გაყიდვაზე.

იყიდება 4020 მ² მიწის ფართობი, მდებარე ქ. თბილისში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2006 წლის 23 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. 74, მე-8 სართული, შპს „ეკო ჯორჯია"
ტელ: 29 23 64; 25 15 07; 25 18 67
საკონტაქტო პირი: ლიკა ფირანიშვილი მობ. 877 41 43 72

ბრიტანული ენის დარბაზი
გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

■ ინგლისური ენის კურსს სკოლის ასაკის ბავშვებისა და უფროსებისათვის.
■ მოსამზადებელ კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიპიკატებისათვის (**PET, FCE, CAE, IELTS**)
■ სპეცკურსს აბიტურიენტებისათვის სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უახლესი სასწავლო ლიტერეტურა

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს..

**Good luck with your English.**

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7
(ცეკავშირის შენობა) IV სართ. ოთახი 405
ტ. 55-21-29
ელ.ფოსტა: **british-Languaje hall@yahoo.com**




ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

ს ი ა ხ ლ ე !

ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის ცენტრი
ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39

ჩვენ მივდევთ დროს!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

ულტრათანამედროვე
სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს
ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.
■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.
■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.
■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.
■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.
■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.
■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.
■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.
■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.
■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.
■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.
■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.
■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.
■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.
■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.
■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8
ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## ცისფერი ალის პოლიტიკური ფასი

### როგორ გადავურჩეთ "გაზპრომის" შანტაჟს

ნინო ნატროშვილი

*რამდენით გაძვირდება რუსული გაზი? ეს არის კითხვა, რომელზეც საქართველოს ხელისუფლებას პასუხი ჯერ არ აქვს. პროგნოზების გაკეთება რთულია, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაზპრომი დსთ-ს სივრცის ქვეყნებს გაზის ფასის საერთაშორისო ტარიფთან გათანაბრებით დაემუქრა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. საგულისხმოა, რომ საქართველოში რუსული კომპანია გაზს კარგა ხანია პოლიტიკურ ფასს ადებს. დსთ-ში "გაზპრომი" საქართველოს ახლაც ყველაზე მაღალ საფასურს ახდევინებს. არსებული ვითარებიდან გაკეთებული პროგნოზებით, ფასი საქართველოსთვის 2007 წლიდან, სავარაუდოდ, 220 დოლარს უნდა გაუტოლდეს. ექსპერტების შეფასებით, თუ ასე მოხდა, საქართველოში გაზის ფასი მომხმარებლისთვის გაორმაგდება. საქართველოს გაზგამანაწილებელი კომპანიები ამისთვის უკვე მზად არიან. ისინი სემეკს, სავარაუდოდ, წლის ბოლოს მიმართავენ და ბუნებრივ აირზე ტარიფის გაზრდას მოითხოვენ. ამ ენერგომატარებლის გაძვირებას კი, ფაქტობრივად, ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება. ექსპერტების პროგნოზით, გაზზე ფასის გაორმაგების შემთხვევაში, 2007 წლიდან ინფლაციური პროცესები უფრო საგრძნობი გახდება, რადგან ენერგომატარებლების გაძვირებისას ფასების ზრდის ტენდენცია ყოველთვის არსებობს. ამ შემთხვევაში კი სამომხმარებლო პროდუქტზე ფასები 15-20 პროცენტით აიწევს. არ არის გამორიცხული, რომ ამ ფონზე გაიზარდოს ელექტროენერგიის ტარიფიც.*



B2



## უკრაინა და რუსეთი "რუსლანის" გაცოცხლებას ცდილობენ

B4

### ალა პუგაჩოვას თავის რჩენა უჭირს

ცოტა ხნის წინ ალა პუგაჩოვამ განაცხადა, რომ 60 წლის ასაკში სცენას მიატოვებს. ახლა პრიმადონა 57 წლისაა, დაუღალავად მოგზაურობს მთელ ქვეყანაში გასტროლებით და, მის სიტყვებს თუ ვენდობით, თავს ამით ირჩენს.

"სცენიდან დიდი ხნის წინ წავიდოდი, ერთი კითხვა რომ არ მაწუხებდეს: მერე და, რითი ვიცხოვრო? ჯერ შავი დღისთვის არაფერი გადამინახია, - აღიარებს მომღერალი, - დიახ, მე კარგად ვმღერი, ხალხი ჩემი კონცერტებით კმაყოფილია - ტირიან, უხარიათ, ფეხზე მდგომები მიკრავენ ტაშს. მაგრამ ხანდახან მე მათ პირდაპირ სცენიდან ვეუბნები: გმადლობთ, ჩემო მარჩენლებო. ახლა მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ თავის სარჩენი ფული ვიშოვო. მადლობა ღმერთს, რომ უამრავი ადამიანისგან განსხვავებით, მე ამის საშუალება მაქვს".



მიუხედავად ამისა, ალა ბორისოვნა თავს ისე კომფორტულად ვერ გრძნობს, როგორც ძველი, კეთილი საბჭოთა კავშირის დროს - სადღაა ის სტაბილურობა.

"ვიცოდი, რომ ბევრს არ გადამიხდიდნენ, სამაგიეროდ დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ ხელფასი 15 რიცხვში უნდა ამეღო, 15-ში ავიღებდი. ვიცოდი, არაჟანი რა ღირს. ახლა ვერ გაიგებ; აქ ერთი ფასია, იქ - მეორე, სხვაგან - მესამე," - წუხს პრიმადონა.

## ვიღუპებით თუ ვშენდებით?

ვანო ჩხაიძე
*ეკონომისტი, ექსპერტი*

*გულს შეგიწუხებს რუსეთის წყრომისაგან შეშინებული ზოგიერთი ექსპერტის მოთქმა-გოდება ჩვენი ეკონომიკის გარდაუვალი დასამარების შესახებ.*
*მე რომ მკითხოთ, სწორედ რომ პირიქითაა საქმე და მოგახსენებთ, რატომაც.*
*გავაანალიზოთ, რამდენად საშიშია ყველაზე დიდი "ბუა" ანუ ფასების მოსალოდნელი ზრდა აუცილებელ საქონელზე და მომსახურებაზე, პურზე თუ ენერგოპროდუქტებზე.*



B2

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3357 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9902 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4732 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7380 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8116 |
| 1 | ბულგარული ლევი | BGL | 1,1276 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2958 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3036 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2045 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4094 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3342 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1892 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1477 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2998 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1888 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2539 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4058 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5409 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1429 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4045 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3227 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2648 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5673 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6259 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0649 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1130 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4587 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5123 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4107 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4593 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8418 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0105 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1360 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4447 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2391 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3880 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0781 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2206 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2235 |




## სამურაის კანონების მიხედვით

### Canon - იაპონური ტექნიკის ჰეგემონიის ფუძემდებელი

გოჩა ქიმუცაძე

*იაპონური კომპანია Canon-ი ფოტოტექნიკის ბაზრის ერთ-ერთ ლიდერად სამურაისეული კანონების წყალობით იქცა: კონკურენტებთან ბრძოლისას იგი მათ ძირითად იარაღს იყენებდა, თანაც, როგორც წესი, კიდევ უფრო ხვეწდა და სრულყოფდა. შედეგად, Canon-ის, რომელმაც იაპონურ ტექნიკას სახელი მთელ მსოფლიოში პირველმა გაუთქვა, კაპიტალიზაცია 53,7 მილიარდ დოლარს აღწევს.*






Canon-ის ისტორია 1933 წელს დაიწყო, როცა ორმა ტოკიოელმა ინჟინერმა გორო იოშიდამ და საბურო უჩიდამ მიზნად იაპონური ფოტოკამერის შექმნა დაისახეს, რომელიც საუკეთესო მსოფლიო ანალოგებზე ნაკლები არაფრით იქნებოდა, და "ზუსტი ოპტიკური ხელსაწყოების ლაბორატორია" გახსნეს. თავდაპირველად მათ გადაწყვიტეს, დაწვრილებით შეესწავლათ ფოტოტექნიკის სფეროს იმდროინდელი ლიდერების: გერმანული ფირმების Leica-ს და Contax-ის ნაწარმის უპირატესობები და იაპონურ ბაზარზე არსებული ყველა მოდელი შეიძინეს.



B3

## საქართველოში სამხრეთ კორეული და ირანული საწარმოები აშენდება

უახლოეს ხანებში საქართველოში სამხრეთ კორეული და ირანული გადამამუშავებელი საწარმოები აშენდება. ამის შესახებ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღამსრულებელმა დირექტორმა ლადო ხარაზიშვილმა განაცხადა. როგორც ხარაზიშვილმა განმარტა, სამხრეთ კორეისა და ირანის დაინტერესებული ბიზნესწრეების წარმომადგენლები საქართველოში უკვე იმყოფებოდნენ და უახლოეს ხანებში საწარმოს მშენებლობასაც დაიწყებენ.

"ფედერაცია უცხოური ინვესტიციების მოზიდვით დაინტერესებულია და ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნების ბიზნესმენთა ფედერაციებთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. საქართველოში ინვესტიციების ჩადებით დაინტერესებულნი არიან საბერძნეთის, თურქეთის, სამხრეთ კორეისა და ირანის ბიზნესწრეები. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ვცდილობთ, რომ მათ საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა გავაცნოთ და ვაჩვენოთ, რომ საქართველოს საინვესტიციო ბაზარი მათთვის მიმზიდველი სფეროა," - განაცხადა ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლადო ხარაზიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტური აქტივების წილი გაზრდილია

2006 წლის პირველ ნახევარში ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტური აქტივების წილი საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში (24.7 %) მცირედით გაიზარდა.

ეს მატება, გასული წლის ბოლოსთვის, შედარებით (24,1 პროცენტი) ნაკლებია 2004 წლის ბოლოსთვის არსებულ მაჩვენებელზე.

სტატისტიკური მონაცემებით, 2005 წლიდან 2006 წლის ანალოგიურ პერიოდში, 53 64,5 პროცენტამდე გაიზარდა წმინდა სესხების წილი მთლიან აქტივებში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბანკების აქტივების სტრუქტურა იცვლება მაღალლიკვიდური, მაგრამ ნაკლებად მომგებიანი აქტივებიდან უფრო მომგებიან - ლიკვიდურ აქტივებამდე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სააქციო კაპიტალში ბანკების მიერ განხორციელებული ინვესტიციების წილი კლებულობს

საბანკო სისტემის აქტივების მიმოხილვისას გაირკვა, რომ კომერციული ბანკების მთლიან აქტივებში შემცირდა საწარმოთა სააქციო კაპიტალში ბანკების მიერ განხორციელებული ინვესტიციების წილი. ეს კლება ციფრობრივად 2-დან 0,9 პროცენტამდე დაფიქსირდა.

34,8 მლნ. ლარიდან 4,3 მლნ. ლარამდე შემცირდა აქტივები საინვესტიციო ფასიან ქაღალდებში. სპეციალისტები ამას დასაფარი სახაზინო ვალდებულებების რაოდენობის შემცირებით ხსნიან.

2006 წლის პირველ ნახევარში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ერთ თვეზე მეტი ვადიანობის მქონე აქტივების მოცულობა იგივე ვადიანობის ვალდებულებებს აღემატება. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სესხები უფრო გრძელვადიანია, ვიდრე დეპოზიტები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საბანკო სექტორის წმინდა მოგებამ 38 მილიონი ლარი შეადგინა

საქართველოს საბანკო სექტორის წმინდა მოგებამ 2006 წლის პირველ ნახევარში 38 მლნ. ლარი შეადგინა. ეს მონაცემები, გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, 50 პროცენტით მეტია.

ამავე პერიოდში შემოსავალმა აქტივებზე 2,5 პროცენტი, ხოლო კაპიტალზე 15,2 პროცენტი შეადგინა.

როგორც საბანკო საქმის ექსპერტები განმარტავენ, მართალია, შემოსავალი აქტივებზე, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია, მაგრამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში შემოსავალი კაპიტალზე იზრდება.

საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით საქართველოში შემოსავალი აქტივებზე საკმაოდ მაღალია.

მაგალითად, 2005 წლის დეკემბერში ჩეხეთში ანლოგიური მაჩვენებელი 1,39 პროცენტი, ხოლო პოლონეთში 1,42 პროცენტი იყო. სესხებისა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს შორის არსებული მაღალი სპრედი ხელს უწყობდა აქტივებზე მაღალ შემოსვლას საქართველოში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საეჭვო და არასტანდარტული სესხების მოცულობა იზრდება

2006 წლის პირველ ნახევარში უმოქმედო სესხების (უიმედო საეჭვო და არასტანდარტული) აბსოლუტური მნიშვნელობების მცირე ზრდა დაფიქსირდა. ივნისის ბოლოს ამ პარამეტრმა 90,6 მილიონი ლარი შეადგინა. თუმცა, უმოქმედო სესხები, მთლიან სესხებთან მიმართებაში, მცირდება და ის დღეისათვის დაახლოებით 4 პროცენტს შეადგენს. უმოქმედო სესხების დაბალი აბსოლუტური მაჩვენებელი შესაძლებელია გამოწვეული იყოს, ერთი მხრივ, აქტივების ხარისხის გაუმჯობესებით, მეორე მხრივ კი ამის მიზეზად სესხების მკვეთრად მაღალი ზრდა განიხილება, რომელიც მხოლოდ უკანასკნელი ერთი წლის წინ დაიწყო.

ახალი სესხების (რომელიც საწყის ეტაპზე არ შეიცავს უმოქმედო სესხებს) ხარისხის გაუარესება საშუალოდ მხოლოდ 1,5 ორი წლის შემდეგ იქნება დაკვირვებადი. ამ ვადის დადგომამდე აღნიშნული ფაქტორი მთლიანად სესხებში უმოქმედო სესხების წილის შემცირებას იწვევს.

საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაღალია საპროცენტო განაკვეთების სპრედი, თუმცა შემცირების ტენდენცია შეინიშნება. ბანკებისათვის უფრო აქტიური და მათი მომგებიანობისათვის განმსაზღვრელი კრიტიკული ელემენტი, სპრედის შემცირებასთან ერთად, არასაპროცენტო შემოსავლების გაუმჯობესება ან ხარჯების უკეთესად მართვა გახდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაზრდილია

2006 წლის მეორე კვარტალში მწარმოებელთა ფასების ინდექსის საკმაოდ მაღალი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 13,9 პროცენტით გაიზარდა. მაშინ, როდესაც გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ზრდის მაჩვენებელი 16,1 პროცენტი იყო. ზრდის ტენდენცია, ძირითადად, სამთომოპოვებით მრეწველობაში ფასების ზრდამ შეიტანა. აგრეთვე 9,4 პროცენტით გაძვირდა საკვები პროდუქტების წარმოება. 13,4 პროცენტიანი მატებაა რეზინისა და პლასტმასის წარმოებაში. ამავდროულად, მნიშვნელოვნად (15 პროცენტით) გაიაფდა ქიმიური და სამედიცინო ტექნიკის წარმოება. საზომი საშუალებების, ოპტიკური ხელსაწყოებისა და აპარატების წარმოება 15 პროცენტით გაიაფდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ცისფერი ალის პოლიტიკური ფასი

პირველი გვერდიდან



როგორ შეიძლება დააღწიოს თავი საქართველომ "გაზპრომის" შანტაჟს?

ენერგეტიკის სამინისტრო დიდ იმედს შაჰდენიზი-ერზრუმის გაზსადენზე ამყარებს, ამ მილსადენში გაზის საცდელმა ნაკადმა უკვე გაიარა. ექსპერტების შეფასებით, შაჰდენიზი-ერზრუმის გაზი მომავალში მართლაც ყველაზე რეალურ ალტერნატივად შეიძლება იქცეს. წელს კი საქართველოს ამ მილსადენიდან მხოლოდ 250 მილიონი კუბური მეტრი აირი ეკუთვნის, ანუ ერთი წლის განმავლობაში მოხმარებული აირის მეხუთედი. თუმცა ჯერჯერობით, ბუნდოვანია ბუნებრივი აირის გადანაწილების სქემა. არ არის ცნობილი, თუ რომელი კომპანიები და რა ფასში განახორციელებენ აირის დისტრიბუციას. ქართული მხარე აზერბაიჯანთან, თურქეთთან და ირანთან მოლაპარაკებას აწარმოებს 2007 წლის ზამთრის სეზონისთვის ბუნებრივი აირის წილის 1,5 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდის შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანაში ბუნებრივი აირის მოხმარებამ 2008 წელს მილიარდ კუბურ მეტრს გადააჭარბოს. აქედან გამომდინარე, შაჰდენიზის აირი რუსულ გაზს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაენაცვლოს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსული გაზი საქართველოს მაინც სჭირდება.

"თბილგაზის" ყიდვის შემდეგ, "ყაზტრანსგაზის" წარმომადგენლები აქტიურად საუბრობდნენ ყაზახური გაზის შემოტანის შესახებ, თუმცა ეს ვარიანტი რუსული გაზის იაფ ალტერნატივად ვერ ჩაითვლება, რადგან ყაზახეთიდან წამოსულმა ბუნებრივმა აირმა, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლამდე, "გაზპრომის" მილებში უნდა გამოიაროს. რუსები კი ამ სურვილს საკმაოდ უარყოფითად უყურებდნენ. მართალია, ეს ახლა შესაძლებელია, მაგრამ მაინც იმაზეა დამოკიდებული, რუსეთი რამდენად შეელევა თავის მონოპოლისტურ მდგომარეობას. საკუთარ მილებში გაზის გატარების შემთხვევაში საინტერესოა, როგორი იქნება ტარიფი. ექსპერტების შეფასებით, თუ "გაზპრომი" ყაზახური გაზის საკუთარ მილებში გატარებას დათანხმდება, ბუნებრივია, ტარიფი არ იქნება რუსული გაზის ტარიფზე დაბალი. მაგრამ ეს იქნება გარანტია იმისა, რომ ყაზახური აირის მიწოდება არ იქნება პოლიტიკურ სიტუაციაზე დამოკიდებული და საქართველო ენერგოკრიზისის პირას არ აღმოჩნდება. "გაზპრომის" ადმინისტრაციამ უკვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბუნებრივი აირი იანვრიდან ყველა იმპორტიორი ქვეყნისთვის გაძვირდება. საქართველოს ხელისუფლებას ამის შესახებ ოფიციალური განცხადება არ მიუღია, თუმცა წლის ბოლოს ეს საკითხი აქტუალური გახდება, რადგან "გაზპრომთან" გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს საქართველო 110 დოლარად ყიდულობს, ვადა 31 დეკემბერს ეწურება.

საგულისხმოა, რუსულმა "გაზპრომმა" რამდენიმე თვის წინ თურქმენული აირის შესყიდვასა და შემდეგ ევროპისთვის მის მიწოდებაზე ექსკლუზიური უფლება მოიპოვა და 2007 წლიდან 2010 წლამდე თურქმენულ გაზს, 65 დოლარის ნაცვლად, 100 დოლარად იყიდის. ევროპის ბაზარზე მონოპოლისტის პოზიცია "გაზპრომს" გაზის ტარიფის გაზრდაში სრულ თავისუფლებას მისცემს. "გაზპრომი" შეეცდება, თურქმენული გაზის შესყიდვის გამო გაზრდილი ხარჯები იმ ქვეყნების ხარჯზე დაფაროს, ვისაც ის ბუნებრივ აირს აწვდის. რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, თურქმენეთთან ახალი შეთანხმება "გაზპრომის" მონოპოლისტურ პოზიციებს ევროპაში კიდევ უფრო გაამყარებს. რუსი ანალიტიკოსების პროგნოზით, ამ ხარჯების ნაწილობრივ კომპენსირება პირველს უკრაინას მოუწევს. მას აღარ ექნება საშუალება, პირდაპირი ხელშეკრულება გააფორმოს თურქმენეთთან და იძულებული გახდება, გაზი რუსეთისგან მომატებულ ფასად იყიდოს. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ უკრაინას "გაზპრომმა" 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი 95 დოლარიდან 140 დოლარამდე გაუძვიროს.

ტარიფის მომატების ულტიმატუმის დაყენებისას რუსეთი განსაკუთრებულ აქცენტს, უკრაინასთან ერთად, მოლდოვასა და საქართველოზე გააკეთებს, რომელთათვისაც რუსულ აირს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, ბალტიისპირეთში "გაზპრომმა" აირის ფასი შესაძლოა 160 დოლარამდე ასწიოს. მოსკოვი გაზს გაუძვირებს ბელორუსსაც, რომელიც დღეს გაზს "გაზპრომისაგან" ყველაზე იაფად - 43,5 დოლარად ყიდულობს, ბელორუსის ხელისუფლებამ უკვე მიიღო შეტყობინება, რომ 2007 წლიდან ათას კუბურ მეტრ აირში 145 დოლარის გადახდა მოუწევს. არ არის გამორიცხული, "გაზპრომმა" ათასი კუბური მეტრი აირი ბელორუსს 200 დოლარამდეც გაუძვიროს, თუ ლუკაშენკოს მთავრობა მას გაზის გამანაწილებელი კომპანია "ბელტრანსგაზს" არ დაუთმობს.

# ვიღუპებით თუ ვშენდებით?

პირველი გვერდიდან

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნოთ რამდენიმე ძირითადი მომენტი.

ერთი ის, რომ **მოსახლეობის ჯამური გადახდის უნარი დაბალანსებულია და ყოველთვის დაბალანსებული იქნება ჯამურ მოხმარებასთან.** თუ რაიმე მიზეზით რომელიმე პროდუქტის ფასი გაიზრდება, ეს გამოიწვევს სხვა, ნაკლებად აუცილებელი პროდუქტების მიმართ მოსახლეობის გადახდის უნარის შემცირებას და ამ კატეგორიის საქონელზე ფასების კლებას. მარტივად თუ ვიტყვით, როცა ადამიანი თავისი ფულის ძირითად ნაწილს პურზე დახარჯავს, არ დაიღუპება, მას ძველთან შედარებით ნაკლები თანხა დარჩება "დასაყოლებლებისათვის", ფეხსაცმლის თუ ტექნიკის შესაძენად, რესტორანში ან საუნაში სახარჯად, ტელეფონზე საუბრებისათვის. ეროვნული ვალუტაში ამ უკანასკნელთა ფასებიც დაიკლებს, რაც სხვა ვალუტაში გაცვლის უკეთეს კურსს უზრუნველყოფს.

ნუ იჩქარებთ აღშფოთებას, ისედაც "ხმელა პურზეა" ხალხი, შიმშილით დაიხოცებიანო. ჯერ წყნარად გავაანალიზოთ ჩემი ოპტიმიზმის სხვა საფუძვლებიც.

მეორე, - რა კავშირშია განვითარებულ მსოფლიოში ფასები და ხელფასები. ჩვენ გვეუბნებიან: ჯერ ხელფასები უნდა გვქონდეს მაღალი, რომ შევძლოთ აუცილებელ საქონელსა და მომსახურებაზე, ფაქტობრივად, ყოველდღე მაღალი ფასის გადახდა. იმაზე არ დავფიქრებულვართ, რომ, "კვერცხის და ქათმის" არ იყოს, სწორედ ეს მაღალი ფასები უზრუნველყოფს ხელფასების მატებას. სწრაფი ბრუნვა მეტი ხელფასებია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა ფულიც ჯამში დაიხარჯება, იგივე ბრუნდება ბრუნვაში, თუ არადა, გათავდებოდა და ველარც დაიხარჯებოდა, ფულის ბრუნვაში დაბრუნება კი ხელფასებით ხდება. ინგლისში როცა ძვირია, მაგალითად, მეტროთი მგზავრობა ან მწეველისათვის ყოველდღე აუცილებელი სიგარეტი, იქ, ბატონო, ხელფასებიც დიდიაო, ვამბობთ. იმას კი აღარ ვუფიქრდებით, რომ თავის მხრივ, სწორედ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტზე მაღალი ხარჯები ანუ გასავლები უზრუნველყოფს მაღალ ხელფასებს ანუ შემოსავლებს.

ალბათ, გვახსოვს მარქსისტული პოსტულატი, რომ სოციალიზმი მხოლოდ მთელს მსოფლიოში შეიძლება წარმატებით განხორციელდეს და არა ცალკეულ ქვეყნებში. გვახსოვს ისიც, თუ სტალინი რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რკინის ფარდას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რაოდენ დაუშვებელი იყო თავისუფალი ვაჭრობა "საზღვრებს გარეშე". შემდგომმა რეალობამ ნათლად აჩვენა, როგორცკი ფარდაახდილი საზღვრის იქეთ-აქეთ აღმოჩნდნენ ფასთა განსხვავებული სტრუქტურის მქონე ქვეყნები, სოციალურად მეტად დაცული ფასთა სტრუქტურის მქონე ქვეყნების მთელი ქონება უცებ გადაფრინდა სოციალურად უფრო დაძაბულ, მეტად საბაზრო ფასთა სტრუქტურის მქონე ქვეყნებში. აი, ნათელი მაგალითი იმისა, რა შედეგს გვაძლევდა დაბმული ფასები და რა პროცესებისგან დაგვიცვა ფასების თუნდაც არასრულმა ლიბერალიზაციამ.

ისე მეჩვენება, ეს ერთგვარი გასაიდუმლებული ეკონომიკური ეშმაკობაა განვითარებული საბაზრო ქვეყნების უმთავრესი ფინანსისტების მხრიდან და ამიტომაც ცდილობენ, არ დაუშვან იოლი და უშრომელი ამ ლუკმის სხვისთვის გაყოფა.

ცალკე თემაა ე.წ. "სასურსათო კალათის" კომუნისტური ლოგიკა. ოპონენტი იტყვის, პურში დახარჯული მეტი ფული ხელფასადაც პურის მწარმოებელს მიუვა და არა მეო. პურში არდახარჯული და დაზოგილი ფული ადრე რომ ტელევიზორის ყიდვაში ეხარჯებოდა, ანუ პირადად მას არც მაშინ უბრუნდებოდა, ამას აღარ ფიქრობს. სწრაფი ბრუნვა სწრაფი ანარიცხებია ბიუჯეტშიც და სოციალურ პროგრამებშიც.

რუსეთის ამხელა პანჩური რომ არა, ვერც ერთი ხელისუფლება, სარგებლიანობას რომც მიმხვდარიყო, პოლიტიკური ოპონირების შიშით ვერ გაბედავდა ფასთა სტრუქტურის ეკონომიკურად მომგებიანი და სასურველი რეფორმებისაკენ ამდენად გაბედული ნაბიჯების გადადგმას, ამის პროვოცირებას ან თუნდაც ფარულ ხელშეწყობას.

რაც შეეხება რუსეთის ბაზრის სანაცვლო ალტერნატიული დასაქმების პრობლემას, აქაც მუშაობს რუსული ანდაზა: "ნეტ ხუდა ბეზ დობრა". მოსალოდნელია, რომ ერთგან დასაქმებული პროფესიონალების დიდი ნაწილი, საჭირო შემთხვევაში, ძველი გამოცდილებისა და კონტაქტების გამოყენებით, სხვაგან იპოვნის, შესაძლოა, უკეთეს დასაქმებასაც და ამით ყველაზე უფრო მხოლოდ "ძველი" ქვეყნის ბიუჯეტი დაზარალდება.

მოკლედ, თანამემამულენო ნუ შეშინდებით! ჩვენი ეკონომიკური დასუსტების მტრული მცდელობები პირიქით, გაგვაძლიერებს!

# უკრაინულ ბაზარზე Rompetrol შედის

რუმინეთის ნავთობგადამამუშავებელმა ჯგუფმა Rompetrol განცხადება გააკეთა უკრაინულ ბაზარზე გასვლის თაობაზე.

ამ დღეებში კომპანიამ ოდესაში თავისი წარმომადგენლობა გახსნა.

Rompetrol-ი უკრაინაში საკუთარი წარმოების საწვავის გაყიდვას გეგმავს.

ბენზინის მიწოდება საზღვაო გზით განხორციელდება Rompetrol-ის ქარხნიდან. ეს საწარმო, კომპანიის პრესსამსახურის ცნობით, ყველაზე ახლოს არის განთავსებული უკრაინის საზღვაო პორტებიდან, რაც საშუალებას იძლევა, უკრაინაში საწვავის ჩატანაზე თანხები დაიზოგოს. ამის გარდა, 2 წლის განმავლობაში Rompetrol-ი შექმნის საკუთარ საცალო ქსელს უკრაინაში. ინვესტიციების თანხა ამ პროექტის განსახორციელებლად ჯერჯერობით არ სახელდება, თუმცა ექსპერტების შეფასებით, ასეთი ქსელის შესაქმნელად საჭიროა არანაკლებ 100 მილიონი დოლარი. უკრაინის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, იმპორტირებული ნავთობპროდუქტები უკრაინის ბაზრის 30-35 პროცენტს იკავებს. ამ მოცულობის მესამედი უკრაინაში რუსეთიდან შედის.

დანარჩენი ექსპორტი ხორციელდება ბელორუსისა და ლიტვის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებიდან.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით არც ერთ უცხოურ მწარმოებელს უკრაინაში თავისი ქსელი არ შეუქმნია. "მსგავსი გეგმები ძალიან ბევრი იყო და შედეგები ჯერჯერობით არ არის," - აცხადებს კვლევითი ანალიტიკური კომპანიის Upeco-ს აღმასრულებელი დირექტორი სერგეი კუიუნი. ის აღნიშნავს, რომ უკრაინის სათბობენერგეტიკული ბაზარი ფასების ინერციის გამო არ არის მიმზიდველი. "რუმინეთში ფასები დაკავშირებულია მსოფლიო ქვოტირებზე. ამავდროულად, ჩვენთან ფასები შედარებით ნელა იცვლება. უკრაინაში საწვავის საბითუმო იმპორტირება მომგებიანია მხოლოდ გარკვეულ პერიოდებში, როდესაც მსოფლიო ფასების დაცემა წინ უსწრებს შიდა ბაზარზე ფასების დაცემას," - აცხადებს იგი.

Rompetrol-ი შედის ევროპის წამყვან ნავთობგადამამუშავებელი კომპანიების ოცეულში. მის შემადგენლობაში შედის ალბანეთის, ბულგარეთის, საქართველოს, საფრანგეთის და მოლდოვას კომპანიები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1,7375 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1,7375 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა.

როგორც საქართველოს ეროვნული ბანკიდან გვაცნობეს, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე დღეს მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა (სამმა გამყიდველის და ორმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო ხუთი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 650 000 აშშ დოლარი შეისყიდა.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი - 1,7380 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 100 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 1 250 000 აშშ დოლარი შეადგინა. 2 ნოემბრიდან ძალაში შევა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი - 1,7375 ლარი. **ინტერპრესნიუსი**

## სახელმწიფო ბიუჯეტის 10 თვის შემოსავლების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტის 10 თვის შემოსავლების გეგმა 105 პროცენტიანი გადაჭარბებით შეასრულა.

სახაზინო სამსახურის ოპერატიული მონაცემებით, იანვარი-ოქტომბრის განმავლობაში პროგნოზით გათვალისწინებული იყო 2 800 588 000 ლარის მობილიზება, ხოლო შესრულებამ 2 934 316 000 ლარი შეადგინა.

საგადასახადო შემოსავლების კუთხით გეგმა შესრულდა 105 პროცენტით. პროგნოზით გათვალისწინებული 2 016 403 000 ლარის ნაცვლად, შემოსავალი 2 109 929 000 ლარს შეადგენს.

არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით და წინასწარ დაგეგმილი 366 879 000 ლარის ნაცვლად, მობილიზებულია 384 472 000 ლარი. კაპიტალური შემოსავლების კუთხით, გეგმა ასევე 105 პროცენტით შესრულდა. განსაზღვრული იყო 325 027 000 ლარის მობილიზება, თუმცა ამ დროისთვის შემოსავალი 384 472 000 ლარს შეადგენს. რაც შეეხება გრანტებს, ამ მხრივ გეგმა 107 პროცენტით შესრულდა. დაგეგმილი 92 280 000 ლარის ნაცვლად, მობილიზებულია 99 041 000 ლარი. **ინტერპრესნიუსი**

## თბილღვინომ ლონდონში გამართულ კონკურსზე ვერცხლის მედალი მიიღო

ლონდონში გამართულ საერთაშორისო ღვინისა და ალკოჰოლის კონკურსზე (IWSC) "თბილღვინოს" 2002 წლის მოსავლის "განსაკუთრებული მარაგის საფერავი" სპეციალური ვერცხლის მედლით "Silver Best in Class" დააჯილდოვეს. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს კომპანია "თბილღვინოდან" აცნობეს.

"თბილღვინოს" ინფორმაციით, აღნიშნულ კონკურსზე კომპანიის კიდევ ერთმა ღვინომ 2004 წლის "განსაკუთრებული მარაგის წინანდალმა" ბრინჯაოს მედალი მიიღო.

"თბილღვინოს" ახალი ბრენდის "განსაკუთრებული მარაგის - Special Reserve" ღვინოები, თანამედროვე ტექნოლოგიებით მზადდება. ამ კატეგორიის ღვინოები სახეობის მიხედვით 9, 12 ან 20 თვის განმავლობაში ღვინდება, განიცდის დაძველებას და მხოლოდ ამ პერიოდის შემდეგ ბოთლებში თავსდება.

IWSC საკმაოდ რთული და ხანგრძლივი კონკურსია რომელიც 1969 წლიდან იმართება. მაისში შეტანილი განაცხადის შემდეგ, მსოფლიოს 74 ქვეყნის 10 000-მდე სახეობის ღვინოები, 3 თვის განმავლობაში, გემოვნური და ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით ორსაფეხურიან შემოწმებას გადიან. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "ნაციონალური ავიახაზები" ახალ რეისებს პრაღის მიმართულებით ხსნის

"საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" თბილისი-პრაღა-თბილისი რეისებს 6 ნოემბრიდან შეასრულებს. "რეისები კვირაში სამჯერ - ორშაბათს, ოთხშაბათს და შაბათს შესრულდება. ორივე მიმართულებით მგზავრობის ფასი 520 აშშ დოლარია," - აცნობეს GBC-ის "საქართველოს ნაციონალური ავიახაზებიდან". პრაღის მიმართულებით ფრენები 49-ადგილიანი თვითმფრინავით CRJ-200 შესრულდება. თბილისი-პრაღის რეისების შესრულებას მომავალი წლიდან ავიაკომპანია "ჯორჯიან ეარვეისიც" (აირზენა) აპირებს. ავიატორების ვარაუდით, "ჯორჯიან ეარვეისი" ბაზარზე დაბალი ფასებით შემოვა. მსგავსი შემთხვევა გასულ წელსაც დაფიქსირდა, როდესაც "ჯორჯიან ეარვეისის" მიერ დუბაის მიმართ ფრენების დაწყებისთანავე, "საქართველოს ნაციონალურმა ავიახაზებმა" შეწყვიტა თბილისი-დუბაის რეისები, რომელსაც 10 თვის განმავლობაში ასრულებდა.

## ფონდ "კონსტანტას" სასესხო პორტფელი 25,010 მლნ ლარს შეადგენს

მირკოსაფინანსო ორგანიზაცია ფონდ "კონსტანტას" 2006 წლის 8 თვის მონაცემებით, 18 084 აქტიური მსესხებელი ჰყავს. ამ პერიოდში კი მთლიანი სასესხო პორტფელი 25,010 მლნ ლარს შეადგენს. "კონსტანტა" მცირე მეწარმეობით დაკავებულ პირებს სთავაზობს ჯგუფურ და ინდივიდუალურ სასესხო პროდუქტებს როგორც ურბანულ, ასევე სასოფლო სექტორში ვაჭრობის, მომსახურების და წარმოების (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის) დასაფინანსებლად. ფონდს (სათავო ოფისის გარდა) 9 ფილიალი, 6 განყოფილება და 5 რეგიონული მომსახურების პუნქტი გააჩნია, ორგანიზაციაში დასაქმებულია 236 ადამიანი. თბილისის გარდა, ფონდის სამოქმედო არეალი ვრცელდება ქვეყნის შვიდ სხვადასხვა რეგიონზე. როგორც "კონსტანტაში" მიიჩნევენ, 2005 წელი ფონდისთვის მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო: დაიწყო აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიებთან, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს ფინანსური დახმარებით გაიხსნა ფილიალი ახალქალაქში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სასესხო პორტფელი. 2005 წლის მონაცემებით, ფონდის აქტიურ კლიენტთა რაოდენობამ 16,600-ზე მეტი, ხოლო სასესხო პორტფელის ოდენობამ 13,5 მილიონ ლარი შეადგინა. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია - ფონდი "კონსტანტა" საქართველოში 1997 წლიდან ფუნქციონირებს. ორგანიზაციის მისია საქართველოს წვრილი და მცირე მეწარმეების ადვილად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფინანსური მომსახურებით უზრუნველყოფაა. 1997 წლიდან ფონდის დონორები იყვნენ: გადავარჩინოთ ბავშვები (SAVE THE CHILDREN), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), ამერიკის მთავრობის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ღარიბთა დახმარების საკონსულტაციო ჯგუფი (CGAP), შორბანკის საკონსულტაციო სამსახური (SHOREBANK ADVISORY SERVICES), ბრიტიშპეტროლიუმი (BP), ქეა (CARE), მერსიქორი (MERCY CORPS) და ქემონიქს საქართველო (Chemonics Georgia). GBC

## იმპორტირებული ნავთობპროდუქტები გაიაფდა

საქართველოში იმპორტირებული ყველა ტიპის ნავთობპროდუქტზე, მაზუთის (Maze) გარდა, ფასები შემცირდა. საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ინფორმაციით, 2006 წლის 1 ნოემბერს საერთაშორისო ფასები ერთ ტონა ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც ხორციელდება საქართველოში იმპორტი, შეადგენს: ბენზინი (Premium Gasoline 50 PPM) 504.00 (- 13.50); ნაფთა (NAFTA) 473.75 (- 9.00); ნავთი (Jet Fuel (max)) 544.25 (- 5.00); დიზელი (Gasoil.0.2%) 514.25 (- 8.00); მაზუთი (Maze) 257.00 (+ 3.00); ნავთობი (Brand) 55.89 (- 0.94); ნავთობი (Urals) 53.48 (- 1.30) მსოფლიოში ნავთობზე ფასი უმნიშვნელოდ გაიზარდა. 2006 წლის 31 ოქტომბერს მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა შეადგინა 59.03 (+0.35) დოლარი ბარელზე, ხოლო Light Sweet Crude ტიპის ნავთობის ფასმა 58.73 (+0.37) დოლარი ბარელზე. GBC

# სამურაის კანონების მიხედვით

პირველი გვერდიდან




### ზეციური მფარველი

Canon-ის ისტორია 1933 წელს დაიწყო, როცა ორმა ტოკიოელმა ინჟინერმა გორო იოშიდამ და საბურო უჩიდამ მიზნად იაპონური ფოტოკამერის შექმნა დაისახეს, რომელიც საუკეთესო მსოფლიო ანალოგებზე ნაკლები არაფრით იქნებოდა, და "ზუსტი ოპტიკური ხელსაწყოების ლაბორატორია" გახსნეს. თავდაპირველად მათ გადაწყვიტეს, დაწვრილებით შეესწავლათ ფოტოტექნიკის სფეროს იმდროინდელი ლიდერების: გერმანული ფირმების Leica-ს და Contax-ის ნაწარმის უპირატესობები და იაპონურ ბაზარზე არსებული ყველა მოდელი შეიძინეს.

ცხადია, მთელი ეს ტექნიკა ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ უჩიდას მეგობარს, წარმატებულ ექიმ-გინეკოლოგს ტაკეში მიტარაის ინჟინერთა იდეა მოეწონა და მათ დასაფინანსებლად ფული არ დაიშურა. შეძენილი კამერები იოშიდამ და უჩიდამ მთლიანად დაშალეს და გულმოდგინედ შეისწავლეს, რის შემდეგაც უკვე მეორე ნაბიჯის გადადგმა - კამერების გერმანელებზე უკეთ კეთება იყო საჭირო.

ერთი წლის შემდეგ იოშიდამ პირველი 35-მილიმეტრიანი იაპონური კამერის პროტოტიპი შექმნა და მას ათასხელიანი ბუდისტური მოწყალე ღმერთქალის პატივსაცემად Kwanon-ი უწოდა. ახალმა კამერამ ქვეყანაში, რომელიც საყოფაცხოვრებო ტექნიკის სფეროში მსოფლიო ლიდერობისათვის ემზადებოდა, ნამდვილი ფურორი მოახდინა.

მალე ახალი ფოტოკამერა მსოფლიო ბაზარზე გავიდა, რისთვისაც მას სახელი შეუცვალეს და შესაბამისი ლათინური სიტყვა Canon-ი უწოდეს, რომელსაც ასევე რელიგიური მნიშვნელობა აქვს და "წესს" ნიშნავს. უნდა ითქვას, რომ ღმერთქალმა მფარველობა ფოტოკამერას არც მსოფლიო ბაზარზე მოაკლო. Canon-მა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და პირველი მაღალი დონის იაპონური ფოტოტექნიკა დანარჩენი სამყაროსათვის ეტალონად იქცა.

### ბიზნეს-გურუ

ფოტოაპარატებზე გაზრდილი მოთხოვნილების გამო "ზუსტი ოპტიკური ხელსაწყოების ლაბორატორია" განვითარებისათვის დამატებით სახსრებს საჭიროებდა. ამან დამაარსებლებს მისი საზოგადო ფირმად გადაკეთება გადააწყვეტინა და 1937 წლის აგვისტოში დარეგისტრირდა სააქციო კომპანია Precision Optical Industry Co LTD, 1 მილიონი იენის საწესდებო კაპიტალით და 30-შტატიანი თანამშრომლით.

კომპანიის საქმეები მშვენივრად წავიდა. ომის წინ იაპონიის მთავრობამ უცხოური ფოტოტექნიკის იმპორტი აკრძალა და Canon-ის მარკით გამოშვებულ აპარატებზე მოთხოვნილებამ კიდევ უფრო იმატა. მალე კომპანიის შტატი ხუთჯერ გაიზარდა, მაგრამ იგი მსოფლიო ლიდერი ნამდვილად ვერ გახდებოდა, 1942 წელს სათავეში იოშიდას და უჩიდას პირველი სპონსორი ტაკეში მიტარაი რომ არ ჩადგომოდა.

იგი არა მარტო კომპანიის პრეზიდენტი, არამედ სულიერი ლიდერიც გახდა და იმ დროისათვის ერთობ კონსერვატიული იაპონური ბიზნესი რევოლუციური სიახლეებით გაამდიდრა, რომლებიც ბრძოლის წარმოების სამურაისეული კანონების მიხედვით უცხოელი კონკურენტებისაგან აითვისა და დახვეწა. აღსანიშნავია, რომ ახალმა პრეზიდენტმა მედიცინა არ მიატოვა, კომპანიაში დაქირავებული მენეჯმენტით მართვა დანერგა და აქცენტი ახალგაზრდა კადრებზე გააკეთა, რაც იაპონური ბიზნესისათვის ასევე სიახლე გახლდათ. მთელ იაპონიაში პირველმა მიტარაიმ შემოიღო თანამშრომლებისათვის სოციალური შეღავათები. მეორე მსოფლიო ომის დროს კი ყოველთვიური ანაზღაურება და თანამშრომელთა სავალდებულო რენტგენოლოგიური გამოკვლევა დანერგა, რაც ქვეყანაში, სადაც ტუბერკულოზი ხალხს მუსრს ავლებდა, ნამდვილი სენსაცია გახლდათ. მოგვიანებით, 1966 წელს მიტარაიმ პირველმა იაპონიაში თავის კომპანიაში ხუთდღიანი სამუშაო კვირა შემოიღო. ტრადიციულ იაპონურ შრომისმოყვარეობასთან და გუნდურ სულისკვეთებასთან შერწყმულმა მიტარაისეულმა სიახლეებმა კომპანია ადგილობრივი ბაზრის უპირობო ლიდერად აქცია.

მაგრამ მიტარაის მთავარი დამსახურება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომპანიის ფეხზე სწრაფად დაყენება გახლდათ. მოგეხსენებათ, შორეულ აღმოსავლეთში ომი 1945 წლის 15 აგვისტოს დამთავრდა, 1 ოქტომბერს კი ამერიკული საოკუპაციო ჯარების მეთვალყურეობით Precision Optical Industry Co ისევ ამუშავდა.

### ახალი ბიზნეს-ფილოსოფიის კანონი

კომპანიას ფეხზე დადგომაში ოკუპანტებიც დაეხმარნენ. ამერიკელი ოფიცრები და ჯარისკაცები იაფი, მაგრამ ხარისხიანი იაპონური ფოტოკამერების თაყვანისმცემლებად იქცნენ. მიტარაი კი უკვე ბიზნესის გაფართოებაზე ფიქრობდა. Canon-ის მარკით ფოტოტექნიკის წარმოების გარდა, კომპანიამ ორი ქვეგანყოფილება დაარსა და რადიომიმღებების და წამლების გამოშვება დაიწყო.

მართალია, ორივე განყოფილება მხოლოდ 1949 წლამდე მუშაობდა, მაგრამ ომის შემდგომ მძიმე პერიოდში კომპანიას ძალიან დაეხმარა.

1947 წელს მიტარაიმ კომპანიას სახელი გადაარქვა და Canon Camera უწოდა. ხოლო 1969 წელს, როცა კომპანიის მოღვაწეობა მხოლოდ ფოტოტექნიკით აღარ შემოიფარგლებოდა, მეორე სიტყვა გაქრა და მხოლოდ Canon-ი დარჩა. შეიცვალა კომპანიის ბიზნეს-ფილოსოფიაც და იგი ერთი იაპონური სიტყვით "კიოსეი" განისაზღვრა, რომელიც "ყველა ადამიანის ერთობლივ ცხოვრებასა და საერთო კეთილდღეობისათვის შრომას" ნიშნავს.

1950 წელს ჩანონ-მა გარე ბაზრების ექსპანსია წამოიწყო და იაპონელთათვის იქამდე მიუწვდომელ ამერიკულ, ცოტა ხანში კი ევროპულ ბაზარზე შეიჭრა. 1957 წელს უკვე ამუშავდა Canon Europa, სამი წლის შემდეგ კი - Canon USA.

რაც შეეხება მოღვაწეობის სფეროს გაფართოებას, 1955 წელს Canon-მა სამოყვარულო კამერების მასობრივი წარმოება დაიწყო. ამ ბაზარზე შეჭრაც სამურაის კანონების მიხედვით საიდუმლოდ მომზადდა. სპეციალისტებმა ამჯერადაც გულმოდგინედ შეისწავლეს ამერიკული, ოკუპანტების მიერ დატოვებული ტექნიკა და შემდეგ მსოფლიო კიდევ ერთი სიახლით - 8-მილიმეტრიანი პორტატული კამერით გააოცეს, რომლის პირველი მოდელის - Canon Cine 8-ის პრეზენტაცია 1956 წლის ნოემბერში გაიმართა, ორი წლის შემდეგ კი გამოვიდა კამერა-პროექტორი Canon Projector P-8. ბევრი თვლის, რომ სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი იაპონური ტექნიკის მსოფლიო ჰეგემონიას. 1973 წელს Canon-ის მიერ გამოშვებულ კინოკამერების მაკროგამადიდებელ ლინზებს "ოსკარის" პრემია მიენიჭა.

გარდა ამისა, კომპანიამ პოზიციები გაიმყარა ფოტოტექნიკის ტრადიციულ ბაზარზე. მომდევნო ჰიტი 1961 წელს გამოშვებული იაფი და მაღალი დონის ფოტოაპარატი ჩანონეტ "ელექტრონული თვალით" გახდა. 1963 წლისათვის უკვე მილიონამდე ეს მოდელი გახლდათ გაყიდული.

### წარმატებული კოპირება

ცხადია, არ ეძინათ კონკურენტებსაც და Canon-ს კვალში ედგნენ. პოზიციების განსამტკიცებლად კომპანიის ახალმა თავკაცმა, ტაკეში მიტარაის შვილმა ჰაჯიმემ 60-იან წლებში ფირის გამოშვების დაწყება გადაწყვიტა. მისი თქმით, ფირის წარმოების გარეშე კამერების გამოშვებით ისინი წყალს კონკურენტების: ამერიკული Kodak-ის და იაპონური Fuji-ის წისქვილზე ასხამდნენ. ხოლო სამურაული ტრადიციების მიხედვით, ინიციატივის ხელში ჩასაგდებად არა მარტო ფირის, არამედ კოპირებისათვის განკუთვნილი აპარატურის გამოშვებაც გადაწყდა.

იმ პერიოდში კოპირების ტექნიკის ბაზარზე ამერიკული Xerox-ი ბატონობდა. საერთო აზრით, ამ კომპანიის მიერ შექმნილი საპატენტო "ბასტიონები" მას მშვიდი ცხოვრების გარანტიას აძლევდნენ. მაგრამ ამ მოსაზრებას მხოლოდ სამურაები არ დაეთანხმნენ და 1970 წელს ბაზარზე გამოჩნდა NP-ს სერიის კოპირების აპარატები, რომლებიც ორიგინალური ელექტროგრაფიული სისტემით იყო აღჭურვილი და, რაც მთავარია, კონკურენტთა ნაწარმისაგან განსხვავებით, ნებისმიერი ხარისხის ქაღალდით მუშაობდა. თანაც, Canon-მა არა მარტო საპატენტო დაცვაზე იზრუნა, არამედ თავისი სიახლის ლიცენზია ყველა მსურველს სარფიანად მიჰყიდა, რასაც კომპანიისათვის დღემდე წელიწადში 100 მილიონი დოლარი მოაქვს. Canon-ი მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და 1982 წელს მსოფლიოში პირველი პერსონალური კოპირების აპარატი გამოუშვა, რომელშიც კიდევ ერთი რევოლუციური სიახლე - ცვლადი კარტრიჯი გამოიყენა. 1987 წლიდან კი კომპანია უკვე ფერადი ფირების აპარატების ბაზარზე გაბატონდა.

მრავალ სიახლეთაგან, რომელსაც კაცობრიობა Canon-ს (რომელსაც ამჟამად პირველი პრეზიდენტის ძმისშვილი ფუჯიო მიტარაი ხელმძღვანელობს) უნდა უმადლოდეს, ჭავლური და ლაზერული პრინტერები გახლავთ, რომლებზე ლიცენზიებიც ასევე სიამოვნებით გაყიდა და მათ პორტატულობაზეც იზრუნა. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის კომპანია ლაზერული პრინტერების მსოფლიო ბაზრის 70 პროცენტს აკონტროლებს. გარდა ამისა, პირველმა სწორედ Canon-მა 1983 წელს გამოუშვა მსოფლიოში პირველი მინიატურული, საკრედიტო ბარათის ოდენა კალკულატორი My Card-ი.

# ეკონომიკური პროექტები საქართველოს და აზერბაიჯანს შორის სავაჭრო ბრუნვაზე დადებითად აისახება

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი და სარკინიგზო პროექტი ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო საქართველოს და აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვაზე დადებითად აისახება. ამის შესახებ სამშაბათს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელდარ მამედიაროვმა ქართულ კოლეგასთან გელა ბეჟუაშვილთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

გელა ბეჟუაშვილმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ საქართველო აზერბაიჯანულ გაზს ქვეყნისთვის ალტერნატიული მომარაგების წყაროდ განიხილავს. "ჩვენ დაინტერესებულები ვართ გაზის ასევე სხვა ქვეყნებიდან აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით მიღებით," - აღნიშნა ბეჟუაშვილმა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, აღნიშნული საკითხი ბაქოში ვიზიტის დროს არ განიხილებოდა. "მოლაპარაკებები ამასთან დაკავშირებით ენერგეტიკის მინისტრების დონეზე მიმდინარეობს," - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა.

მხარეებმა ასევე კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროში, სუამ-ის ფარგლებში თანამშრომლობის, კონფლიქტების მოგვარების საკითხები განიხილეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გელა ბეჟუაშვილი სამშაბათს აზერბაიჯანის მილი მეჯლისის თავმჯდომარეს ოგთაი ასადოვს შეხვდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## მრავალმხრივი ცვლილება აშშ-ს ბირჟაზე










გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მრავალმხრივი ცვლილება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა ნავთობის გაიაფებამ და დამაიმედებელმა კორპორაციულმა ინფორმაციებმა განაპირობა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიოს უმსხვილესი მედიაკონგლომერატის Time Warner-ის კვარტალური ანგარიში. თუმცა, ინვესტორებზე კვლავ დამთრგუნველად მოქმედებს აშშ-ს ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელება. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,08 პროცენტით, 12.091,14 პუნქტამდე გაიზარდა. 0,12 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.363,85 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,05 პროცენტით, 1.378,63 პუნქტამდე მოიმატა. სულ, გასული თვის განმავლობაში Dow Jones index-მა 3,4 პროცენტით, Nasdaq Index-მა 4,8 პროცენტით, S&P 500 Index-მა კი 3,1 პროცენტით მოიმატა.

## ნავთობი კვლავ გაიაფდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) კვლავ ფასების კლება დაფიქსირდა ნავთობის ღირებულება 59 დოლარი/არელის ნიშნულს ჩამოსცდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 58,88 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 58,42 დოლარი/არელამდე გაიაფდა. ბუნებრივი აირის ფასმაც კვლავ მცირედით მოიმატა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 7,534 დოლარი შეადგინა. ამის მიზეზი ისევ ბუნებრივი აირის მარაგის შემცირება გახლდათ და აშშ-ში გვარიანი აცივება გახლდათ. მოგეხსენებათ, გუშინ ძალაში შევიდა ნავთობის დღე-ღამური მოპოვების 1,2 მილიონი ბარელით შემცირების შესახებ ოპეკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიზანიც "შავი ოქროს" გაიაფების შეჩერება გახლდათ. კარტელის გენერალური მდივნის, მუჰამედ ბარკინდოს თქმით, თუ რა შედეგები მოჰყვება ამ გადაწყვეტილებას დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გამოჩნდება, იქამდე კი, როგორც ხედავთ, ნავთობის ფასი კვლავინდებურად იკლებს, რისი მიზეზიც აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის ზრდის მოლოდინმა განაპირობა.

## ძვირფასი ლითონები ისევ გაძვირდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ფასმა 0,8 პროცენტით მოიმატა და მისმა ღირებულებამ 606,8 დოლარი შეადგინა, ვერცხლი 0,16 პროცენტით, 12,02 დოლარი/უნციამდე, პლატინა 0,62 პროცენტით, 1086,5 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 0,35 პროცენტით, 322,7 დოლარი/უნციამდე გაძვირდა. სულ, გასული თვის განმავლობაში ოქროს 0,4 პროცენტით, ვერცხლი 6,3 პროცენტით, პალადიუმი კი 2 პროცენტით გაძვირდა, ხოლო, პლატინა 5,5 პროცენტით გაიაფდა. ანალიტიკოსთა აზრით, ოქროსა და ძვირფასი ლითონების გაძვირება გუშინწინდელი გაიაფების შემდეგ შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდამ და დოლარის კურსის შესუსტებამ განაპირობა. გარდა ამისა, გავლენა მოახდინა ჩრდილოეთ კორეის და ირანის ირგვლივ სიტუაციის დაძაბვის შიშმაც.

## გაერთიანებული Corus/Tata Steel ბრაზილიური CSN-ის შეძენას აპირებს

ახლო წარსულში განხორციელებული შერწყმის შედეგად გაერთიანებული მეტალურგიული კონცერნი Corus/Tata Steel Group ბრაზილიური მეტალურგიული კომპანიის CSN-ისადმი შთანთქმის წინადადებით მიმართვას აპირებს. როგორც ცნობილი გახდა, ბანკები, რომლებიც Tata Steel-ს Corus-ის შეძენაში დაეხმარნენ, მზად არიან გაერთიანებულ კომპანიას CSN-ის ყიდვისას კვლავ მხარში ამოუდგნენ. ამასთან, Corus/Tata Steel-ის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არ სურს მტრული შთანთქმა განახორციელოს და შეთანხმების მისაღწევად ყველაფერს გააკეთებს.

## ნიუ იორკი სახეს კარგავს

ნიუ იორკმა მალე შეიძლება ზედმეტი რეგლამენტაციის, უაზრო კანონების და შეუსაბამო ბუღალტრული სტანდარტების გამო მსოფლიოს ერთ-ერთი ფინანსური ცენტრის სტატუსი დაკარგოს. ამგვარი აზრი ქალაქის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა გამოთქვა. მისი თქმით, ნიუ იორკი ნელა, მაგრამ მაინც უთმობს პოზიციებს სხვა ცენტრებს, მაგალითად ლონდონს და ჰონკონგს. "ჩვენთან 10 ფედერალური და ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანო მოქმედებს, დიდ ბრიტანეთში კი მხოლოდ ერთი", - აღნიშნა მან. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ჯერ კიდევ არ დაუდგენიათ ამერიკული ბიზნესის საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტებზე გადასვლის ვადა. ბლუმბერგის თქმით, ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც ნიუ იორკი თავისი როგორც ფინანსური ცენტრის სახეს კარგავს.

## R.R.Donneley & Sons-ს Banta-ს ყიდვა სურს

პოლიგრაფიული მომსახურების ამერიკული ბაზრის ლიდერმა R.R.Donneley & Sons-მა განაცხადა, რომ თავისი კონკურენტის, Banta Corp-ის შეძენას აპირებს. სავარაუდოდ, გარიგების, რომელიც 2007 წლის პირველ კვარტალში დასრულდება, ღირებულება 1,3 მილიარდი დოლარი იქნება და ანგარიშსწორება ნაღდი ფულით განხორციელდება. ბოლო დროს R.R.Donneley & Sons გულმოდგინედ ცდილობს თავისი მოღვაწეობის სფერო გააფართოვოს და Banta-ს ყიდვა სწორედ აქეთ გადადგმული ნაბიჯი იქნება. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ R.R.Donneley & Sons-მა ბრიტანული კომპანიები Astron Group და OfficeTiger 1,2 მილიარდ დოლარად შეიძინა.




# უკრაინა და რუსეთი "რუსლანის" განახლებას ცდილობენ

მერაბ ლორთქიფანიძე



უკრაინისა და რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, განახლდეს მუშაობა ერთობლივ პროექტზე, რომელიც მიზნად გიგანტური სატვირთო ავიალაინერის An-124 რუსლანის მოდერნიზაციას ისახავს.

გაზეთ "კომერსანტის" უკრაინული ვერსიის ინფორმაციით, მოსკოვს და კიევს უკვე დაწყებული აქვთ აღნიშნული თვითმფრინავის ამჟამად არსებული პარკის მოდერნიზაციის პროექტის შემუშავება. წინასწარი შეფასებით, "რუსლანების" პარკის მოდერნიზაციისათვის მინიმუმ 2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია იქნება საჭირო.

ამასთან, მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათი თანამშრომლობა არ ითვალისწინებს გიგანტური ლაინერების სერიული წარმოების განახლებას. ამის მიზეზი ისაა, რომ არც უკრაინას და არც რუსეთს ამ უნიკალური თვითმფრინავის გაყიდვა არ სურთ. არადა, ასეთ ლაინერებზე მსოფლიოში მზარდი მოთხოვნაა დაფიქსირებული.

სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი An-124-100 რუსლანი 1980-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა. ის უკრაინისა და რუსეთის საკონსტრუქტორო ბიუროების ერთობლივი პროექტია, თავის დროზე კი მისით საბჭოთა კავშირი ამაყობდა. სულ საბჭოელებმა 50 ცალი "რუსლანის" დამზადება მოასწრეს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ "რუსლანების" არსებულ პარკს ექსპლუატაციას მხოლოდ სამი კომპანია უწევს. ესენია: "ანტონოვის ავიახაზები" (უკრაინა, 7 თვითმფრინავი), "ვოლგა-დნეპრი" (რუსეთი, 10) და "პოლიოტი" (რუსეთი, 4). დანარჩენი 21 ცალი ლაინერი რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სამსახურშია.

ანალიტიკოსთა პროგნოზით, წელს ზემძიმე და არაგაბარიტული ტვირთების ავიაგადაზიდვების ფულადი მოცულობა 500 მილიონ დოლარს მიაღწევს, რაც შარშანდელთან შედარებით, თითქმის 40%-ით მეტია. An-124 რეკორდსმენია როგორც ტვირთამწეობით, ასევე ფრენის სიშორითა და სატვირთო სექციის მოცულობითაც და, ამდენად, მასზე მოთხოვნა ყოველთვის მაღალია. ეს თვითმფრინავი, პრაქტიკულად, უალტერნატივოა მსოფლიოს ბაზარზე და, აქედან გამომდინარე, მისი მფლობელებისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია.

ალბათ, მიზეზი იმისა, რომ უკრაინელები და რუსები არ აპირებენ თავიანთი უნიკალური ლაინერის კონკურენტებისთვის მიყიდვას, ის ფაქტია, რომ მათ გადაზიდვებიდან მიღებული მოგების სხვებისთვის განაწილება არ სურთ.

არადა, ზემოთ ნახსენები კომპანიების მფლობელობაში არსებულ ლაინერებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შეუძლია. მათ გასაზრდელად კი რუსების ხელში არსებული და, პრაქტიკულად, გამოუყენებელი თვითმფრინავების სამოქალაქო საჭიროებისთვის გადაკეთებაა საჭირო, რათა ისინი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს შეესაბამებოდეს. სწორედ ამის გამო აპირებენ ორი ქვეყნის ავიასაწარმოები რუსული სამხედრო უწყების ხელთ არსებული An-124-ების გადაკეთებას.

რუსეთის მთავრობის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, იმისათვის, რომ "რუსლანის" წარმოება რენტაბელური იყოს, მხარეებმა მინიმუმ 50 ცალი ლაინერის გამოშვება უნდა შეძლონ. ასე რომ მოხდეს, მაშინ პროექტის მონაწილეებს გამოშვებული თვითმფრინავების ნახევრის კონკურენტებისთვის მიყიდვა მოუწევთ, ეს კი მათს ინტერესებში არ შედის.

ასე რომ, ამ ეტაპზე ორივე მხარეს არსებული პარკის მოდერნიზება ურჩევნია, რაზეც დაახლოებით 2 მილიარდი დოლარი დაიხარჯება. იმისათვის კი, რომ 50 ცალი "რუსლანი" გამოუშვან, პარტნიორებს 6,4 მილიარდი დოლარის ინვესტირება მოუწევდათ.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, რუსულ მხარეს გარკვეული წინააღმდეგობაც არსებობს. კერძოდ, "გაერთიანებულ ავიამშენებელ კონსორციუმში" (ოაკ-ი) მიაჩნიათ, რომ "რუსლანის" ტიპის ლაინერებზე მსოფლიოში არც ისე დიდი მოთხოვნაა. კონსორციუმის მარკეტოლოგთა შეფასებით, 2030 წლამდე "რუსლანის" ტიპის მაქსიმუმ 30 ლაინერის გაყიდვა იქნება შესაძლებელი. თუმცა, პროექტის მომხრეები ირწმუნებიან, რომ რეალურად მოთხოვნა დაახლოებით 80 ცალ "რუსლანზე" იქნება.

იმავდროულად, ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა ბედი ელის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ An-70-ს, რომლის შექმნაზე მუშაობა უკრაინელმა და რუსმა კონსტრუქტორებმა ჯერ კიდევ ათი წლის წინ დაიწყეს, თუმცა აქამდე, რუსთა ჭირვეულობის გამო, საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანიათ. უფრო მეტიც, პროექტში მონაწილე უკრაინული მხარე მიიჩნევს (საფუძვლიანად), რომ რუსები პროექტს შეგნებულად უწევენ საბოტირებას, რათა საბოლოოდ, უკრაინელებმა უარი თქვან მასში მონაწილეობაზე და An-70-ის წარმოება რუსულ მხარეს გადააბარონ. თუმცა არსებობს საქმის სხვა მხარეც.

კერძოდ, რუსები პარალელურად მუშაობენ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ IL-76MF-ის შექმნაზე. აღნიშნული პროექტი კი კონკურენციას უწევს An-70-ს. რუსებმა უკვე დაიწყეს თავიანთი ახალი ლაინერის საერთაშორისო ბაზარზე რეკლამირება - საკუთრივ რუსეთის გარდა, მის პოტენციურ მყიდველთა შორის ჩინეთიც მოიაზრება.

მას შემდეგ კი, რაც რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ რუსეთი აღარ მიიღებს მონაწილეობას An-70-ის შექმნაში, უკრაინელებმა პროექტის დამოუკიდებლად გაგრძელება გადაწყვიტეს. ცნობისათვის, პროექტში უკვე დახარჯულია 5 მილიარდი დოლარი, მის დასასრულებლად კი დამატებით 100 მილიონი დოლარის ინვესტირებაა საჭირო. უკრაინელები ირწმუნებიან, რომ შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში, პროექტის დამოუკიდებლად დასრულებას მერმის შეძლებენ.

## ვალუტის გადამცვლელი ჯიხურების რიცხვი 640-დე გაიზარდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) 2006 წლის ოქტომბერში ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის სამი ლიცენზია გასცა.

ლიცენზიები მიიღეს ინდმეწარმეებმა გოჩა წივილაშვილმა, ლიანა მიქაელიანმა და შპს "ბადენმა". ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები ვაშლიჯვარში, კახეთის გზატკეცილზე და ჯავახეთის ქუჩაზე მდებარეობს. სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს სებ-ის ზედამხედველობის დეპარტამენტი განახორციელებს.

სებ-ის ინფორმაციით, ამ დროისათვის საქართველოში 640 ლიცენზირებული სავალუტო ჯიხურია, აქედან 436 თბილისში ფუნქციონირებს. სებ-ის ცნობით, 2006 წელს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის გახსნის ლიცენზია 128 მაძიებელზე გაიცა. სექტემბრიდან ამოქმედებული ახალი ნორმებით ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისთვის საჭირო სავალდებულო ფართი 10-დან 6 კვადრატულ მეტრამდე შემცირდა. **GBC**

## საქართველოში სურსათის მწარმოებელი საწარმოების რეგისტრაცია დაიწყო

საქართველოში სურსათის მწარმოებელი საწარმოების რეგისტრაცია დაიწყო. "სურსათის მწარმოებელი საწარმოების რეგისტრაციის" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მაღალი რისკის საწარმოები 2007 წლის 1 იანვრამდე უნდა დარეგისტრირდნენ, ხოლო დაბალი რისკის საწარმოების ვადა შეზღუდული არ არის. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურიდან აცნობეს. აღნიშნული სამსახურის ინფორმაციით, რეგისტრაციის პრინციპი გამარტივდა: მეწარმეებმა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საქალაქო და რაიონულ სამსახურებში უნდა წარადგინონ დეკლარაცია, რომლის საფუძველზეც ამა თუ იმ საწარმოს დარეგისტრირება მოხდება. მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა სურსათის მწარმოებელი საწარმოს სარეგისტრაციო ბარათი. იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე სავალდებულო რეგისტრაციას არ გაივლის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, მის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სასჯელი ამოქმედდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქონლისა და მომსახურების შეძენის მიზნით ტენდერი 5-მა ორგანიზაციამ გამოაცხადა

საქონლისა და მომსახურების შეძენის მიზნით ოთხშაბათს ტენდერი 5-მა ორგანიზაციამ გამოაცხადა. როგორც GBC-ის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან აცნობეს, ტენდერები გამოაცხადეს: "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელმა ცენტრმა", თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა, შპს "თბილისის წყალმა", შპს "საქართველოს რკინიგზამ" და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრს" ტენდერის საფუძველზე ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებისა და ინვენტარის (ლაბორატორიული სამედიცინო-დიაგნოსტიკური აღჭურვილობა და ინვენტარი, საგარანტიო-სერვისული მომსახურებით) შესყიდვა სურს. სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემებს 24 ნოემბერს მიიღებს. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს თბილისში, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისთვის საჭირო მომსახურების შესყიდვა სურს. საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ვადა 22 ნოემბერია. შპს "თბილისის წყალმა" ტენდერი ექსკავატორ-დამტვირთველების შესყიდვის მიზნით გამოაცხადა. ტენდერში მონაწილეებისათვის საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ვადა 23 ნოემბერია. შპს "საქართველოს რკინიგზამ" 2 ტენდერი გამოაცხადა. პირველ ტენდერზე ორგანიზაციას სამუხრუჭო სისტემის ბერკეტული გადაცემის ლილვაკების შესყიდვა სურს (საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ვადა 24 ნოემბერი), ხოლო მეორე ტენდერზე - სამგზავრო ვაგონების კაპიტალური შეკეთებისთვის საჭირო მომსახურების შესყიდვა (საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ვადა 22 ნოემბერია). განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ტენდერი კომპიუტერული ტექნიკის და ელექტროსაქონლის შესყიდვის მიზნით გამოაცხადა. საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ვადა 21 ნოემბერია. **GBC**

## საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობამ 2006 წლის 9 თვეში 2,539 მლრდ. ლარი შეადგინა

2006 წლის იანვარ-სექტემბერში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 802 მლნ. ლარით გაიზარდა და 2539.1 მლნ ლარი შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემულმა სესხებმა 273.5 მლნ. ლარით - 680.5 მლნ ლარამდე მოიმატა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები 328.7 მლნ. აშშ დოლარით არის გაზრდილი და 1070.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპია 2006 წლის 1 ოქტომბრისთვის გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 79.7% -ია. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემულმა სესხებმა კი 110.1%-ით მოიმატა. "ლარით გაცემული სესხების წლიური ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების შესაბამისი მაჩვენებელი (71%). აქედან გამომდინარე, 2006 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელმა 73% შეადგინა," - აცხადებენ საქართველოს ეროვნულ ბანკში. **GBC**

## ამინდი

| | 2/11 | 3/11 | 4/11 |
|---|---|---|---|
| კიევი | 5 | 0 | 0 |
| რიგა | -3 | -4 | 2 |
| ვილნიუსი | -3 | -10 | -2 |
| მოსკოვი | 4 | 3 | 0 |
| მინსკი | 1 | -5 | -4 |
| პარიზი | 10 | 6 | 8 |
| რომი | 13 | 13 | 14 |
| ლონდონი | 10 | 11 | 11 |
| მადრიდი | 15 | 15 | 11 |
| ბონი | 7 | 7 | 9 |
| ვარშავა | -7 | -7 | -2 |
| ათენი | 20 | 12 | 5 |
| ბერნი | 7 | 6 | 13 |
| ამსტერდამი | 3 | 7 | 7 |
| ოსლო | -3 | 2 | 3 |
| ანკარა | 17 | 13 | 5 |
| ვარნა | 10 | 0 | 3 |
| დელი | 32 | 32 | 32 |
| ტოკიო | 18 | 20 | 20 |
| კოპენჰაგენი | -2 | 1 | 5 |
| ბაქო | 17 | 17 | 18 |
| ერევანი | 19 | 18 | 19 |
| ასტანა | 5 | 7 | 7 |
| ჰელსინკი | -17 | -13 | -8 |
| დუბლინი | 12 | 13 | 14 |
| ლისაბონი | 18 | 20 | 20 |
| პრაღა | -4 | -5 | -4 |
| სოფია | 3 | -3 | -1 |
| ბუდაპეშტი | -3 | -1 | -2 |
| ბუხარესტი | 5 | -4 | -1 |




